„დომოდედოვოზე" „ჰამლეტის" ცივი იარაღი დააკავეს A2

23 ნოემბრის არჩევანი A3

ენერგეტიკული სტრატეგიის მთავარი პრინციპები A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 22 ნოემბერი, 2004 წელი. №277 (826)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## პირველი ლედი ექსკურსიაზე "ყაზბეგში"



გოგი თოფაძე ცდილობდა პირველი ლედი არ გადაელალა.

A2

### ეკონომიკა

## რევოლუციის წლისთავზე კახეთში „შუქი მოვიდა"



ჰიდროელექტროსადგურის ძრავა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავად ჩართო და კახელებს, რევოლუციის წლისთავზე, ნათურების განათება მიულოცა.

A4

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 22/11 | 23/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 4 |
| ქუთაისი | 13 | 8 |
| ბათუმი | 12 | 4 |
| სოხუმი | 4 | 5 |
| ფოთი | 11 | 8 |
| თელავი | 6 | -1 |
| ზუგდიდი | 12 | 9 |
| გორი | 6 | -1 |
| ახმეტა | 7 | 1 |
| ქიათურა | 9 | 3 |
| გაგრა | 0 | 2 |
| სამტრედია | 13 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3125 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3014 |
| რუბლი | 0.0624 |

# უკრაინის დაძაბული არჩევნები



ვიქტორ იუშჩენკო.



კიევში უკვე კარვები გაშალეს.



ვიქტორ იანუკოვიჩი.

*გუშინ კიევმა საკუთარ პრეზიდენტად ვიქტორ იუშენკო აირჩია. უკრაინის დედაქალაქის ამომრჩეველთა არჩევანის პირველი არაოფიციალური შედეგები საარჩევნო უბნების დახურვისთანავე გახდა ცნობილი. კიეველთა არჩევანში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. წინასაარჩევნო პერიოდში მანქანების ანტენებზე, აივნებზე, შუქნიშნების ბოძებზე, ხეებზე – მოკლედ, ყველგან ფრიალებდა მოყვითალო-სტაფილოსფერი ლენტები, როგორც სიმბოლო კრიმინალური ხელისუფლებისაგან თავისუფალი, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული, თუმცა გამოკვეთილად სუვერენული სახელმწიფოსი.*

*უკრაინის ხელისუფლებამ კიევში არჩევნები ვერ გააყალბა, თუმცა სცადა: მოსახლეობის დაშინებით, ძალის დემონსტრირებით, სამხედროების და ჯავშანტექნიკის მობილიზებით. რეგიონებში კი პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერებმა, ადგილობრივმა ჩინოვნიკობამ სრულად აამუშავა ადმინისტრაციული რესურსი, რამაც არჩევნები გაყალბებისაგან ვერ იხსნა.*

თამარ მჭედლიშვილი
კიევიდან

თუმცა, ვიქტორ იუშენკოს მომხრეები უკან დახევას არ აპირებენ. კიევში ხუმრობენ – ქართველები თუ ვარდების რევოლუციით ამაყობთ, ჩვენ აქ წაბლების რევოლუციას მოვაწყობთო. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ უკრაინაში ვითარება რომ უკიდურესად დაძაბულია, ეს ყველას შესანიშნავად ესმის. საღამოს რვა საათიდან კიევის მთავარ – დამოუკიდებლობის მოედანზე იუშენკოს მხარდამჭერების უვადო საპროტესტო აქცია დაიწყო. ამის პარალელურად, სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები. როგორც ამბობენ, კიევის მისადგომებთან მძიმე სამხედრო შეიარაღება დისლოცირდა. იქვე იყო სილით სავსე სატვირთო მანქანებიც.

ამის მიუხედავად, უკრაინაში იმედოვნებენ, რომ მილიცია საკუთარი თანამოქალაქეების წინააღმდეგ არ წავა. გუშინ საღამოს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მილიციელმა საჯაროდ, ოპოზიციური არხის საშუალებით პირდაპირ განაცხადა, რომ უარს იტყვის ძალის გამოყენებაზე, თუკი ხელისუფლება ასეთ ბრძანებას გასცემს.

"არანაირი რევოლუცია ჩვენთან არ მოხდება," - აცხადებს თავის მხრივ ლეონიდ კუჩმა, რომლისთვისაც იუშენკოს გამარჯვება წლების განმავლობაში ნაშენი ფინანსურ-კლანურ-ოჯახური იმპერიის დასასრულის ტოლფასი შეიძლება აღმოჩნდეს.

"რაც უფრო სწრაფად დაითვლიან ბიულეტენებს საუბნო საარჩევნო კომისიებში, მით უფრო სწრაფად ჩამოვა მონაცემები კიევში. იმედი მაქვს, შედეგები იმაზე გაცილებით სწრაფად გამოქვეყნდება, ვიდრე ეს პირველი ტურის შემდეგ იყო," – ასე მიმართა საარჩევნო უბანზე მისულმა, ჯერ კიდევ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თანამოქალაქეებს.

თუმცა გუშინ, დღის მეორე ნახევარში უკვე ნათელი გახდა, რომ საპრეზიდენტო ომი რამდენიმე დღეში არ დასრულდება.

თუკი დილის საათებში უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ ცალკეულ დარღვევებზე საუბრობდნენ, საღამოსკენ ვიქტორ იუშენკოს წარმომადგენლები უკვე მასობრივ გაყალბებებზე ალაპარაკდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ყოჩაღი კაჭკაჭი მალხაზა

(ლაგოდეხი-გურჯაანი-საგარეჯო-თბილისი)



B6

## მუშტი-კრივი გამგეობაში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*გურჯაანის რაიონის გამგებლის მოადგილეს თანამდებობისთვის ბრძოლა ძვირად დაუჯდა. გუშინწინ, საღამოს ხუთ საათზე, იგი რაიონის პოლიციამ დააკავა. ამის მიზეზად, ორიოდე დღის წინ რაიონის გამგებლის კაბინეტში გამართული მუშტი-კრივი სახელდება. საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა.*

როგორც გურჯაანის საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების გამომძიებელმა, გიორგი პასიკაშვილმა განაცხადა, ქოჩორაშვილმა საკრებულოს სპიკერს, ზაზა კობიაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კონფლიქტი სპიკერის მანქანას უკავშირდება, რომელსაც კობიაშვილი უკანონოდ მართავდა.

**"როინ ქოჩორაშვილმა დაკითხვისას აღიარა, რომ მასა და კობიაშვილს შორის დაპირისპირება იმის გამო მოხდა, რომ მანქანა, რომელიც სპიკერს ემსახურებოდა, არაკანონიერი იყო. ამის გამო მოხდა შელაპარაკება, რომელიც ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა,"** - აცხადებს გამომძიებელი პასიკაშვილი. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩხუბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გამგებლის თანამდებობაა, რადგან გავრცელებული ინფორმაციით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, აკაკი სიხარულიძე მალე ესტაფეტას სხვას გადაულოცავს. ზაზა კობიაშვილი და როინ ქოჩორაშვილი

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მონიტორინგი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მალხაზა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## უკრაინის დაძაბული არჩევნები

პირველი გვერდიდან

გუშინდელი დღე მშვიდად რომ არ დასრულდებოდა, დილის ათ საათზე უკვე ნათელი გახდა – სწორედ ამ დროს კიევში უკვე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ჩერკასკის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მილიციელი მოკლეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ თემაზე დუმილი ამჯობინეს. ლეონიდ კუჩმას პროტეჟემ, ვიქტორ იანუკოვიჩმა მოსახლეობას სიბრძნისა და სწორი არჩევანისკენ ღიმილით მოუწოდა და სიტყვაც არ დაუძრავს იმის თაობაზე, რომ გუშინ უკრაინაში სისხლი დაიღვარა.

სიმართლე რომ ითქვას, ამ ფაქტის თაობაზე განსაკუთრებული ყურადღება არც იანუკოვიჩის კონკურენტს, ვიქტორ იუშენკოს გაუმახვილებია. თუმცა, როგორც მისი საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, მილიციელი საარჩევნო ყუთის დაცვისას მოკლეს (საარჩევნო უბანზე არეულობა მას მერე ატყდა, რაც საარჩევნო ბიულეტენებით სავსე სეიფი გაიტაცეს).

საერთოდ, კიევისაგან განსხვავებით, სადაც საარჩევნო მანიპულაციები თვალშისაცემი არ ყოფილა, უკრაინის რეგიონები მასობრივი გაყალბებების არენად იქცა. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ ადგილობრივი და უცხოელი (მათ შორის, ქართველი) დამკვირვებლები.

მთლიანობაში კი უნდა ითქვას, რომ როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში, არჩევნების შედეგების გასაყალბებლად საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი არსებობს – ეს, პირველ რიგში, კანონმდებლობაში არსებული უამრავი შავი ხვრელია, რომლის "წყალობითაც", მმართველ პოლიტიკურ ელიტას მოქმედებისათვის, საკმაოდ დიდი არეალი აქვს.

უკრაინაში (ისევე, როგორც ჩვენთან) ვერც ერთი შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენელი ვერ გეტყვით, რამდენი ამომრჩეველი ცხოვრობს ქვეყანაში. არ შექმნილა ამომრჩეველთა ერთიანი რეესტრი, უმაღლეს რადას არ მიუღია კანონი ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის შესახებ. მიზეზი მარტივია – ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. ეს "24 საათთან" საუბარში უკრაინის ომბუდსმენმა ნინა კარპაჩოვამაც დაადასტურა.

თუმცა, გუშინ საკანონმდებლო ხარვეზებზე გაცილებით პრობლემატური ე.წ. "ოტკრეპიტელნიე", ანუ მიმაგრებითი ტალონები გახდა, რომლის წყალობითაც, მთელი უკრაინა ერთიან საარჩევნო კარუსელად გადაიქცა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი: ეს ტალონები ლეონიდ კუჩმამ არჩევნებამდე რამდენიმე დღის წინ "აკურთხა", როდესაც რადას გადაწყვეტილებას ვეტო დაადო. არადა, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, სრულიად სამართლიანად, მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. კუჩმამ ვეტოს უფლება გამოიყენა და ტალონების მოქმედება ძალაში დატოვა. საპრეზიდენტო არჩევნებისათვის 1 მილიონი ტალონი დაიბეჭდა.

ამ ტალონების გამოყენების პრინციპი საკმაოდ მარტივია – დავუშვათ, რომელიმე ამომრჩეველი ჩაწერილია ამა თუ იმ რაიონში, მაგრამ, მიზეზთა გამო, სხვაგან გამგზავრება მოუწია. ამ შემთხვევაში, იგი იღებს ტალონს, რომლის საშუალებითაც მას ხმის მიცემის უფლება ნებისმიერ უბანში მიენიჭება. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ასეთ ამომრჩეველს რეგისტრაციაში არ ატარებენ. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია ხმის მიცემა იმდენჯერ, რამდენჯერაც მოესურვება.

ამიტომაც იყო, რომ გუშინ ასეთი "მომთაბარე" ამომრჩევლები თითქმის მთელ უკრაინაში დასეირნობდნენ. თანაც, ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ გამოყოფილი ავტობუსებით.

არასამთავრობო ორგანიზაცია "პორას" აქტივისტები, რომლებმაც ერთ-ერთი ასეთი ავტობუსი აღმოაჩინეს, ბორბლების ქვეშ დაწვნენ და მომთაბარეებს გადაადგილების საშუალება არ მისცეს.

საერთაშორისო დამკვირვებლები პირველ კომენტარებს დღეს გააკეთებენ. თუმცა, ჯერ კიდევ გუშინ, "24 საათისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წინასაარჩევნო პერიოდი საკმაოდ სერიოზული დარღვევებით წარიმართა. მისიას, რომლის წარმომადგენლებმაც თითქმის მთელი უკრაინა მოიცვეს, სრული საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ დარღვევების სიმცირე არც თავად კენჭისყრის დღეს იქნებოდა.

დაბოლოს – ეგზიტპოლის შედეგების თანახმად, რომელიც ოპოზიციურმა "მეხუთე არხმა" საღამოს ცხრა საათისთვის გაავრცელა, ამომრჩეველთა 47-მა პროცენტმა ხმა ვიქტორ იუშენკოს მისცა. ოპოზიცია სხვა მონაცემსაც ავრცელებს – იუშენკო - 58 პროცენტი, იანუკოვიჩი – 39 პროცენტი.

## ხმაურიანი აქცია

*"დიდი ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერებმა გუშინ საპატრიარქოსთან საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მხარდასაჭერად აქცია მოაწყვეს. მათი განცხადებით, ხელისუფლებას განზრახული აქვს აიძულოს პატრიარქი, დატოვოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის თანამდებობა.*

**"დიდი ხანია, ხელისუფლებისაგან მზადდება გადატრიალების მოწყობა ეკლესიაში, რომლის მოწყობაშიაც სააკაშვილს აქტიურად მხარს უჭერენ უცხოეთიდან და ფინანსებითაც სიამოვნებით ეხმარებიან,** - აცხადებს გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი გურამ შარაძე, - **დაუმთავრებელი ტაძრის გახსნას ასე იმიტომ ჩქარობს ხელისუფლება, რომ დამთავრდეს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მოღვაწეობა პატრიარქის რანგში. ახალი კანდიდატიც უკვე შერჩეულია: ბურჯანაძე-სააკაშვილი-ჟვანიას პირადი მოძღვარი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი მეუფე დანიელი. ილია მეორეს აკურთხებინებენ სამების საკათედრო ტაძარს და მოსთხოვენ, დაწეროს განცხადება გადადგომის თაობაზე. წასვლის მიზეზად დასახელდება მისი ჯანმრთელობის გაუარესება. ეს არის ხელისუფლების ბინძური პოლიტიკის ნაწილი. საიმედო კანდიდატის დასმის შემდეგ, სრულად შეეძლებათ მართონ ეკლესის კურსი და მისი მომავალი."**

ანალოგიური განცხადება ზვიად გამსახურდიას ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამაც გააკეთა და მოუწოდა პატრიარქს, ნუ დატოვებს ეკლესიას, რადგან ეს დიდი დარტყმა იქნება მართლმადიდებლობისთვის. საქართველოს პატრიარქს მანანა არჩვაძემ, განსაკუთრებით, ერთი სურვილის შესრულება სთხოვა: ნუ მიიწვევს ტაძრის გახსნის ცერემონიალზე თავის ჯალათებს და ზვიად გამსახურდიას მკვლელს, ექსპრეზიდენტს შევარდნაძეს.

აქციაზე ყველა ერთსულოვნად იცავდა პატრიარქს, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც შარაძეს არ დაეთანხმა და მის გამოსვლას ცილისმწამებლური უწოდა.

ტატიანა რედგოკი, სიონის მრევლი: **"მეუფე დანიელი არის ჩემი მოძღვარი, რომელიც წლების მანძილზე კაცთმოყვარეობასა და პატრიარქის პატივისცემას მასწავლიდა. ვერავინ დამაჯერებს მის ღალატში, რადგან ილია მეორის მიმართ მას არაჩვეულებრივი დამოკიდებულება აქვს. მიმაჩნია, რომ გურამ შარაძე საშინელ ცილს სწამებს მეუფეს, რაც მისი მრევლის შეურაცხყოფაცაა. მერწმუნეთ, ეს ადამიანი არასოდეს გადადგამს მსგავს ნაბიჯს."**

დღეს "დიდი ეროვნულ ძალთა გაერთიანება" კიდევ ერთ აქციას გეგმავს: ცხრა აპრილის მონაწილეები საპროტესტო მსვლელობას მოაწყობენ სასტუმრო "ივერიიდან" პარლამენტამდე, სადაც მასობრივ მიტინგს გამართავენ. მათ შეშფოთებას ერთიანობის მონუმენტი იწვევს, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება 23 ნოემბერს, რევოლუციის წლისთავზე. მათი განცხადებით, მონუმენტი არ შეესაბამება ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

*ნინო ბერელიძე*

# პირველი ლედი ექსკურსიაზე "ყაზბეგში"

უკვე რამდენიმე დღეა, "ყაზბეგის" რუსთავის ლუდის ქარხანაში სამუშაო ვიზიტით იმყოფება უმსხვილესი ჰოლანდიური კონცერნის "ბავარიის" ერთ-ერთი მფლობელი და ცნობილი ექსპერტი კონრად შრინკელი. გოგი თოფაძემ საქართველოს პირველი ლედის, სანდრა რულოვსის რუსთავის ქარხანაში ექსკურსიაზე მიწვევა სწორედ ამ ფაქტს დაამთხვია. ქალბატონი სანდრა საწარმოს ვაჟიშვილთან ერთად ეწვია. "ყაზბეგელებმა" მას თეთრი ვარდების თაიგული დაახვედრეს, რუსთავის მერმა კი - ორქიდეების. როგორც ჩანს, წითელი ვარდები პოლიტიკურ ელიტაში მოდაში აღარ არის.



მაია მოსიაშვილის ფოტო

*გოგი თოფაძე ცდილობდა, პირველი ლედი არ გადაეღალა.*

მასპინძელმა გოგი თოფაძემ სტუმრები, პირველ რიგში, თავის საამაყო ახალი ლუდის სახარში საამქროში შეიყვანა და მისი ისტორია უამბო: ასეთი დანადგარის, თანაც ნახმარის ყიდვა 2 მილიონ დოლარზე მეტი მიჯდებოდა გერმანიაში, საავიაციო ქარხნის ქართველმა ინჟინრებმა კი ის, სულ რაღაც, ნახევარ მილიონად დაამზადესო. "ყაზბეგის" ლუდის ქარხანა კვირაობით არ მუშაობს, ამიტომ ექსკურსია ხანმოკლე აღმოჩნდა.

- სულ ეს იყო? - გაკვირვებით იკითხა სტუმარმა, - კიდევ ვნახოთ რამე...

- რა ვიცი, მითხრეს, ქალბატონი სანდრა არ გადაღალოო, - უხერხულად იღიმებოდა თოფაძე.

განსაკუთრებით აღფრთოვანებული ჩანდა ჰოლანდიელი კონრად შრინკელი. ის ყველა მომენტს იყენებდა იმისათვის, რომ ცნობილ თანამემამულესთან ერთად სურათი გადაეღო. აღმოჩნდა, რომ "ყაზბეგის" უალკოჰოლო სასმელებიდან ორივეს ტარხუნის და ფეიხოას ცივი ჩაი მოსწონთ.

"არა მხოლოდ მე, ტარხუნა და ფეიხოა ევროპაში ძალიან მოსწონთ. მე ვიცი, რომ აქედან ლუდი და ცივი ჩაი 14 ქვეყანაში მიდის, რაც საკმაოდ საამაყოა. მე მომხრე ვარ, რომ ადგილობრივი წარმოება წინ წავიდეს, ჩვენი ექსპორტი გაიზარდოს და ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე. ორი კვირის წინ ბორჯომშიც ვიყავი და უკვე ვისწავლე, როგორ ხდება ბოთლების გაბერვა და ეტიკეტების დაკვრა. ძალიან შთამბეჭდავია ქარხნებში სიარული, ბავშვიც ამიტომ წამოვიყვანე, მინდა ნახოს, როგორ მუშაობენ აქ," - განუცხადა ჟურნალისტებს პირველმა ლედიმ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა, მომავალში "ბავარიამ" და "ყაზბეგმა" პარტნიორული ურთიერთობები დაამყარონ.

"უმსხვილესი ჰოლანდიური კონცერნის "ბავარიის" მფლობელი კონრად შრინკელი აქ ნიდერლანდების მენეჯმენტის დახმარების პროგრამის ფარგლებში იმყოფება. ამ ვიზიტის მიზანი ქართველებისათვის კონსულტაციების გაწევა იყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ურთიერთთანამშრომლობის ბევრი საშუალება არსებობს. ის აღფრთოვანებული დარჩა აქაური პროფესიონალიზმითა და მონდომებით და ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინა, რამაც მისი გაოცება გამოიწვია. ლაპარაკია ჰოლანდიაში უალკოჰოლო სასმელების წარმოების გატანაზე და ასევე, "ყაზბეგის" მიერ "ბავარიის" მარკის გამოყენებაზე. შესაძლებლობების აუდიტი უკვე ჩატარდა და პროექტებიც დაისახა," - განუცხადა "24 საათს" ნიდერლანდების მენეჯმენტის დახმარების პროგრამის წარმომადგენელმა ალეკო სოკოლოვსკიმ.

"ყველაზე უცნაური იყო ტარხუნა და კომში, რომელიც არასოდეს გამისინჯავს ევროპაში. უკვე გადაწყდა, რომ ჰოლანდიაში ცივი ჩაის ექსტრაქტს წავიღებ. აქ შვიდ წელიწადში გაუკეთებიათ ის, რასაც ჩვენ 30 წელი მოვანდომეთ," - აღფრთოვანებას არ ფარავდა "ბავარიის" მფლობელი.

ექსკურსიის ბოლოს სანდრა რულოვსი სუფრასთან მიიწვიეს, პატარა ედუნამ კი ქარხნის ეზოში სხვა ბავშვებთან ერთად სირბილით იჯერა გული. გოგი თოფაძეს პირველი ლედისთვის საკუთარი პროდუქცია თან არ გაუტანებია, სამაგიეროდ მის თანამემამულე შრინკელს საუკეთესო ლუდს ატანს ჰოლანდიაში და "ბავარიის" მარკით "ყაზბეგის" ქარხანაში ლუდის ჩამოსასხმელად ემზადება.

# მუშტი-კრივი გამგეობაში

პირველი გვერდიდან

გამგებლის თანამდებობისთვის ჯერ კიდევ სიხარულიძის მოსვლამდე იბრძოდნენ, მანამდე კი, ერთმანეთს კონკურენციას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში უწევდნენ.

აღსანიშნავია, რომ მომხდარი კონფლიქტის წინა დღეს როინ ქოჩორაშვილმა ძალის დემონსტრირება გამგებლის ერთ-ერთი მოადგილის, ზაზა ნაცვლიშვილის წინააღმდეგაც მოახდინა. თუმცა, როგორც, ქოჩორაშვილმა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, ეს ბრალდება უსაფუძვლოა.

მომხდარის შესახებ უკვე საქმის კურსშია საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გურჯაანის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს აკაკი სიხარულიძეს მომხდარის გამო "ხადორჰესსზე" ყოფნისას უსაყვედურა.

შეგახსენებთ, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა გურჯაანის გამგეობაში, გამგებლის სავარძლის მოსაპოვებლად ბრძოლა "წესების გარეშე" იმართება. თუმცა, ამჯერად, როინ ქოჩორაშვილს ზაზა კობიაშვილის "ნოკაუტში" ჩაგდება თანამდებობის დაკარგვად და პატიმრობად დაუჯდა. როინ ქოჩორაშვილის მიმართ ხულიგნობის მუხლით ღძრული საქმე, რომელიც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, როგორც გამომძიებელი პასიკაშვილი აღნიშნავს, შესაძლოა შემსუბუქდეს, ანუ, მუხლის კვალიფიკაცია შეიცვალოს. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება იძიებს.

# ბიწაძემ პატაკი პრეზიდენტსა და საზოგადოებას ჩააბარა

*თბილისის აეროპორტის მოსაწესრიგებლად პრეზიდენტმა სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობას დრო 23 ნოემბრამდე მისცა. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში სასაზღვრო უწყებას ღიმილიანი, უცხო ენისა და თავისი საქმის მცოდნე კონტროლიორები უნდა შეერჩია და განესწავლა. გუშინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი საზოგადოების წინაშე აეროპორტში გატარებული ღონისძიებების ანგარიშით წარდგა.*

ლენა მიქაძე

**"აქამდე მგზავრთა სერიოზულ გაღიზიანებას და ხშირად სამართლიან ჩივილებს ის უზარმაზარი რიგები იწვევდა, რომელიც საკონტროლო-გამშვებ პუნქტებთან იქმნებოდა. დარწმუნებული ვარ, იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც აეროპორტში გატარდა, მგზავრებს პრეტენზიის საფუძველი აღარ ექნებათ,"** – დარწმუნებულია ბადრი ბიწაძე. პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერის შედეგად, უწყებას აეროპორტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მიეცა, რაც ადრე, დაუფინანსებლობის გამო, ვერ ხერხდებოდა. **"80-ლარიან ხელფასზე, საკმაოდ რთულ პირობებში მუშაობის სურვილი ძალზე ცოტას ჰქონდა. ამდენად, პროფესიონალი კადრების გადინების პროცესიც სრულიად ბუნებრივი გახლდათ,"** – ამბობს ბიწაძე. რაც შეეხება გატარებულ ღონისძიებებს, გაიზარდა თბილისის აეროპორტში საერთაშორისო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე მომუშავე პირადი შემადგენლობის რაოდენობა; უახლესი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვა კონტროლიორთა სამუშაო ადგილები; საკონტროლო-გამტარი პუნქტის პერსონალისათვის შეიკერა ახალი ფორმები; კონტროლიორთა მინიმალური ხელფასი 400 ლარამდე გაიზარდა.

გაზრდილი ხელფასის ინტერესით, აეროპორტში მუშაობის დასაწყებად სასაზღვრო დეპარტამენტს ბევრმა მსურველმა მიაკითხა. ტესტირების საფუძველზე შეირჩა 34 კანდიდატი, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე შეუდგა მუშაობას. მცირე ნაწილი კი რეზერვშია. კონტროლიორებმა სპეციალური ორკვირიანი ტრენინგი "ლილოს" სასწავლო ცენტრში გაიარეს.

# "დომოდედოვოზე" "ჰამლეტის" ცივი იარაღი დააკავეს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში რობერტ სტურუამ ამჯერად "ჰამლეტი" და გია ყანჩელთან ერთად შექმნილი მუსიკალური მისტერია "სტიქსი" ჩამოიტანა. მისტერიას პირველად რუსი მაყურებელი იხილავს და შეაფასებს.

მაგრამ მოსკოვში არის მეორე, თეატრალურისაგან განსხვავებული სულ სხვა სამყარო, რომელიც კიდევ უფრო გამკაცრდა ბესლანის მოვლენების შემდეგ. მოსკოვის უკლებლივ ყველა აეროპორტში საგანგებოდ დაწესებული სპეციალური კონტროლი არ არჩევს - პოტენციურ ტერორისტთან აქვს საქმე თუ დიდი შექსპირის ტრაგედიის გმირთან. თბილისიდან სპეციალურად მოსკოვური პრემიერისათვის ჩატანილი "ჰამლეტის" რეკვიზიტი დომოდედოვოს აეროპორტის საბაჟო ტერმინალში დააპატიმრეს. რუსთაველის თეატრის წარმომადგენლებს ადგილობრივმა დაცვამ უბრალო "სკოჩის" შეტანაც აუკრძალა.

"ალბათ იფიქრეს, ამ იარაღით ვინმე ვინმეს მოკლავდა, ან "სკოჩით" ქართველი მსახიობები ასაფეთქებლების გადახვევას შეეცდებიანო. როცა არაფერმა შედეგი არ მოგვცა, იძულებული გავხდით, მოსკოვის სხვადასხვა თეატრებში შეგვეგროვებინა რეკვიზიტი, ანუ "ცივი იარაღი" რობერტ სტურუას "ჰამლეტის" მოსკოვური პრემიერისთვის. შევაგროვეთ უკლებლივ ყველა ინვენტარი, რისი რუსეთში შემოტანის უფლებაც ქართულ დასს არ მისცეს. უნდა გენახათ, როგორი ენთუზიაზმით გვაძლევდნენ თეატრები ამ რეკვიზიტს, როცა იგებდნენ, რომ ეს რობერტ სტურუას სჭირდება!" - გვეუბნება რუსეთის საპროდიუსერო ცენტრ "მედიარეფაბლიკის" პროდიუსერი, ქართული პროექტის ავტორი ირინა გორდინა. მისი თქმით, სპექტაკლის კოსტიუმები და დეკორაციები კონსტანტინ რაიკინის თეატრ "სატირიკონის" დასმა გაიღო; "ცივი იარაღის" დიდი ნაწილი - მოსკოვის ერთ-ერთმა მუზეუმმა არენდით გასცა. არენდატორები თანხას არ ასახელებენ, ამბობენ, რომ ქართული თეატრისათვის არაფერი ენანებათ.

რუსთაველის თეატრის მოსკოვურ გასტროლებზე ყველა ბილეთი ორი თვით ადრე გაიყიდა.

### მოკლედ

### აფხაზთა უხუცესთა საბჭოში განხეთქილებაა

აფხაზეთში 3 ოქტომბრის ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილმა დაძაბულობამ უხუცესთა საბჭოშიც იჩინა თავი. ბოლო სხდომაზე საბჭოს წევრებმა უნდობლობა გამოუცხადეს თავიანთ თავმჯდომარეს პავლე აძინბას და იგი ხელისუფლების მხარდაჭერაში დაადანაშაულეს. მათი განცხადებით, სხდომაზე, რომელზეც სერგეი ბაგაფშისა და რაულ ხაჯიმბას მორიგების შესახებ უნდა ემსჯელათ, აძინბამ მხოლოდ ახლანდელი ხელისუფლების ოჯახის წევრები და მათი ნათესავები მოიწვია.

აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს მორიგი შეკრება 23 ნოემბრისთვის არის დაგეგმილი და მასზე, სავარაუდოდ, ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ. ამასთან, სხდომას თვითაღიარებული რესპუბლიკის ყველა რაიონიდან შვიდ-შვიდი დელეგატი დაესწრება. **მედია-ნიუსი**

### ნინო ბურჯანაძე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი არ გახდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი არ გახდება, თუმცა "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" ერთიანი პოლიტიკური საპარლამენტო გუნდის წევრი იქნება.

როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, პრეზიდენტის პოზიცია პარტიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის ყველა წევრისთვის უკვე ცნობილია. "ვისაც აქვს სურვილი, გაწევრიანდება, ვისაც არა - არ გაწევრიანდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაუწევრიანებელი ადამიანები "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" გაერთიანებული პოლიტიკური გუნდის წევრები არ იქნებიან," - აღნიშნა მან.

პარლამენტის თავმჯდომარე სრულად ეთანხმება პარტიის მომავალი გენერალური მდივნის გიორგი არველაძის განცხადებას, რომელიც მან საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ სხდომაზე გააკეთა. "ჩვენ გვაერთიანებს არა მანდატები და მანდატების ნომრები, არამედ ის იდეა, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის," - დასძინა ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი რაულ ხაჯიმბა უარს ამბობს თავისი კონკურენტის და არჩევნებში ფაქტობრივად გამარჯვებული კანდიდატის სერგეი ბაგაფშის წინადადებაზე, დაიკავოს პრემიერ-მინისტრის ან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. "პრემიერ-მინისტრი მე უკვე ვიყავი. ვიცე-პრეზიდენტობა კი არჩევითი თანამდებობაა და შესაბამისი კანდიდატი ბაგაფშს უკვე ჰყავს," - განაცხადა სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ხაჯიმბამ. მისივე თქმით, ბაგაფშის სურვილი, რომ 6 დეკემბერს მისი, როგორც პრეზიდენტის ინაუგურაცია მოეწყოს, კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც რთულ ვითარებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, რომელიც ვიზიტით ჩილეში იმყოფება, კატეგორიულად უარყო ოფიციალური თბილისის განცხადება, რომ რუსული სპეცსამსახურები ქვეყნის ენერგოსისტემაზე დივერსიულ აქტებს ამზადებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, ხელისუფლების საქმიანობით გულგატეხილი "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების ერთი ნაწილი მათ პარტიაში გაწევრიანებას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კულტურის და სპორტის სფეროში პროექტების მხარდაჭერას და დაფინანსებას ევროსაბჭო 2005 წლიდან აქტიურად დაიწყებს. ამ დღეებში კი ევროსაბჭოს პროექტის STAGE-ის ფარგლებში თბილისში ჩატარდა სემინარი "საქართველოში წიგნის პოლიტიკის გატარებისა" და "სამხრეთ კავკასიაში ბიბლიოთეკების სტრატეგიის შესახებ". საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის თქმით, ახალ საგადასახადო კოდექსში საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებით შევა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც წიგნის გამოცემისთვის საჭირო პროცედურები დღგ-სგან გათავისუფლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო 2004-2006 წლებში სხვადასხვა პროექტისთვის მილიარდ დოლარს მიიღებს. ამ საკითხისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გაიმართა, ქართული მხარე და დონორი ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ უცხოელების მონაწილეობით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც საჯარო რეესტრის სისტემის ახალ მოდელს შეიმუშავებს. პროექტს დონორთა მხრიდან კოორდინაციას ეუთო გაუწევს, საქართველოს მხრიდან კი – იუსტიციის სამინისტრო. პროექტის საბოლოო ვარიანტს საერთაშორისო კონფერენციაზე დეკემბერში წარადგენენ. აქვე, ახალი მოდელის ამოქმედებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვაც შესაძლებელი გახდება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

## "მეძროვეთა" სასამართლო პროცესი

**ადვოკატი**
ჯაბა სამუშია ისტორიკოსი



**ბრალმდებელი**
ბონდო კუპატაძე ისოტორიკოსი



**განსასჯელები**
"მედროვეები" მესტუმრე ჯიქური და სადუნ მანკაბერდელი - XIII საუკუნის შუა ხანების (მონღოლთა პერიოდის) პოლიტიკური მოღვაწეები

**ბრალდება**
მესტუმრე ჯიქურს და სადუნ მანკაბერდელს ბრალი ედებათ საქართველოს ერთიანი ეკონომიკის მოშლაში, ქვეყნის დაშლასა და მონღოლური "ზნეობის" წესჩვეელებათა დამკვიდრებაში

**ბრალმდებლის მოთხოვნა**
მესტუმრე ჯიქური და სადუნ მანკაბერდელი შეფასდნენ როგორც უარყოფითი სტორიული მოღვაწეები

**განჩინება**
ბრალდებულები გამოცხადდნენ უდანაშაულოდ

**ვერდიქტი**
მესტუმრე ჯიქურისა და სადუნ მანკაბერდელის მიმართ წამოყენებული ბრელდება სასამართლომ (7 ხმა 5-ის წინააღმდეგ) სცნო უსაფუძვლოდ

**12 ნაფიცი მსმენელი :**

1. ანონიმი (უდანაშაულოა)
2. ანონიმი (უდანაშაულოა)
3. ანონიმი (დამნაშავეა)
4. ანონიმი (დამნაშავეა)
5. ანონიმი (დამნაშავეა)
6. ანონიმი (უდანაშაულოა)
7. ანონიმი (უდანაშაულოა)
8. ანონიმი (უდანაშაულოა)
9. ანონიმი (უდანაშაულოა)
10. ანონიმი (დამნაშავეა)
11. ანონიმი (დამნაშავეა)
12. ანონიმი (უდანაშაულოა)

# 23 ნოემბრის არჩევანი

### წერილი პირველი

დიმიტრი შველიძე

### ყოვლისმომცველი კრიზისი

1920 წლის 12 იანვარს დასავლეთის უპირველესმა სახელმწიფოებმა ცნეს საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა. 14 იანვარს შედგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სადღესასწაულო სხდომა, რომელსაც სიტყვით მიმართა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. "მოქალაქენო! - მიმართავდა იგი კრებას, - ნება მიბოძეთ, მიგილოცოთ თქვენ, მივულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხთა გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის"...

მთავრობის თავმჯდომარე განაგრძობდა: "აქ არის დიდი ბრიტანია - სამშობლო კულტურის, დიდი წარმოების და თავისუფალი მმართველობისა. აქ არის საფრანგეთი - სამშობლო დიდი რევოლუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა. აქ არის შეერთებული შტატები - სამშობლო დიადი დემოკრატიისა და პოლიტიკური შემოქმედებისა. აქ არის მშვენიერი იტალია - ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახალი ცივილიზაციისა, ისეთი ცხელი მზით და მკვირცხლი ხალხით, როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხია. აი ამათ ჩვენი გაწვდილი ხელი მეგობრულად ჩამოგვართვეს და ახლად შობილი სახელმწიფოს მიმრქმელის როლი იტვირთეს...".

ეს სიტყვები 84 წლის წინ წარმოითქვა და ისეთი თანამედროვე ჟღერადობისაა, თითქოს მათ დღეს ამბობდეს საქართველოს პრეზიდენტი. ვრცელი ამონარიდი ზემოაღნიშნული მიმართვიდან კი იმ მიზნით მოვიყვანეთ, რომ იგი მჭერმეტყველურად მიგვანიშნებს, თუ რატომ და რა მიზნით მოხდა ერთი წლის წინ ჩვენში ის, რასაც "ვარდების რევოლუციას" ვუწოდებთ.

რა თქმა უნდა, ნოემბრის მოვლენებს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიზეზი განაპირობებდა. 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებამ და გარედან პროვოცირებულმა "ეთნოკონფლიქტებმა" ქვეყანაში ღრმა კრიზისს დაუდო სათავე. წინა ხელისუფლებამ გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა და თითქოს ჰქონდა პრეტენზია, რომ სახელმწიფო მრავალმხრივი კრიზისიდან გამოეყვანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა არსებულიდან თვისობრივად ახალ მდგომარეობაში უნდა გადასულიყო და ტრანსფორმაცია განეცადა რამდენიმე პარამეტრით მაინც: საერთაშორისო იზოლაციიდან - დასავლურ სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციამდე; ეკონომიკური ნგრევიდან - ეკონომიკურ აღორძინებამდე; სამოქალაქო დაპირისპირებიდან - სტაბილურ საზოგადოებამდე; ეთნოკონფლიქტების პროვოცირებისა და ტერიტორიული დანაკარგების საშიშროებიდან - ეთნიკური მშვიდობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფამდე და სხვა არაერთი კოლიზიური სფეროების ზრდა-გამრავლებიდან - მათ განეიტრალებამდე; წონასწორობის, ურთიერთსოლიდარული და მშვიდობიანი სამოქალაქო საზოგადოების შექმნამდე.

ფაქტობრივად, წინა ხელისუფლებამ ვერც ერთ ზემოაღნიშნულ და სხვა სფეროებში ვერ შეძლო სტრატეგიული ხასიათის წარმატებების მიღწევა, ვერც ეკონომიკაში, ვერც სოციალურ ასპექტში, ვერც მრეწველობა-მეურნეობაში, ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა თუ საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა უბნებზე. პირიქითაც შეიძლება ითქვას. ძველ კოლიზიურ და დესტრუქციულ პროცესებს ახალი ნეგატიური ხასიათის მოვლენები დაემატა.

შეიქმნა ახალი ბიუროკრატია და მაფიოზური კლანები, რომელნიც სახელმწიფო თუ სახალხო ქონების ძარცვა-მითვისების გზით ან კლანური პრინციპებით მართავდა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ქვეყნის სამეურნეო, ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-კულტურული ყოფის თითქმის ყველა სტრუქტურა კორუფციამ მოიცვა. ეს უკანასკნელი, რიგი სოციალური ჯგუფებისათვის, ფაქტობრივად ცხოვრების წესად და ერთადერთ გამოსავლად იქცა. დაირღვა მოსახლეობაში მეტ-ნაკლებად არსებული სოციალური წონასწორობა და გაღრმავდა სოციალური პოლარიზაცია. ამ ყველაფერს მოჰყვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და თითქმის დაკანონება რიგი წამგებიანი ხელშეკრულებებით. მიუხედავად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანებისა, წინა ხელისუფლებამ, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ და არა სხვა ვინმემ, ვერ აიცილა თავიდან რუსეთისაგან პროვოცირებული სამხედრო კონფლიქტი რუსეთთანვე და დაკარგა აფხაზეთი, ამ კატასტროფიდან გამომდინარე დამღუპველი შედეგებით. აღარ ჩამოვთვლით.

იმისათვის, რომ სახელმწიფო ყოვლისმომცველი კრიზისად გამოსულიყო, საჭირო და აუცილებელი გახლდათ პრობლემათა პრობლემის გადაწყვეტა - ე.ი. უმთავრესი პრობლემის განეიტრალება, რომლისგანაც მომდინარეობდა სხვა ყველა დანარჩენი პრობლემა. ეს იყო - საგარეო ფაქტორი. საქართველოში მიმდინარე ათ-თორმეტწლიანი ყოვლისმომცველი კრიზისის მუდმივი მასაზრდოებელი - სწორედ საგარეო ფაქტორი გახლდათ. უარყოფითი საგარეო ფაქტორი - საგარეო ორიენტაციის საკითხის მოგვარებას უნდა გადაეწყვიტა.



ზესო გულაშვილის ფოტო

### საგარეო ორიენტაციის პრობლემა

საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის იშვიათი გეოპოლიტიკური მდებარეობა მრავალი საუკუნის მანძილზე, ლამის წყევლად ექცა ქართველ ხალხს. მას შემდეგ, რაც ძვ.წ.აღ-ის მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში, ალექსანდრე მაკედონელის ბერძნულ-მაკედონურმა ფალანგებმა მარშით გადასერეს სპარსეთის ვრცელი იმპერია, ახლო აღმოსავლეთი და მასთან ერთად სამხრეთ კავკასია იქცა მუდმივი ცილობის ობიექტად დასავლურ და აღმოსავლურ იმპერიებს შორის. რომი და პართია, რომი და სასანიდების ირანი, ბიზანტია და ირანი, ბიზანტია და არაბები, ბიზანტია და თურქ-სელჩუკები, ილხანთა და ოქროს მონღოლური ურდოები, ოსმალეთი და ყიზილბაშური ირანი, რუსეთი და ირან-თურქეთი, რუსეთი და გერმანია, რუსეთი და ანტანტის ქვეყნები - აი იმ გიგანტური სახელმწიფოების არასრული სია, რომელნიც ორი ათასი წლის მანძილზე ეცილებოდნენ ახლო აღმოსავლეთ-კავკასიის ტერიტორიას, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე და სინას ნახევარკუნძულიდან კავკასიონის ქედამდე იყო გადაჭიმული.

ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება - ახლო აღმოსავლეთ-კავკასიის დაუფლებისათვის და სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ სწორედ ეს ტერიტორია ითვლება დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე ცხელ რეგიონად. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასია-საქართველოში მომძლავრება იწყო დასავლურმა კაპიტალმა. შესაბამისად იზრდებოდა დასავლური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური ლიდერის - აშშ-ს დაინტერესებაც. ტრადიციულად, საქართველო კვლავ ორი დიდი სახელმწიფოს - შეერთებული შტატების და რუსეთის ინტერესების დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ამგვარ ვითარებაში საქართველოს წინა ხელისუფლება ბალანსირების ცნობილ პოლიტიკას დაადგა. იგი ხან ერთი, ხან მეორე გავლენის მაძიებელი ზესახელმწიფოს შორის მანევრირებას ეწეოდა, ხან ერთ მხარეს უთმობდა, ხან მეორეს, ხან პროდასავლურ კურსს ახორციელებდა, ხან პრორუსულ ნაბიჯებს დგამდა და ხან კი ორივე მხარის სტრატეგიულ მოკავშირედ აცხადებდა თავს. ორმაგი სტანდარტების პირობებში ქვეყნის საგარეო ორიენტაცია ბუნდოვანი რჩებოდა, როგორც შინა, ისე გარესამყაროსათვის. გავიხსენოთ, თავდაპირველად, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საქართველო დსთ-ს შემადგენლობაში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მან რუსეთის სამხედრო ნაწილების უშუალო დახმარებით "გაანთავისუფლა" დასავლეთ საქართველო კანონიერი ხელისუფლების მომხრე მზარდი ძალებისაგან.

1995 წლიდან თითქოს პროდასავლური პრიორიტეტები მომძლავრდა. საფუძველი ჩაეყარა საქართველოზე გამავალ დიდ საერთაშორისო პროექტებს, ხელი მოეწერა სტამბულის სამიტზე მიღებულ ხელშეკრულებას რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. ამის შემდეგ კვლავ პრორუსული თამაშები დაიწყო. 2000 წლის შემოდგომა-ზამთარში რუსეთის გააქტიურებას საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან რიგი დათმობებისა მოჰყვა, რამაც კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ პროდასავლური კურსის რეალურობა.

რა თქმა უნდა, სანამ რეგიონში ამგვარი გარდამავალი "ორგავლენიანობა" გრძელდებოდა და ხელისუფლებაც თავს იკავებდა, საბოლოოდ გაეცხადებინა თავისი საგარეო ორიენტაციული არჩევანი, მანამდე ქვეყანაში არანაირ ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ-პოლიტიკურ პროგრესზე საუბარი არ შეიძლებოდა. ყველა სფერო უძრაობამ მოიცვა. ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ჩვენ ამგვარ გაურკვეველ რეალობას "გეოპოლიტიკური მოლოდინის" მდგომარეობა ვუწოდეთ. გეოპოლიტიკური მოლოდინი ნიშნავდა ხელისუფლების მიერ მტკიცე საგარეო ორიენტაციის უქონლობისა და გადაწყვეტილების გაურკვეველი ვადით მიუღებლობის პოზიციას, სანამ არ გამოიკვეთებოდა რეგიონში ერთ-ერთი გავლენის მაძიებელი მხარის უპირატესობა.

გეოპოლიტიკური მოლოდინის ფაქტორი თავისთავად განაპირობებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში - უძრაობას, პრიორიტეტებისა და დასაყრდენის უქონლობას. ერთი სიტყვით, საგარეო ორიენტაციის გაურკვევლობა იყო ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც განაპირობებდა სხვა ათეულობით პრობლემების გადაუჭრელობას და მოუგვარებლობას, მათს კონსერვაციას. ქვეყნის ხელისუფლება ჩიხში შევიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით ჩამოსული დასავლეთის ქვეყნების ექსპერტები დაჟინებით შეახსენებდნენ ხელისუფლებას და საზოგადოებას, რომ საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა დემოკრატიასა და გაურკვევლობას, ე.ი. საბოლოო არჩევანი - დასავლეთსა და ჩრდილოეთს შორის.

ასეთ ვითარებაში დაიწყო 2 ნოემბრის არჩევნები საქართველოში, უფრო სწორი იქნება ვთქვათ - არჩევნების შედეგების დათვლა. ჩვენში კი არჩევნების შედეგების დათვლა, თუ მთლად არა, მნიშვნელოვნად მაინც სტალინის ცნობილი პრინციპით მიმდინარეობდა - არჩევნებს ის იგებს, ვინც ითვლისო. 6 ნოემბერს აჭარიდან ცესკო-ში შემოსულმა მონაცემებმა რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგების სურათი. მოულოდნელად: "დემოკრატიული აღორძინების კავშირმა" უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი და სახელისუფლო ბლოკის შემდეგ მეორე ადგილზე მოკალათდა.

ქვეყნის პროდასავლურ და პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს შორის ადრე არსებული ბალანსი დაირღვა უკანასკნელთა სასარგებლოდ. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აილო გეზი ჩრდილოეთისაკენ და კვლავ საეჭვო გახადა დეკლარირებული პროდასავლური კურსი. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით კვლავ უნდა გაგრძელებულიყო მანევრირების პოლიტიკა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ თავად გადაწყვიტა არჩევანის გაკეთება, რაც 12 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ხელისუფლებამ.

### ღირებულებათა არჩევანი რევოლუციის გზით

რა თქმა უნდა, ერთი წლის წინ განვითარებული პერიპეტიების ქრონიკას აღარ გავიხსენებთ. ჩვენთვის უფრო აქტუალურია მომხდარის არსი. ჩვეულებრივი პოლიტიკური ტერმინოლოგიით, რომელსაც მაშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღე და ღამე გადმოსცემდნენ, ის იყო, რომ ქუჩაში გამოსულმა ხალხმა აირჩია დემოკრატიის გზა. ზოგადად ეს მართალი იყო. მაგრამ უფრო მართებული ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ადრე მხოლოდ პიროვნებებს ან პარტიებს უჭერდა მხარს, ახლა არჩევანი გააკეთა ძველსა და ახალ ღირებულებებს შორის.

ახალი ღირებულებების მხარდაჭერა ნიშნავდა: სოციალურ-ეკონომიკური სიღატაკის, ჩამორჩენილობის, პოლარიზაციის დაძლევას რეფორმების რეალური განხორციელების გზით; ეკონომიკური აღმავლობის რეალიზებას, დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობას და არა მხოლოდ მათ დეკლარირებას; კორუფციის წინააღმდეგ რეალურ ბრძოლას; კანონის ამოქმედებას და კანონმორჩილების დამკვიდრებას, ეროვნულ-კულტურულ ფასეულობათა დაცვა-განვითარებას ევროპულ-დასავლური ცივილიზაციის მიღწევებთან თანაზიარობა-ინტეგრაციის გზით; საგარეო პოლიტიკაში საზოგადოების არჩევანი გულისხმობდა - მტკიცე დასავლურ ორიენტაციას, ქვეყნის გაერთიანებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსსა და სხვა დასავლურ სტრუქტურებში, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის გარანტიების უზრუნველყოფა.

მაგრამ ქართველი საზოგადოება და საქართველოს მოსახლეობა არ იყო ერთგვაროვანი. საზოგადოების მეორე ნაწილი სიტყვიერად არ იყო ახალი ღირებულებების წინააღმდეგი, მაგრამ ფაქტობრივად ძველ ღირებულებებს იცავდა, რაც შემდეგს ნიშნავდა: ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში არსებული მდგომარეობის კონსერვაციას და ამით საკუთარი ინტერესების რეალიზაციას, ძველი ინერციით; სოციალური პოლარიზაციის პროცესისადმი შეგუებას და ამით მისი გაღრმავების ხელშეწყობას; დემოკრატიული სტრუქტურების შექმნით დაუინტერესებლობას და მასთან შინაგან შეუგუებლობას, როგორც უცხო ფენომენთან; დასავლურ კულტურულ-ინტელექტუალურ სივრცესთან შეურიგებლობას და მის მიმართ გაუცნობიერებელ შიშს იმის გამო, რომ თითქოს დასავლური ცივილიზაცია წალეკვით ემუქრება ქართველ ერს, ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს. საგარეო პოლიტიკის სფეროში ეს ყველაფერი თავს იყრიდა ფარულ მიდრეკილებაში, ჩრდილოეთისადმი ორიენტაციაში, რასაც საზოგადოების ეს ნაწილი ხმამაღლა იშვიათად გამოთქვამდა რუსეთის აგრესიული იმიჯის სიაშკარავის გამო. ბოლოს და ბოლოს რა ახსნა უნდა მოეძებნათ ამ ყაიდის რუსეთუმეებს იმ ფაქტისათვის, რომ მხოლოდ რუსეთმა და არა ვინმე სხვამ აფხაზეთიდან გამორეკა 300 000-მდე მკვიდრი მოსახლეობა. ამისი მსგავსი ფაქტი კი შაჰ-აბასის ეპოქიდან არ ახსოვდა საქართველოს ისტორიას.

ზემოაღნიშნულ ღირებულებათა ორი ჯგუფის ურთიერთდაპირისპირებაში ქართველი საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა არჩევანი პირველ მათგანს მიანიჭა და აქტიურად დაუჭირა მხარი დემოკრატიის განმასახიერებელ პოლიტიკურ ჯგუფებს. რაც მთავარია, აღნიშნული ოპოზიციური ძალები საგარეო პოლიტიკის სფეროში მტკიცედ გამოკვეთილ დასავლურ ორიენტაციას ადგნენ.

ახლა, რაც შეეხება დასავლეთის მხარდაჭერას და როლს 23 ნოემბრის მოვლენებში. ამას წინათ ტელეგამოსვლაში ერთი პატივცემული ლეიბორისტი სტუმარი მოარულ ამბავს იმეორებდა, რომ ნოემბრის რევოლუცია სოროსის ფონდის მიერ დაგეგმილ-განხორციელებული სცენარი გახლდათ. ეს თემა უფრო დიდი ისტორიულ-პოლიტიკური თემის ნაწილია და მისი სახელწოდებაა - "დიდი სახელმწიფოების სცენარები და პატარა ქვეყნის (საქართველოს) შინაგანი ეროვნული ენერგიის შესაბამისობა".

დიახ, პატარა ქვეყნების პოლიტიკური რეალობა ხშირად თავსდება დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ სცენარებში. ეს მწარე სინამდვილეა. აქ მთავარია, მცირერიცხოვანი ხალხის ეროვნული ნება როგორ შეესაბამება სხვის - დიდი სახელმწიფოს ნებას. საქართველოს ისტორიის არცთუ ღრმა ცოდნაა საჭირო იმის გასაცნობიერებლად, რომ ქრისტეშობიდან აქეთა პირველ ათასწლეულში საქართველო ხშირად "იჯდა" რომში, კონსტანტინეპოლსა თუ ბაღდადში შემუშავებულ პოლიტიკურ სცენარებში.

მეორე ათასწლეულში, ბაგრატ მესამიდან (975-1014) თითქმის გიორგი მერვის მეფობამდე (1446-1476), საქართველო, ძირითადად, ხუთსაუკუნოვანი პერიოდის მანძილზე საკუთარ ნებას ახორციელებდა როგორც შინა, ისე საგარეო-საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. რაც შეეხება უკანასკნელ ხუთ საუკუნეს, ესეც კარგადაა ცნობილი, რომ ქართველი ხალხი იძულებული იყო, გასაგები მიზეზების გამო, სხვათა მიერ შემუშავებულ და მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ-სასურველ პოლიტიკურ სცენარში ეძებნა საკუთარი ნების განხორციელების შესაძლებლობანი.

უკანასკნელ თხუთმეტწლეულში საქართველო-სამხრეთ კავკასიაში ორი დიდი სცენარი დაუპირისპირდა ერთმანეთს - მოსკოვში და ვაშინგტონში შემუშავებული და ქართულ-ეროვნულ ნებაენერგიასაც რომელიმე მათგანში უნდა ეძებნა თვითგამოხატვისა და თვითგანვითარების შესაძლებლობა. თუ ვინმე გამოვა და იტყვის, ასე არ არის, მე მხოლოდ თბილისში დაწერილ სცენარს ვცნობ და არც მოსკოვი, არც ვაშინგტონი, არც სხვა რომელიმე დიდი დედაქალაქი არაფრად მიმაჩნიაო, ეს უბრალოდ ან გულუბრყვილობად, ან ელემენტარულ თაღლითობად უნდა მივიჩნიოთ.

23 ნოემბრის მოძრაობას დასავლეთი და მისი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერი - აშშ აქტიურად თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა, მაგრამ ეს იყო ქართველი საზოგადოების არჩევანი. მხოლოდ მისი ენერგიის გამოვლენის წყალობით მოვიდნენ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების სათავეში იმჟამინდელი დემოკრატიული ოპოზიციის ძალები. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთის ინტერესები და ქართველი ხალხისა ნება, ისევე როგორც უკანასკნელი ორი ათასი წლის მანძილზე, კიდევ ერთხელ დაემთხვა ერთმანეთს.

"დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, - მიმართავდა 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარე დამფუძნებელ კრებას, - აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს... გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის ევროპასთან დაკავშირებას!"

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# მსოფლიო ბაზარზე ხორბალი ძვირდება

## რა გავლენა ექნება ამას საქართველოს ბაზარზე?

*ნოემბრის ბოლოდან მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასების მომატებას ვარაუდობენ ექსპერტები, რაც მათივე ახსნით ჩვეულებრივი სეზონური მოვლენაა. რა გავლენას მოახდენს მსოფლიო ბაზრის ეს ტენდენციები საქართველოზე? სოფლის მეურნეობის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში დღეს არსებული ხორბლის ფასი კარგა ხანს შენარჩუნდება და მოსახლეობას პურის გაძვირების არანაირი საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ხორბლის ექსპორტიორთა ერთი ნაწილი საპირისპიროს ამტკიცებს.*

ეთერ მამულაშვილი

მათი ვარაუდით, საქართველოში ხორბლის ბაზარზე ფასების მატება დეკემბრიდან დაიწყება, თუმცა ეს უმნიშვნელო იქნება. ამ მოსაზრებას პურპროდუქტების სფეროში მოღვაწე შპს "აგროსისტემების" წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რაც მათივე განმარტებით, ხორბლის მოსავლის აღების დამთავრებას და ზამთრის პერიოდის დადგომას უკავშირდება, **"როგორც წესი, ასეთი ფასმატება ყოველ სეზონზე ხდება და წლევანდელი წელი ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნებოდა,"** - აცხადებენ "აგროსისტემებში".

დღეს ერთი ტონა ხორბლის საშუალო ფასი 330 ლარია (დღგ-ს გარეშე). ექსპერტების პროგნოზით, ხორბლის ფასი ამ ნიშნულზე საქართველოში ნოემბრის ბოლომდე შენარჩუნდება.

საპირისპიროს ამტკიცებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. აქ ირწმუნებიან, რომ დღეს საქართველოში ხორბლისა და ფქვილის არანაირი დეფიციტი არ არსებობს. მეტიც, სამინისტროს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ომარ კაჭარავას თქმით, ქვეყანას ამ დროისთვის თითქმის სამი თვისთვის საკმარისი ხორბლის სახელმწიფო მარაგები გააჩნია. **"საქართველოში ხორბლის მარაგის რაოდენობა საკმარისია, ქვეყანაში ხორბლისა და ფქვილის დეფიციტი არ შეიქმნება და დღევანდელი ფასი ამ მარაგების ამოწურვამდე შენარჩუნდება, მერე კი ახალი მოსავალიც გაჩნდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კაჭარავამ.

სამინისტროს ამ პოზიციას პურპროდუქტების მწარმოებელთა გაერთიანება "გლობალ-აგროს" წევრებიც იზიარებენ. მათი თქმით, წელს ქვეყანაში ხორბალზე ფასის გაზრდა არ არის მოსალოდნელი, რადგან საქართველოს ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში არსებული ფასები ახალ მოსავლამდე შენარჩუნდება. **"ხორბლის ფასი შეიძლება გაიზარდოს აშშ-ში, კანადაში, არგენტინაში, საიდანაც საქართველოს ხორბალი თითქმის არ შემოაქვს,"** - გვითხრა გლობალ-აგროს ეკონომიკური სამსახურის უფროსმა თემურ კოპალეიშვილმა.

ცნობისათვის, სახელმწიფო რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებული ხორბალია. აქედან ყველაზე ბევრი ამერიკული ხორბალია, რომელიც ჰუმანიტარული პროგრამით "სურსათი პროგრესისათვის" აშშ-ს მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებას აგვისტოში გადასცა. 50 ათასი ტონა ამერიკული ხორბლის რეალიზაცია თითქმის ორი თვეა, ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის ბირჟის საშუალებით ხდება. ამ დროისთვის გაყიდულია დაახლოებით 8 ტონა ხორბალი. მიღებული შემოსავალი მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ სექტორში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს მოხმარდება. უპირატესობა ბირჟაზე იმ კლიენტს ენიჭება, რომელიც ნაყიდ ხორბალს შიდა მოხმარებისთვის აწარმოებს. შექმნილია სპეციალური, მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ბირჟაზე გაყიდულ ხორბალს გააკონტროლებს. ბირჟაზე ვაჭრობა საშუალოდ კვირაში ერთხელ იმართება, გასაყიდი ხორბლის კვოტებსა და ლოტებს მთლიანად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგენს.

სახელმწიფო რეზერვებში მხოლოდ 45 ათას ტონაზე ოდნავ ნაკლებია ადგილობრივი რესურსი.

ამას დაემატება ყაზახეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის ჰუმანიტარული ტვირთის სახით გამოყოფილი 1000 ტონა სასურსათო ხორბალი, რომელიც საქართველოს საზღვრებს უახლოეს დღეებში მოადგება. ყაზახურ ხორბალს ის წისქვილკომბინატები გადაამუშავებენ, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სპეციალურ კონკურსში გაიმარჯვებენ. გადამუშავებული ხორბლის ერთი ნაწილი სტიქიით დაზარალებულ მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდება. ჰუმანიტარული ტვირთის დარჩენილი ნაწილი კი სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან დევნილებს შორის განაწილდება. ამ ეტაპზე საქართველოსა და ყაზახეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის ორგანიზაციულ საკითხებზე მოლაპარაკებები დასრულებულია და, როგორც ომარ კაჭარავა აცხადებს, ყაზახეთის საჩუქარს საქართველო უახლოეს დღეებში მიიღებს.

სხვათა შორის, "აგროსისტემების" ინფორმაციით, დღეისთვის ქვეყნის შიდა ბაზარზე ხორბლის არსებული რესურსი 70 ათას ტონას შეადგენს, საიდანაც 45 ათას ტონამდე მარაგი ხსენებულ შპს-ს ეკუთვნის. დარჩენილი 25 ათასი ტონა იმპორტირებული და განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა წისქვილქარხნებში, კერძოდ, შპს "ალაფში," შპს "პროგრესში," შპს "მზეკაბანში," შპს "ფორტეში," სს "დიდუბის წისქვილქარხანაში." ცნობისათვის, ექსპერტული გათვლებით, საქართველოში სასურსათო ხორბლის ყოველთვიური მოხმარება დღეს 40-60 ათას ტონამდე მერყეობს.

**პატიმართა სახელოსნოებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო-დანადგარების შესყიდვა საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმის პროექტისათვის**

EuropeAid/120612/L/S/GE

ევროპის კომისიას დაგეგმილი აქვს გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმის პროექტისათვის ხელსაწყო-დანადგარების მიწოდების, დამონტაჟებისა და ექსპლუატაციაში გაშვების, ასევე კადრების მომზადების (ტრენინგების) შესახებ. პროექტი ხორციელდება ევროპის თანამეგობრობის TACIS-ის პროგრამის ფინანსური დახმარებით. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით შემდეგ მისამართზე:

**http://europa.eu.int/comm.europeaid/tender/index-en.htm**

**სატენდერო დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 22 დეკემბერი, 10:00 სთ. ადგილობრივი დროით.**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**22 ნოემბერს, 10.00-დან 16.00-სთ-მდე:**
ჩოლოყაშვილის, ჩოლოყაშვილის II კვარტლის, ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ), ლერწმის, მალხაზის, მანავის, გორმოვის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 ნოემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგის გამზირების(ნაწილობრივ), გაბაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**24 ნოემბერს 11.00-დან 13.00-სთ-მდე:**
ილია ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ყიფშიძის(ნაწილობრივ) ქუჩის მაცხოვრებლებს.

**24 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
კიკვიძის, ფარავნის, მიჩურინის, თეთნულდის, როსტოვის, ქინქლაძის, ყირიმის, პალიასტომის, ჩიტაიას, ლარეხის, ართვინის, მამარდაშვილის, ჩეჩელაშვილის, უფლისციხის, ნორიოს, საქარის, ქვალონის, ცაიშის, ასხინის, სალხინოს, ლებარდეს, სენაკის, ხონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**24 ნოემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელი ტაბახმელის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

# რევოლუციის წლისთავზე კახეთში „შუქი მოვიდა"

## ხელისუფლებამ ჩინელებთან შეთანხმება მხოლოდ ლარის კურსის გამყარების შემდეგ მოახერხა

ზვიად რუაძე
მაია ურუშაძე

*ფორსმაჟორულ პირობებში, ჩინური ინვესტიციებით მშენებარე "ხადორჰესი" ექსპლუატაციაში შევიდა. ჰიდროელექტროსადგურის ძრავა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩართო და კახელებს, რევოლუციის წლისთავზე, ნათურების განათება მიულოცა და აქვე ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ენერგეტიკაზეა დამოკიდებული. "თუ შუქი არ იქნება, ვერ იმუშავებენ საწარმოები და თავისთავად ინვესტიციებსაც არავინ ჩადებს, რადგან ეკონომიკის განვითარება ენერგეტიკაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება დივერსნატებს, ჩვენ ვაძლიერებთ ენერგოობიექტების დაცვას და ვერავინ შეგვიშლის ხელს რევოლუციის წლისთავის აღნიშვნაში," - აცხადებს ქვეყნის პირველი პირი.*



ზვიად რუაძის ფოტო

*ჰიდროელექტროსადგურის ძრავა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავად ჩართო და კახელებს, რევოლუციის წლისთავზე, ნათურების განათება მიულოცა.*

როგორც იქნა, საქართველოს ენერგოსექტორში უცხოურ ინვესტიციას მწვანე შუქი აენთო. პანკისის ხეობაში აშენებული 24-მეგავატიანი "ხადორჰესი" პირველი ელექტროსადგურია, რომელიც საქართველოში ყოველგვარი ქვეტექსტებისა და შორს მიმავალი ზრახვების გარეშე დაპროექტდა და აშენდა. ზუსტად ოთხი წლის წინ, როცა პანკისის ხეობა ტერორისტების და კრიმინალების სათარეშო ადგილს წარმოადგენდა, ჩინურმა "სიჩუანის" კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკაში მოგების პერსპექტივა დაინახა, უბრალოდ, აიღო და მაშინ, როცა ამ სექტორში ცხვირის შემოყოფას მყარი პოლიტიკური ზურგის გარეშე ვერავინ ბედავდა, დარგში 30 მილიონი დოლარი დააბანდა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "ხადორჰესი" ზამთრის სეზონზე ახმეტის და თელავის რაიონების ელექტრომომარაგებისთვის საკმარის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ზაფხულის სეზონზე კი, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთელ კახეთს ეყოფა. ჰესის საკონტროლო – 93-პროცენტიანი პაკეტი "სიჩუანის" კორპორაციას, 8-პროცენტიანი წილი კი ქართულ სამშენებლო კომპანია "ფერი"-ს ეკუთვნის.

24-მეგავატიანი "ხადორჰესის" მშენებლობა 2001 წელს დაიწყო, თუმცა თავდაპირველად, საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ კომპლექსში ჩინელების მიერ დაბანდებული კაპიტალი საკმაოდ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ 2000 წელს, როცა ჩინელები საქართველოს ენერგოსექტორით დაინტერესდნენ, მთავრობამ მათ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება აღუთქვა. ამასთან, ჰესის მშენებლობის დასრულებისთვის, ელექტროენერგეტიკული სექტორის ყველა მმართველი რგოლის მენეჯმენტი უკვე უცხოელების ხელში უნდა ყოფილიყო, დენის საფასურის ამოღებას კი 75-პროცენტიანი ნიშნული უნდა გადაელახა. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩინელებმა საკმაოდ თამამი ეკონომიკური გათვლები გააკეთეს და ჰესის სავარაუდო ტარიფად 6,7 ცენტი განსაზღვრეს.

იმ ვითარებაში, როცა საქართველოში ჰესებისთვის სემეკ-ის მიერ დაწესებული მინიმალური სატარიფო ზღვარი 1,7-დან 2,2 თეთრამდე მერყეობდა, ასეთი გათვლების არგუმენტაცია ის იყო, რომ ჩინურმა კომპანიამ ინვესტიციის ძირითადი ნაწილი ჩინური "ექსიმბანკისგან" 8-წლიანი ვადით ისესხა, რაც, თავის მხრივ, ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის საკმაოდ მოკლე ვადაა.

შედეგად, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის "ხადორჰესის" ტარიფი მაღალი აღმოჩნდა, რაც სამომხმარებლო ტარიფის მატების საშიშროებას ქმნიდა, ამიტომაც ჩინელებს პრობლემები შეექმნათ. გორდიას კვანძად ელექტროენერგეტიკულ სექტორში დენის ამოღების საფასურის დაბალი მაჩვენებლები იქცა, რამაც ჩინური კორპორაციის კახეთის სადისტრიბუციო სექტორით დაინტერესება განაპირობა.

**"მაშინდელი კურსით ტარიფი დაახლოებით 11,5 თეთრს შეადგენდა, რაც დიდ თანხას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად ხადორი წაიღებდა დაახლოებით იგივე საფასურს, რაც ენგურჰესს მიაქვს. გარდა ამისა, დაფიქსირებული იყო ბაზრიდან ასპროცენტიანი ამოღების სისტემა, სხვადასხვა გარანტიებით, დაფიქსირებული იყო, აგრეთვე, სახელმწიფო გარანტია. ანუ თუ ენერგობაზარი ვერ აანაზღაურებდა დახარჯული კილოვატების საფასურს ან ჰესი არ გამოიმუშავებდა არცერთ კილოვატ საათს, ამის მიუხედავად ენერგობაზარი მაინც ვალდებული იყო, გადაეხადა ჰესისთვის თანხა, რომელიც ყოველთვიურად მილიონ ლარს წარმოადგენდა,"** - ამბობს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური.

მშენებლობას ხშირად ექსცესებიც ახლდა. რამდენჯერმე ჰესთან განლაგებული ხიდები ააფეთქეს. ამ ყველაფერს ემატებოდა ხეობაში მყოფი კრიმინალური სამყაროს პრეტენზიები, ისინი უცხოელი ინვესტორებს გარკვეული თანხის გადახდას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ჰესის აფეთქებითაც იმუქრებოდნენ. მდგომარეობა და მშენებლობის პროცესი მშვიდად მას შემდეგ გაგრძელდა, როცა ხელისუფლებამ კრიმინალები საბოლოოდ დააწყნარა და პანკისი გაიწმინდა.

საბოლოო შეთანხმება ჩინურმა კორპორაციამ ქართულ მხარესთან მხოლოდ ახლა, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და ლარის კურსის გამყარების შემდეგ, 1 ნოემბერს მოახერხა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის შეფასებით, ჩინურ მხარესთან ადრე გაფორმებული კონტრაქტი კაბალური იყო და თითქმის შეუძლებელი განხორციელდა, როცა ამ ხელშეკრულების გადახედვა და მისი პირობების შეცვლა მოხერხდა.

ახლა ჰესის მიერ გამომუშავებული 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება, თავდაპირველად დადგენილი 11,5 თეთრის ნაცვლად, 6,1 თეთრით განისაზღვრა (რაც იმ შემთხვევაში, თუ 1 აშშ დოლარი 1,7 ლარი ღირს, 3,58 ცენტს შეესაბამება).

ამასთან, ჩინელებმა დროებით უარი თქვეს ქართული მხარის კონტრაქტით გათვალისწინებულ რამდენიმე ვალდებულებაზე. კერძოდ, ისინი ერთი წლის განმავლობაში საბითუმო ბაზრის მხრიდან ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების 100 პროცენტით ანაზღაურებას და სახელმწიფო გარანტიას აღარ მოითხოვენ.

ჩინელ ივესტორებთან იურიდიული პრობლემის მოგვარებაში ენერგეტიკის სამინისტროს, "ხადორჰესის" გახსნის ცერემონილზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა. თვით ჰესის მშენებლობას კი ქვეყნის პირველმა პირმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიული პროცესი უწოდა. **"შევარდნაძის ხელისუფლების დროს ჩვენს ქვეყანაში არაერთი ენერგეტიკული პროექტი შემოდიოდა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, პროექტის განმხორციელებლები მთავრობას თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული,"** - აცხადებს სააკაშვილი.

საგულისხმოა, რომ "ხადორჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ამ დროისთვის მხოლოდ თორმეტ მეგავატს შეადგენს, რომელიც კახეთის ორ რაიონს, თელავს და ახმეტას მოხმარდება. ქვეყნის პრეზიდენტი და ენერგეტიკოსები კი ირწმუნებიან, რომ გაისად საქართველოს შუქის პრობლემა აღარ ექნება და ქვეყანა 24 საათის განმავლობაში განათებული იქნება. ამ დროისთვის უკვე მიმდინარეობს გაჩერებული ოთხი ჰესის აღდგენა, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა უახლოეს ხანში მოხდება. **"მახსოვს, პირველად რომ ჩამოვედი პანკისში, რა ვითარება იყო. ხალხმა, რომელსაც რთულ პირობებში უწევდა ცხოვრება, შეინარჩუნა თავისი ერთგულება ქართული სახელმწიფოსადმი. ახლა კი გპირდებით, რომ თვით სახელმწიფო არ მიგატოვებთ. ჩვენ გვესმის, რომ ქვეყანას კვლავ აქვს უამრავი პრობლემა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ სულ მალე ყველაფერი კარგად იქნება და საქართველო გაძლიერდება. ჩვენ არავინ გვაპატიებს მომავალ წელს ჩაბნელებულ ზამთარს. ეს არის მინიმუმი, რაც სახელმწიფოს შეუძლია გაუკეთოს ხალხს,"** - აცხადებს სააკაშვილი. რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურს, აქ ოცდახუთი კაცია დასაქმებული. მათგან რვამ კვალიფიკაცია ჩინეთში გაიარა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჰესს ჯერაც არ მიუღია ლიცენზია ექსპლუატაციაში შესასვლელად. გილაურის მტკიცებით, ეს პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება.

# საქართველო - დივერსიების ქვეყანა...

## საფრთხე ავიაციასაც ემუქრება

*ქართული ნავიგაცია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია "ევროკონტროლში" გაერთიანდება. ინფორმაცია ცნობილი გახდა "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი კარბელაშვილის ორდღიანი ვიზიტისას "ევროკონტროლის" სათავო ოფისში, ბრიუსელში. კარბელაშვილი მოლაპარაკებებს "ევროკონტროლის" გენერალურ დირექტორთან აწარმოებდა. თუმცა, თბილისში დაბრუნებისას კარბელაშვილს უცნაური ფაქტი დახვდა. ვინ გეგმავდა სანავიგაციო რადიოსადგურში შეჭრას და რა მიზანს ემსახურებოდა სადგურის შენობის გატეხვა, მაშინ, როცა ასეთ ობიექტზე ქურდისთვის "საინტერესო" არაფერი მოიძებნება? საქართველოში დივერსიებზე საუბარი გახშირდა.*

ოთარ ქირია

**"ევროკონტროლში" გაერთიანების წინაპირობად იქცა ის სტრატეგია, რომელიც "საქაერონავიგაციამ" მსოფლიო ნავიგაციის წინაშე წარადგინა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ უკვე დავიწყეთ თბილისის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. პროცესში ჩართულია ცნობილი ევროპული კომპანიები და მიზნად ისახავს ქართული ნავიგაციისა და ავია-უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სხვა მრავალი უპირატესობის გარდა, "ევროკონტროლის" წევრობა ნიშნავს ქართულ სატრანზიტო ცაზე ფრენების გრანდიოზულ მატებას, რაც ასევე სერიოზულ შემოსავალს წარმოადგენს საქართველოს ბიუჯეტში. ქართველ დისპეტჩერებს მიეცემათ უმაღლესი დონის სწავლების უფასოდ გავლა. ევროკონტროლი პირდაპირ გასცემს სხვადასხვა ავიაკომპანიებისთვის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქართულ ცაზე ფრენა უსაფრთხოა. ეს არის გზა ევროგაერთიანებისაკენ,"** – აცხადებს კარბელაშვილი.

თუმცა, საქართველოში სიურპრიზებს რა გამოლევს. ორიოდ დღის წინათ სამხედრო აეროდრომ "ალექსეევკაში" ჯერჯერობით დაუდგენელ პირთა ჯგუფი იმ სანავიგაციო რადიოსადგურის გაძარცვას ცდილობდა, რომელიც თვითმფრინავების აფრენა-დაფრენას ხელს უწყობს. გამომდინარე იქიდან, რომ აეროდრომის მიმდებარე ტერიტორია გასამხედროებულია და კარგად არის დაცული, მძარცველებმა მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს, თუმცა დაზიანებულია რადიოსადგურის შენობა. არსებობს ვარაუდი, რომ ბოროტმოქმედთა მიზანს არა ძარცვა, არამედ დივერსია და, აქედან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო დონეზე იმიჯის შელახვა წარმოადგენდა, რადგან ამ ობიექტზე არც ძვირფასი ლითონები, არც სხვა საყოფაცხოვრებო ან პირადი მიზნებისათვის ვარგისი მოწყობილობები მოიძებნება. რადიოსადგურში მხოლოდ ნავიგაციისათვის და, შესაბამისად, ავია-უსაფრთხოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის აპარატურა და ტექნოლოგიებია განთავსებული. აღნიშნულის შესახებ უკვე ეცნობა ისანი-სამგორის რაიონულ პოლიციას, თუმცა დეტალური ინფორმაცია არ ხმაურდება.

ჯერჯერობით, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მძარცველები მანქანით იყვნენ. ცნობილია ისიც, რომ მძარცველებს თან ჰქონდათ გაუგებარი მასით სავსე ბალონი. გატეხილია ჭიშკარი და სადგურის ერთ-ერთი შენობა. ხოლო ის ფართი, სადაც აფრენა-დაფრენისთვის საჭირო რადიო-აპარატურაა დამონტაჟებული, მხოლოდ გარედან არის დაზიანებული. **"მიკარებისთანავე სიგნალიზაცია ჩაირთო და დაცვაც გამოჩნდა, თუმცა ბოროტმოქმედებმა მიმალვა მოახერხეს. საკმარისია ერთი აპარატი მაინც გამოეყვანათ მწყობრიდან, შესაძლოა კატასტროფაც მომხდარიყო და აეროპორტი მთლიანად გამოსულიყო მწყობრიდან,"** – აცხადებს "საქაერონავიგაციის უსაფრთხოების სამსახური.

რაც შეეხება კარბელაშვილს, მისი ვარაუდით ეს იმ ხალხის ნახელავია, ვინც წლების მანძილზე ანგრევდა ნავიგაციას და ავიაციას. **"ეს პირდაპირ მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოს იმიჯი შეილახოს. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ნავიგაცია და, საერთოდ, ავიაცია ებარა ადამიანებს, რომლებიც მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებს ემსახურებოდა. ჩვენ დავადასტურეთ ისიც, რომ აქ ამერიკული აპარატურის (რაშიც მილიონები ჩაიყარა) მოხსნა და რუსული, თანაც უვარგისი ტექნოლოგიების დამონტაჟება სურდათ. არ გიჩნდებათ კითხვა, ვის შეიძლებოდა სცოდნოდა იმის შესახებ, რომ ეს სადგური ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, თვითმფრინავების აფრენა-დაფრენას ემსახურება. ერთი ინციდენტიც საკმარისია იმისთვის, რომ საერთაშორისო სკანდალში გავეხვიოთ და აქეთკენ არავინ არასდროს გამოიხედოს,"** – ამბობს კარბელაშვილი.

საინტერესო ის არის, რომ ამჟამად რუსულ ნავიგაციასაც უჭირს, ვინაიდან სარეაბილიტაციო რვა მილიარდი დოლარის მოძიება ვერ მოხერხდა. ევროპა და შტატები კი აზიისაკენ მოკლე გზებს ეძებენ. არჩევანი დიდი არ არის: რუსეთის, კავკასიის ან ირანის გავლით. ირანს ნამდვილად აქვს მაღალი ხარისხის ნავიგაცია მაგრამ მისი ცა მაინც ნაკლებად მიმზიდველია გასაგები მიზეზების გამო. დარჩა საქართველო და რუსეთი. რუსეთს მისი კომუნისტური ნავიგაციის გამოსასწორებლად დიდი დრო და ფული სჭირდება, ეს ჯერ ვერ ხერხდება. საქართველოს კი გაცილებით ცოტა დრო და ფულის დახარჯვა მოუწევს, ამასთან, "საქაერონავიგაციას" უკვე ევროკონტროლში ელიან. ამდენად, რუსეთის დაინტერესებული ძალები და ის ქართველები, ვინც მათთან მეგობრობენ, ყველანაირი გზებით ეცდებიან ქართული ნავიგაციის განვითარების შეფერხებას. ანუ, არც ისე რთული მისახვედრია, რითი შეიძლება დაინტერესოს მძარცველთა ჯგუფი რადიოსადგურმა, სადაც მაქსიმუმ 30 ლარის ფერადი ლითონი შეიძლება მოიპოვო და ამისთვის გასამხედროებულ ბაზაზე გაბედო შეჭრა. ალბათ, სამართალდამცველები და ის ხალხი, ვინც დივერსიებში ერკვევა, ამასაც დროულად მიხედავენ.

არც ის გაგვაკვირვებს, რომ ამ ფაქტს გაცილებით მაღალი ეშელონებიდან მართავდნენ, ვიდრე უბრალო დაჯგუფება. "საქაერონავიგაციის" ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც არაერთ დარღვევაში ამხილეს, მაინც თავისუფლად დაიარება, თანაც უკვე რამდენიმე კვირაა, საქართველოს გარეთ.




## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში მომავალი წლისთვის ფერმერების მომსახურებისთვის კიდევ 20 აგრო-საინჟინრო სერვის-ცენტრის დაფუძნება იგეგმება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 3 წელიწადში საქართველოს ყველა რეგიონში ფერმერებს ასეთი სერვის-ცენტრები მოემსახურებიან. სამინისტროში იმედოვნებენ, რომ გლეხისა და ფერმერისთვის ასეთი სერვის-ცენტრების შექმნა დიდი შეღავათი იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** 21 ნოემბერს ღამით, ზუგდიდის სადგურის დასახლების მცხოვრებლებმა რამდენიმე საათით ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტეს. ისინი ქალაქისა და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობისგან ელექტროენერგიის ოთხსაათიანი გრაფიკით მიწოდებას მოითხოვდნენ. როგორც მოსახლეობა განმარტავს, მათ მესამე თვეა, ელექტროენერგია თითქმის არ მიეწოდებათ. აქციის შემდეგ მათ შუქი ჩაურთეს, თუმცა, მოსახლეობის თქმით, გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ისინი კვლავ აქციებს მიმართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჯორჯიან ეარვეისმა" ოთხი წლის წინათ არაბეთის გაერთიანებული საემიროების მიმართულებით შეწყვეტილი ავიარეისები აღადგინა. დუბაისკენ პირველი თვითმფრინავი 20 ნოემბერს გაფრინდა. "ჯორჯიან ეარვეისის" ვიცე-პრეზიდენტის ზურაბ ფერიშვილის განცხადებით, პირველმა რეისმა დაადასტურა, რომ ამ მიმართულებაზე მოთხოვნილება დიდია. "ყველა ბილეთი გაიყიდა და იმედი გვაქვს, რომ ნორმალურად ვიმუშავებთ", - აცხადებს ფერიშვილი. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## აცხადებს კონკურსს

## საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $36^2$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" „საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და $45^5$ მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) შვიდი გადამცემის გამოყენებით, მე-6 სამაუწყებლო ზონაში:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | სატელევიზიო არხი | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის საშ. რად. კმ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | ნინოწმინდა | 43E35; 41N16 | 35 | 8 | 0.02 | 5 |
| 2 | 6 | ახალქალაქის ანძა | 43E25; 41N21 | 60 | 12 | 0.02 | 5 |
| 3 | 6 | ახალციხე | 42E57; 41N38 | 50 | 28 | 0.5 | 30 |
| 4 | 6 | ბორჯომი | 43E22; 41N49 | 25 | 32 | 0.25 | 20 |
| 5 | 6 | წალკის ანძა | 44E14; 41N38 | 45 | 29 | 0.25 | 20 |
| 6 | 6 | ასპინძა | 43E17; 41N33 | 30 | 23 | 0.25 | 15 |
| 7 | 6 | აბასთუმანი | 42E52; 41N55 | 30 | 34 | 0.25 | 15 |

**შენიშვნა:**

სამაუწყებლო ზონა განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა - ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის, წალკის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 6)

**გ)** სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 64181, 25 (სამოცდაოთხი ათას ას ოთხმოცდაერთი) ლარით;

**დ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 28 იანვრის 13:00 საათი;

**ე)** ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2004 წლის 16 დეკემბრის 17:00 საათამდე;

**2.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**3.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი. თუ ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი იურიდიული პირია, წარმოდგენილ უნდა იყოს ამ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია - მისი პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**4.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**5.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $45^2$ და $36^2$ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"-"გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**6.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

**7.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**8.** ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**9.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**10.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „დ", „ე", „ვ", „ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**11.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**12.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**13.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $45^5$ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას;

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა;

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას;

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში;

**14.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს;

**15.** სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

**16.** კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

**17.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", „რეკლამის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები;

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით;

**19.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

**20.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**21.** კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**22.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

**23.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე **(www.gncc.ge)** ინტერნეტში;

# ჯორჯ ბუში რუსეთის დემოკრატიის ბედი აღელვებს

*გასულ უქმეებზე ჩილეს დედაქალაქში აზია-წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტი გაიმართა. სანტიაგოში აზიის, ავსტრალია-ოკეანეთისა და ამერიკის სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აღნიშნულ სამიტზე აშშ-ს პრეზიდენტი 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ პირველად წარდგა კოლეგების წინაშე. და არცთუ მოულოდნელად, მაშინვე გაისმა პირველივე კრიტიკა რუსეთის მისამართით.*

პოლიტიკურმა რეფორმამ, შესაძლოა, რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატია დაანგრიოს, - შეშფოთებით აცხადებს პრეზიდენტი ბუში. ასეთმა ინფორმაციამ სანტიაგოში ამ დღეებში გამართულ აზია-წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტიდან გამოჟონა. სააგენტო "ასოშიეიტედ პრესის" გავრცელებული ცნობით, აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრისას ბუშმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ პუტინის რეფორმა პოლიტიკური პლურალიზმისთვის ადგილს აღარ ტოვებს. პუტინმა კი უპასუხა, რომ იგი "ისეთი დემოკრატიული მმართველობის ფორმის დამკვიდრებას ცდილობს, როგორიც რუსეთის ისტორიასა და უზარმაზარ ტერიტორიაზე მრავალი ერის თანაცხოვრების უნიკალურ პირობებს შეეფერება".

დასავლეთში პუტინის "ავტორიტარიზმს" უკვე კარგა ხანია, აკრიტიკებენ. ამ მხრივ განსაკუთრებული შეშფოთება პუტინის მიერ რეგიონული და ქალაქების მმართველების პირდაპირი არჩევნების გაუქმების წინადადებამ გამოიწვია. დასავლეთში სულ უფრო ხშირად გაისმის პუტინის თანამედროვე რუსეთის შედარებები სტალინისდროინდელ საბჭოეთთან.

ანონიმი ამერიკელი დიპლომატის ცნობით: "შეხვედრამ კითხვა-პასუხში ჩაირა. პრეზიდენტი ეკითხებოდა იმის შესახებ, რაც აწუხებდა, ძირითადად აინტერესებდა თუ როგორ გამოადგება ან დაეხმარება რუსულ დემოკრატიას ეს ნაბიჯები". ამერიკელთა თქმით, შეხვედრაზე ყველაფერი გაკეთდა, რათა ეს თემა მომავალში უფრო დეტალური განხილვის საგანი იყოს.

თუმცა, რუსი დიპლომატები სულ სხვაგვარად აღწერენ პრეზიდენტების შეხვედრას. მათი თქმით, ჯორჯ ბუშმა კი არა, თავად პუტინმა წამოწია რუსეთში მიმდინარე რეფორმების თემა და ჯორჯ ბუშს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯის მიზეზები აუხსნა. უფრო მეტიც, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საერთოდ უარყოფს მასმედიით გავრცელებულ ფაქტს. "არანაირი შეშფოთება არ ყოფილა, - ირწმუნება სერგეი ლავროვი, - უბრალოდ ლიდერებმა საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია გაცვალეს". ლავროვმა განმარტა, რომ ბუშმა თავის რუს კოლეგას ახლახან ჩავლილი საარჩევნო განწყობის შესახებ მოუთხრო, ხოლო პუტინმა რუსეთში მიმდინარე ცვლილებების არსი გააცნო."

საერთაშორისო მიმომხილველები დასავლეთში ერთხმად ადანაშაულებენ ბუშს, რომ პუტინის მიერ ტერორიზმთან გლობალურ ომში დეკლარირებულმა მხარდაჭერამ აშშ-ს პრეზიდენტი ზედმეტად ლოიალური გახადა რუსი კოლეგის ანტიდემოკრატიული მმართველობის მიმართ. ამასობაში კი, პუტინმა ფაქტობრივად, ავტოკრატიული რეჟიმი ჩამოაყალიბა და თავისი ერთ-ერთი რეგიონის (იგულისხმება ჩეჩნეთი) მოსახლეობა ამოწყვიტა.

შეგახსენებთ, პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში ჯორჯ ბუშს საკმაოდ ახლო, შეიძლება ითქვას მეგობრული ურთიერთობები (ყოველ შემთხვევაში, ასე აღწერდა თვითონ) ჩამოუყალიბდა რუსეთის პრეზიდენტთან. 2001 წელს ბუში ამბობდა: "მე თვალებში ჩავხედე მას და ძალიან გულწრფელი და პირდაპირი მომეჩვენა. ჩვენ ძალიან კარგი საუბარი გვქონდა. მე შესაძლებლობა მომეცა, პუტინის სულში ჩამეხედა". გარდა ამისა, არჩევნების წინ პუტინი იმ იშვიათ ლიდერებს შორის იყო, ვინც ღიად დააფიქსირა ჯორჯ ბუშის კვლავაც თეთრ სახლში ხილვის სურვილი. (ბუშისგან განსხვავებით, რუსეთის მმართველის მიმართ სენატორი კერი ყოველთვის მკვეთრი პოზიციით გამოირჩეოდა.)

ასე რომ, ნაწინასწარმეტყველები აშშ-ს საგარეო პოლიტიკის არჩევნების შემდგომი ცვლილებები, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო.

# პარიზის კლუბი ერაყის მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას არჩევს

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ აშშ და გერმანია, ბოლოს და ბოლოს, ერაყისთვის საგარეო ვალების 80 პროცენტის ჩამოწერის შესახებ შეთანხმდნენ. ჯერჯერობით კულუარულ დონეზე შეთანხმება ბერლინში, 20 განვითარებული და მდიდარი სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრაზე იქნა მიღწეული.

ვაშინგტონი დიდი ხანია, რაც ერაყის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მისთვის საგარეო ვალების ჩამოწერას ცდილობს. ერაყის უზარმაზარი დავალიანების მესამედის – 120 მლრდ აშშ დოლარი - კრედიტორი პარიზის კლუბია. აშშ-საგან განსხვავებით, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ფრიად დაეჭვებული იყვნენ, ნავთობით ისეთი მდიდარი ქვეყნისათვის, როგორიც ერაყია, ვალის ჩამოწერა რამდენად გამართლებული იქნებოდა. საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი მზად იყვნენ ერაყისათვის დავალიანება გაენახევრებინათ, მაშინ როცა აშშ და დიდი ბრიტანეთი ვალების 95 პროცენტის ჩამოწერას უჭერდნენ მხარს. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ნიკოლა სარკოზი, 50 პროცენტზე მეტი ოდენობის ვალის ჩამოსაწერად, უპირველეს ყოვლისა ერაყში რეალურად არსებული ეკონომიკური ვითარების ჯეროვნად შეფასებას მოითხოვდა. საბოლოოდ ქვეყნების ნაწილი 80 პროცენტზე შეთანხმდა. გერმანიის ფინანსთა მინისტრის ჰანს აიხელის თქმით, აშშ-სთან მიღწეული კომპრომისი ზემოაღნიშნულ საკითხზე პარიზის კლუბის ყველა წევრის თანხმობის მიღებას კიდევ უფრო აადვილებს, თუმცა, ჯერჯერობით, მოლაპარაკებები არ შეწყვეტილა რუსეთის მხარესთან. ამ უკანასკნელის, ერაყს 3.450 მლრდ აშშ დოლარი მართებს.

80 პროცენტზე მიღწეული კომპრომისი ვალების ჩამოწერის სამ ეტაპს მოიცავს. თავდაპირველად მოხდება 30 პროცენტის ჩამოწერა, მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია, ასევე, 30 პროცენტის ჩამოწერა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ფარგლებში, ხოლო უკანასკნელი ეტაპის ანუ 20 პროცენტის ჩამოწერა მთლიანად აღნიშნული პროგრამის ეფექტიან განხორციელებაზე იქნება დამოკიდებული. კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სხვადასხვა წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ პარიზის კლუბის წევრთა საბოლოო შეთანხმება უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე იქნება მიღწეული.

ერაყისათვის საგარეო ვალების ჩამოწერის გარდა, დელეგატებმა აშშ დოლარის სისუსტეზეც ისაუბრეს. ევროპელთა აზრით, დოლარის კურსის სისუსტე ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს. მიუხედავად ამისა, სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არც ერთი ევროპული სახელმწიფო ამერიკული ვალუტის კურსის ვარდნის საწინააღმდეგო ზომების მიღებას არ აპირებს. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**ერაყი.** ერაყში პოლონეთის მოქალაქე ტერეზა ბორშ-ხალიფა გაათავისუფლეს, რომელიც სამი კვირის წინ გაიტაცა ჯერჯერობით დაუდგენელმა დაჯგუფებამ. იგი ერაყის მოქალაქის მეუღლეა და 30 წელია, რაც ერაყში ცხოვრობს. ტერეზა ბორშ-ხალიფა ბაღდადიდან, საკუთარი სახლიდან გაიტაცეს. გატაცების შემდეგ ტელეეთერის საშუალებით გავრცელებულ იქნა ვიდეოჩანაწერი, სადაც გატაცებული მოქალაქე პოლონეთის ხელისუფლებას ერაყიდან საჯარისო ნაწილების გაყვანას სთხოვდა. როგორც ერაყში ჩასულმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მარეკ ბელკამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამი კვირის წინ გატაცებული ტყვის გასათავისუფლებლად პოლონელ დიპლომატებთან ერთად უცხოელებიც მუშაობდნენ. **ბი ბი სი**

■ ■ ■

**ჩინეთი.** ჩინეთის შიდა რეისის ბაოტოუ-შანხაის თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად, ეკიპაჟის სრული შემადგენლობა და ყველა მგზავრი დაიღუპა. ჩინური სააგენტოს "სინხუა"-ს მიერ გავრცელებული ცნობებით, ჩინეთის ქალაქ ბაოტოუს აეროპორტთან მომხდარ ავიაკატასტროფას ახლოს მდებარე პარკის, სადაც თვითმფრინავის ნამსხვრევები ჩამოვარდა, ორი თანამშრომლის სიცოცხლეც ემსხვერპლა. კანადური წარმოების CRJ200 ტიპის თვითმფრინავში ეკიპაჟის 6 წევრი და 47 მგზავრი იმყოფებოდა, რომელთა შორის ერთი უცხოელი იყო. მისი ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. უცნობია ასევე კატასტროფის მიზეზებიც. **იტარ-ტასი**

## საჩუქრები პატარებს

*ორთაჭალაში მდებარე ბავშვთა თავშესაფარ "ბეღურებს" შაბათს სტუმრები ჰყავდა. თავშესაფრის ბინადრებს პატარა სიურპრიზი მოუმზადა საბავშვო გამომცემლობა "დაჩიმ", რომელმაც თავის გარშემო კეთილისმსურველი კომპანიები შემოიკრიბა.*

თამარ ჯაჯანიძე

საბავშვო გამომცემლობა "დაჩიმ" სულ ახლახან, სექტემბერში აღადგინა ჟურნალის გამოცემა. ამ მცირე ქველმოქმედებაში კი მას კომპანია "ყაზბეგი" და მეფრინველეობის ფაბრიკა "კოკოც" დაეხმარნენ თავიანთი პროდუქტებით: "ცივი ჩაი", ლიმონათები, "კოკოს" ფირმის ქათმები, ბატიბუტი პატარა სუვერინებითურთ, ზღაპრების წიგნები და "დაჩის" ჟურნალების სრული კომპლექტი – აი, იმ საჩუქრების სია, რაც პატარა "ბეღურებმა" მიიღეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო" საქართველოში რამდენიმე ბავშვთა სარეაბილიტაციო თავშესაფარს ფლობს. "ბეღურები" ღია ტიპის თავშესაფარია. აქ 50-მდე ბავშვია. მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ წასვლა, დარჩენის შემთხვევაში კი, აქ არსებულ ყველა სასწავლო პროგრამაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. კვების ხარჯები საქალაქო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სხვა მხრივ, "ბავშვი და გარემო" თავად ზრუნავს ამ ბავშვების მოვლა-პატრონობაზე უცხოური ფონდების დახმარებით.

კეთილისმყოფელების სტუმრობას თავშესაფარში ახალი პატარას გამოჩენა დაემთხვა. ბავშვი, რომელიც, საპატრიარქოს თხოვნით, საგზაო პატრულმა მოიყვანა, დაახლოებით, ხუთი თუ ექვსი წლის იქნებოდა. იგი, როგორც აღმოჩნდა, სიონის ახლომახლო სისტემატურად დაეხეტებოდა. პატარა საშკა, თუ გაქცევას არ მოინდომებს, ამ თავშესაფარში თბილ და მყუდრო კუთხეს მიიღებს.

მომავალ კვირას "დაჩი" კოჯრის ბავშთა სახლში გეგმავს სტუმრობას.

*მოკლედ*

## პრობლემა და გადაწყვეტა

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში მომავალი წლიდან ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კორპუსის მშენებლობა დაიწყება.

შესაბამის შეთანხმებას საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და ცენტრის ხელმძღვანელობამ დონორ ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე მიაღწიეს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადეს, 2005 წლისთვის ბიუჯეტში ტუბერკულოზით დაავადებულთა დაფინანსების 500 000 ლარით გაზრდაც არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, სამომავლოდ საქართველოში ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მქონე ავადმყოფების მკურნალობაც გახდება შესაძლებელი, რომელიც მეორე ჯგუფის ძვირადღირებული მედიკამენტების გამოყენებას ითვალისწინებს.

**ინტერ-პრესი**

## თავისუფალი გაფრთხილება

საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების "სოლიდარობის" ქუთაისის ოფისი ადგილობრივ ხელისუფლებას ბოლო გაფრთხილებას აძლევს და საპროტესტო აქციების დაწყებით იმუქრება. პედაგოგები იმ 20-პროცენტიანი სახელფასო დანამატის აღდგენას მოითხოვენ, რომელიც ხელისუფლებამ ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას არ გაითვალისწინა და გაუქმებულად ჩათვალა.

"თუ ქუთაისის მთავრობა სახელფასო დანამატს არ აღადგენს, პროტესტის უკიდურეს ზომებს მივმართავთ და ტრანსპარანტებით გამოვალთ ქუჩაში, " - განაცხადა სოლიდარობის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლია რატიანმა.

ქუთაისის მთავრობა კი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ 20-პროცენტიანი სახელფასო დანამატი კანონით გათვალისწინებული არ არის.

**ინტერ-პრესი**

**გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი**

**დირექტორი - პროფ. გ. ჩაფიძე**

**გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 24 საათის განმავლობაში აწარმოებს პაციენტების მაღალკვალიფიციურ, თანამედროვე დონის, კომპლექსურ კარდიოლოგიურ და კარდიოქირურგიულ მომსახურებას.**

**ცენტრის სამსახურებია:**

**- კონსერვატიული და გადაუდებელი კარდიოლოგია**
**პროფ. გ. ჩაფიძე, ტელ.: 530632**

**- ინტერვენციული კარდიოლოგია /კორონაროგრაფია, კორონარული ანგიოპლასტიკა/**
**პროფ ა. ალადაშვილი, ტელ.: 526631**

**- კარდიოქირურგია**
**კარდიოქირურგი - ზ. ბახუტაშვილი, ტელ.: 530943**
**გულ-სისხლძარღვთა ქირურგი - პ. ტოლენარი, ტელ.: 530943**

**- სისხლძარღვთა ქირურგია**
**გულ-სისხლძარღვთა ქირურგი - პ. ტოლენარი, ტელ.: 530943**
**სისხლძარღვთა და პლასტიკური ქირურგი - ზ. გოგინაშვილი, ტელ.: 530943**

**ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებასთან - ბად კროცინგენის გულის ცენტრთან (გერმანია), რაც უზრუნველყოფს საქართველოს კლინიკურ პრაქტიკაში ევროპული სამედიცინო სტანდარტების დანერგვას და ყოველდღიურ გამოყენებას.**

**ცენტრის დევიზი - "Salus Aegroti Suprema Lex" - "პაციენტის ჯანმრთელობა ჩვენთვის უმთავრესია"**

**მისამართი: თბილისი, ლუბლიანას ქ.N4**
**ტელეფონი: 526296, ფაქსი: 530632**

**გვესაჭიროება ჩეხურ-ინგლისურ-ქართული ენების გამოცდილი თარჯიმანი კომპიუტერის ცოდნით.**
**გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:**
**ტელ: 244310, 244305 ; მობილური: 899 176440**
**ელ. ფოსტა: tamriko.natsvlishvili@pagmbh.ge**

# ქუჩაში ანთებული საწამლავი

ელზა ხუციშვილი
*ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

დადგა შემოდგომა და, ტრადიციულად, გამოჩნდა თბილისის ეზოებში და ქუჩებში ჩამოცვენილი ფოთლების კოცონები. ჰაერში დგას გამჭოლი, სულისა და გულის შემხუთავი, ყველგან შეღწევადი ბოლი. ადამიანები, ძირითადად კი, სერვის-ცენტრების (ყოფილი სახლმმართველობების) მეეზოვეები ფიქრობენ, რომ ამით სისუფთავეს იცავენ. ვიხრჩობით, მაგრამ ეს არავის ადარდებს. წარსულში რამდენჯერმე მივმართე აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ ყველაფერი უცვლელად დარჩა. დღეს, როცა აღარ გვყავს უნებისყოფო, გაუნათლებელი ხელისუფლება, იმედია, ეს საკითხი მიიქცევს ქალაქის მმართველობის ყურადღებას.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ქალაქში ფოთლების აგრიალებული კოცონები რომ დაინახეს...*

კოცონები ქალაქში ყოველთვის მაშფოთებდა, მაგრამ პირველი მძაფრი რეაქცია ათი წლის წინათ მქონდა, როდესაც ჩეხეთიდან სტუმრები გვეწვივნენ; ქალაქში ფოთლების აგრიალებული კოცონები რომ დაინახეს, სახტად დარჩნენ. **"ჩვენთან, ჩეხეთში, ყოველ კოცონზე 500 დოლარი ჯარიმაა და არა მარტო კოცონებზე, მდინარეშიც აკრძალულია მანქანების რეცხვა. ჯარიმა - ისევ 500 დოლარი,"** - გვითხრეს მათ.

ჩეხებს ჰქონდათ გარემოს დაბინძურების მწარე გამოცდილება. მაგალითად, წლების განმავლობაში, ნიადაგში ჭარბი სასუქების შეტანის გამო, სასმელი წყალი ისე დაბინძურებულა, ერთი წლის ასაკამდე ბავშვებისთვის ონკანიდან წყლის მიცემა აკრძალული ყოფილა.

რატომ არის ასე მავნე ჩამოცვენილი ფოთლების დაწვა?

სისუფთავის მოყვარულებმა არ იციან, რომ ნიადაგსა და მცენარეს შორის მიმდინარეობს უწყვეტი ნივთიერებათა ცვლის პროცესი. მცენარეები შემოდგომაზე უბრუნებენ მიწას იმ საჭირო მკვებავ ელემენტებს, რომლითაც მანამდე საზრდოობდნენ. დაცვენილ ფოთლებს აქვთ უნარი, გამოყონ ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ამშვიდებენ ადამიანის ნერვულ სისტემას. ამდენად, ჩამოცვენილი ფოთოლი სულაც არ არის ნაგავი. ჩამოცვენილი ფოთლების საფარი მყარად იცავს მიწას და მცენარეების ფესვებს გაყინვისაგან ზამთარში. გაზაფხულზე და ზაფხულში ფოთლების საფარი არეგულირებს ნიადაგის წყლის რესურსს, მინერალიზაციას, საჭირო მკვებავი ნივთიერებებით უზრუნველყოფას. იწვის ჟანგბადი და ზამთარში ვგრძნობთ მის ნაკლებობას. მეორე მხრივ, ფოთლების ნამწვავთან ერთად ჰაერში ხვდება ის მავნე რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ნიადაგზე ილექება ტრანსპორტისა და სამრეწველო გამონაბოლქის შედეგად და შეიცავს ტყვიის მომატებულ შემცველობას - ანუ ფოთლების წვის შედეგად ჩვენ ჰაერში ვაბრუნებთ ტოქსიკურ, მომწამლავ ნივთიერებებს.

ხოლო თუ კოცონში მოხვდა პოლიეთილენის საგნები და სხვა სინთეთიკური მასალა, ჰაერში აღმოჩნდება ის ნივთიერებები, რომლებიც მოქმედებენ მემკვიდრეობით კოდზე, სტრუქტურაზე და იწვევენ სიმსივნეს, ალერგიას, ასთმას და სხვა დაავადებებს.

ყოველივე ეს კი ძალიან მავნეა ჯანმრთელობისათვის.

როგორ უნდა მოვიქცეთ? – ჩამოცვენილი ფოთლები უნდა დაუბრუნდეს ნიადაგს და დაეყაროს მიწა.

ვფიქრობ, ამ საკითხს სასწრაფოდ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. მერიამ, საკრებულომ და გამგეობებმა შეიმუშაონ შესაბამისი წესი, რომელიც აკრძალავს ფოთლების დაწვას და სხვა არაეკოლოგიურ ქმედებებს. სხვათა შორის, ამისათვის დაწესებული ჯარიმებიც ძალიან დაეხმარებოდა ჩვენი ქალაქის ბიუჯეტს.

# თანამშრომლობა სოციალურ სფეროში

ნონა მაისურაძე

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალური დაზღვევის ფონდებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. როგორც საქართველოს სოცდაზღვევის ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა, აზერბაიჯანი სწრაფად მზარდი სახელმწიფოა და სოციალური დაზღვევის სფეროში მისი გამოცდილება ჩვენთვის გასათვალისწინებელია.

"მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ და შრომობენ. ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა მათი პრობლემების მოგვარებასაც ითვალისწინებს. საგულისხმოა ისიც, რომ აზერბაიჯანში დიფერენცირებული საპენსიო სისტემაა. იგივე პრინციპის დანერგვა საქართველოშიც მოსალოდნელია", – ბრძანა ზაზა სოფრომაძემ.

შეხვედრის ბოლოს აზერბაიჯანის სოცდაზღვევის ფონდის თავმჯდომარემ სალიმ მუსლიმოვმა ქართველი კოლეგები აზერბაიჯანში დაპატიჟა.

# კატორღა ჭიათურულად

**წერილები ჩემი გვირაბიდან**

ვიტალი მიროტაძე
*ჭიათურიდან*

უმტკივნეულოდ დავთმე საპატიო სახაზინო სამსახური ჯიბეგაფხეკილი მოხელისა და მუშათა კლასს შევუერთდი. ცხონებულ ბაბუაჩემს ყოველი კვირის ბოლოს ხუთ ოქროს მიუთვლიდა შავი ქვის ამერიკელი მრეწველი ჰარიმანი, რომელსაც კონცესიებით ჰქონდა ჭიათურის მაღაროები აღებული. ადგებოდა, თურმე, ბედშავი, ჩაუჩხრიალებდა წირქვალელ მებატონეებს ოქროს უზალთუნებს და ყიდულობდა და ყიდულობდა მამულებს; მერე ის მიწებიც ოხრად დარჩა და საქონელ-საყოლიც – რევოლუცია მოვიდა.

რევოლუციას კი არ ვუჩივი, უბრალოდ, იმის ხაზგასმა მინდა, გენეტიკური კოდით მემაღაროელის პროფესია არ მეხამუშებამეთქი და ამიტომაც, თამამად მოვირგე ჩაჩქანი.

მითხრეს, - ძველ ტანისამოსს წამოიღებ, წერაქვ-ნიჩაბს და მაღაროელის ფარანსო. "სპეცტანსაცმელი"? – ვიკითხე მე. არ გვაქვს, ხელთათმანს მოგცემთო, - იყო პასუხი.

მახსოვს, იმ ავადსახსენებელ დროს რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით: "მაღარო – ჩემი კეთილი სახლი". ვითომდა, მაღაროელი ამბობდა ამას.

სულაც არ ჰგავს მაღარო "კეთილ სახლს", მით უმეტეს - ჩემსას; მიდიხარ ხის სამაგრებიან ლაბირინთში, აქა-იქ ნათურა ბჟუტავს, ერთმანეთის მიყოლებითაა დალეწილი საყრდენი "ბიგები" თუ ულლები და აშკარად გრძნობ, როგორ გატენის ლირწიან სუნთქვას ჰადესის საუფლო.

- "გეგმა - 10 ვაგონი მეწყვილესთან ერთად, პლუს ერთი ჩარჩო უნდა დასვათ". ერთი ვაგონის მოცულობა ტონა რვაასია, ჩარჩო კი სხვა არაფერია, თუ არა გამაგრება ჭერისა და გვერდებისა.

მიათრევ ჭაპანწყვეტით ვაგონს სანგრევამდე. დააყენებ, გაავსებ, იქნევ ნიჩაბს გაცოფებული, მერე ნელ-ნელა ეჩვევი და აღარც ისე მძიმე გეჩვენება მარგანეცი. ხელფასი? – 150-დან 250 ლარამდე. გააჩნია, თუ გეგმა შესრულდა, 250-ს აიღებთო, -გვითხრეს.



*"შაბაშ"! სამუშაო დრო დასრულდა.*

ესეც ფუფუნებაა. ხანდახან კი გვჭირდება გაფიცვა, მაგრამ იყო დრო, ხელფასს ექვსი-შვიდ თვეს ან, სულაც, ვერ იღებდნენ – იყინებოდა. ახლა ორ თვეში ერთხელ მაინც გარანტია გვაქვს, რომ ნაშრომის საზღაურს მივიღებთ. მეტი რა ჩარაა – შინ, ბუდეში სამი შაშვივით პირდაღებული ბარტყი მელოდება და პური ხომ მაინც უნდა ვიყიდო თამამად.

დიდი ხანია, გვასმენინებენ, - "ინვესტორი მოვაო". ბოლოს და ბოლოს ისე გამოდის, გვაშინებენ, - ბუა მოვაო. მოვიდეს თუ მოვა, მხოლოდ ეს ბოლო ვაგონიც გავავსო როგორმე და სიმწრის ოფლით დაცვარული შუბლი შევიშრო.

"არიქა, მოერიდე!" – გაწყვეტინებს ფიქრს მეწყვილეს სასოწარკვეთილი შეძახილი და ლამის ცხვირწინ მომიზვავდება სანგრევი – ზათქითა და ზრიალით ჩამოდის ვეება ლოდები. გადავრჩით.

ყველაზე ძნელი რა არის, იცი, ჩემო მეგობარო? შუქი რომ გამოირთვება, ძალაუნებურად უნდა დაჯდე და იფიქრო, აქეთ შენ ზიხარ, იქით მეწყვილე. ბნელა. აღარც მილიდან გამოპარული ჰაერის შიშინი ისმის, არც სხვა რამ ჩქამი. ზიხარ შავ გვირაბში, შენივე ნებით დამარხულივით. იხუვლებს ყველა სატკივარი და, ლამის, ცივ ლიანდაგს დაგასრისოს. ფიქრობ და ფიქრობ...

ჩვენ გაგვიმართლა: თუ აქამდე მთავარი საზიდიდან (ბეტონის გვირაბი ელმავლით) სამასი მეტრი გვაშორებდა, ხვალ-ზეგ ეს მანძილი ორასი მეტრით შემცირდება, გვერდიდან მეორე გვირაბი შემოგვიერთდება და ესეც ერთგვარი შვებაა.

"შაბაშ"! სამუშაო დრო დასრულდა. ავიკრეფთ იარაღს და გამოვდივართ გვირაბიდან. რა სასიამოვნოა, იცი, საღამოს ნიავი რომ შემოგეგებება? იქ კიდევ, მუშათა სასადილოში "პაიკა" 50 გრამი, თქვენ რომ ძაღლს არ შეაჭმევთ, ისეთი ძეხვი და 100 გრამი პური გველოდება. ნაჩუქარია და...

ისე კი, წერაქვის ტარზე ჩამოკიდებული გაშავქვიანებული, აქა-იქ დასაკერვებელი "სპეცოვკა" ძალიან ჰგავს ჰემინგუეის მოხუცი სანტიაგოს ნავის აფრას. როგორ ამბობს, - ომში დამარცხებული ჯარის დროშას ჰგავდაო, - არა? ჰო, ომში დამარცხებულის დროშას.

მეტი რა მოგწერო, ძვირფასო მეგობარო. აქ, ჭიათურაში ყველაფერი ძველებურადაა, არაფერი არ მომხდარა. ამათ რომ ვუყურებ, მწამს, რომ არც მოხდება არასოდეს!

**P.S.** ტკივილამდე მენატრება თბილისის სუფთა ქუჩები. ადამიანური საუბარი ადამიანურზე.

## პატრული დანაშაულს ოპერატიულად ხსნის

თბილისში მცხოვრებმა თენგიზ მილორავამ განაცხადა, რომ დაუდგენელმა პირმა ბინიდან მოპარა ტელევიზორი, გაზის გამათბობელი და ელექტროღუმელი.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს ავტომანქანა "ვაზ-21099", რომელშიც მჯდომმა ორმა პირმა მოახერხა გაქცევა. ავტომანქანაში აღმოაჩინეს მილორავას ბინიდან მოპარული ნივთები. ავტომანქანა გაფორმებულია ვანის რაიონის სოფელ ონჯოხეთში მცხოვრებ თენგიზ ვერულაშვილზე, რომელსაც გაყიდული აქვს მინდობილობით. საპატრულო პოლიციისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 16 წლის ჯანო ბოჭორიშვილი, რომელმაც თბილისში მდებარე სუპერმარკეტის ექსპედიტორს, ნინო კაციტაძეს მოპარა სასურსათო საქონელი. დაკავებისას ბოჭორიშვილმა პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ასევე დააკავეს ლერი გიგანი და ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მცხოვრები ზაზა კახიანი, რომლებმაც სამარშრუტო მიკროავტობუს "მერსედესის" მძღოლს მიხეილ ბასილაშვილს ცეცხლსასროლი იარაღისა და დანის მუქარით გასტაცეს ფული და პირადი ნივთები. ამოღებულია საფანტის პისტოლეტი მჭიდით და ოთხი ვაზნით და გატაცებული ნივთები.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ალექსეევკაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გუშინ "საქაერონავიგაციამ" განცხადება გააკეთა. როგორც სანავიგაციო სამსახურში მიიჩნევენ, სავარაუდოდ, საქმე დივერსიას ეხება და არა ძარცვას. ორი დღის წინ დაუდგენელმა პირებმა ალექსეევკის აეროდრომზე სანავიგაციო სადგური დააზიანეს.

ამ ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც პოლიცია და უშიშროება ერთობლივად იძიებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის შს მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მებაჟეების სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რომლებმაც 7 ნოემბერს სარფის საბაჟოზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარისწყალში მცხოვრებ რევაზ ლორთქიფანიძეს საბაჟო პროცედურების გაუვლელად მისცეს საშუალება ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტით" თურქეთიდან გადმოეტანა 22.665 ლარის ღირებულების განუბაჟებელი სხვადასხვა საქონელი. **მედია-ნიუსი**

# შემზარავი მკვლელობა გურჯაანში

ზვიად რუაძე
*კახეთი*

*გუშინწინ გურჯაანის რაიონში შემზარავი მკვლელობა მოხდა. 29 წლის ვლადიმერ მანგოშვილმა საკუთარი მშობლები - ანზორ და ლიმზი მანგოშვილები თვითნაკეთი დანით, საკუთარ სახლში დახოცა. მკვლელობის მიზეზი დადგენილია. მკვლელობაში ბრალდებული ვლადიმერ მანგოშვილი კი, გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.*



*შვილმა მშობლები დახოცა.*

მკვლელობის მიზეზად სამართალდამცველები მკვლელის ფსიქიკურ დაავადებას მიიჩნევენ. თუმცა, გამოძიება ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას მას შემდეგ გააკეთებს, რაც ვლადიმერ მანგოშვილს კომპლექსური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება. "იმ შემთხვევაში, თუ მისი ავადმყოფობა დადასტურდება, სასჯელს ფოთში, შესაბამის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები იმყოფებიან, მოიხდის", - აცხადებს გურჯაანის პოლიციის უფროსი დავით მჭედლიშვილი.

მომხდარ საზარელ მკვლელობას ერთადერთი თვითმხილველი, მანგოშვილების მეზობელი გოჩა შავეზდაშვილი ჰყავს, რომელიც ვლადიმერ მანგოშვილის მეგობარიცაა. როგორც იგი ამბობს, მან საკუთარი სახლიდან მაშინ გამოიხედა, როცა ქალის კივილს ხმა მოესმა. "როდესაც კივილის ხმა გავიგე და სახლიდან გამოვედი, მანგოშვილების ეზოში სისხლში ამოსვრილი ლადო დავინახე, მას მარჯვენა ხელში ქარქაში ეჭირა და მარცხენაში მამამისის მიერ გაკეთებული დანა, მისი სახლის კარი ღია იყო და იატაკზე მოკლულთა ცხედრები დავინახე. მივხვდი, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა. თვითონ ლადო შეშლილი სახით, ძლივს გასაგონი ხმით, ფაქტობრივად, ჩურჩულით, ანტიქრისტეზე და ეშმაკის თვალებზე ლაპარაკობდა, ამბობდა, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია," – ჰყვება გოჩა შავეზაშვილი. როგორც მეზობლების საუბრიდან ირკვევა, მანგოშვილების სახლიდან შვილსა და მშობლებს შორის მიმდინარე კამათის ხმა ხშირად გამოდიოდა, ლადოს ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისას მათ შორის კონფლიქტი ხშირად ხდებოდა, თუმცა, მანგოშვილებს შორის განსაკუთრებული შეხლა-შემოხლა არასდროს მომხდარა, რადგან გარდაცვლილი ლიმზი მანგოშვილი პედაგოგი იყო და ამის უფლებას შვილს არ აძლევდა.

მომხდარი ტრაგედიიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე რაიონის პოლიცია მივიდა. ვლადიმერ მანგოშვილმა პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მისი დაკავება საბოლოოდ ინციდენტის გარეშე მოხერხდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი მანგოშვილი ამჟამად გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მან თავდაპირველად ჩადენილი დანაშაული კატეგორიულად უარყო, თუმცა, მოგვიანებით, განაცხადა, რომ მშობლები მან დახოცა, მაგრამ რა მოხდა იმ წუთას, არ ახსოვს. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მასალების მოკვლევას გურჯაანის რაიონული პროკურატურა აწარმოებს.

# გერმანიაში მოხუცი დამნაშავეებისთვის სპეციალურ ციხეს აშენებენ

გერმანიაში ახალი ციხის აშენებას გეგმავენ, რომელიც მხოლოდ დამნაშავე-პენსიონერებისთვის იქნება განკუთვნილი – ასეთი გახლავთ გერმანიის ხელისუფლების რეაქცია ხანშიშესული ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვის ზრდაზე. ქვეყნის მმართველობა მატად შეშფოთებულია იმის გამო, რომ გერმანიაში ძალზე გახშირდა ჭაღარა მძარცველების თავდასხმები ბანკებსა და მაღაზიებზე.

გასულ კვირას პოლიციამ სამი კაცისგან შემდგარი ჯგუფი დააკავა. სამივე მათგანი, 70 წელს გადაცილებული ბოროტმოქმედი, გერმანიის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ბანკზე თავდასხმას აპირებდნენ და ჩანაფიქრის განხორციელება რომ დასცლოდათ, ეს მათ მიერ გაძარცული მეექვსე ბანკი იქნებოდა.

ინსპექტორი ულრიხ ბეირმანი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერაციას სახელწოდებით "დოსიე ბაბუებზე", აღნიშნავს, რომ: **"ისინი სულაც არ არიან საწყალი მოხუცები. რა ასაკისაც არ უნდა იყოს ადამიანი, როდესაც ის დატენილი პისტოლეტით ბანკში შედის, სერიოზულ მიდგომას საჭიროებს"**. მისივე ინფორმაციით, დაკავებული სამეულიდან ორნი, იმ ძარცვების დროს, რომლებმაც მათ 400 ათასი ევრო მოუტანა, ხელყუმბარებითა და ჩაქუჩებით იყვნენ შეიარაღებული.

მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მაგალითად, ერთი გერმანელი პენსიონერი მაღაზიებს სტაფილოს საშულებით ძარცვავდა, რომელიც ჯიბეში ისე ჰქონდა ჩადებული, რომ ყველას პისტოლეტის ლულად ეჩვენებოდა. ახლახან კი დიუსელდორფის პოლიციამ ნადირობა დაიწყო და ჯერ კიდევ ვერ დაიჭირა 70 წლის ქალი, რომელმაც, სულ ცოტა, ოთხი ბანკი მაინც გაქურდა სათამაშო პისტოლეტის დახმარებით.

როგორც ვარაუდობენ, პენსიონერებისთვის განკუთვნილ ციხეში ხანშიშესულ დამნაშავეთაგან მხოლოდ განსაკუთრებულად თავზეხელაღებულებს მოათავსებენ, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, გულწრფელი მონანიების შემდეგ, პროკურორები მოხუცებს ბრალდებას უხსნიან, რადგან თვლიან, რომ მათ ასაკში პატიმრობა ძალზე მკაცრი სასჯელია.

ქვემო საქსონიის მთავრობამ უკვე დაიწყო მოხუცთა ციხისთვის შესაფერისი ადგილის ძებნა. წინასწარ ცნობილია, რომ ციხე, რომელშიც სპეციალური საკნები იქნება გამოყოფილი ინვალიდებისთვის, რომელთაც ინვალიდის სავარძლის გარეშე უჭირთ გადაადგილება, აუცილებლად საავადმყოფოს სიახლოვეს აშენდება. გერმანელები ამ წამოწყების განხორციელებისას იაპონურ მოდელს გამოიყენებენ. იქ უკვე კარგა ხანია, არსებობს ონიტომის ციხე. სხვათა შორის, იქაც სპეციალური ციხის აშენება მოხუცთა დამნაშავეობის ზრდამ განაპირობა. იაპონიაში ბოლო ათი წლის მანძილზე 65 წელს გადაცილებულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა 320 პროცენტით გაიზარდა, შარშან კი სხვადასხვა ბრალდებით 30 ათასი ხანშიშესული ადამიანი დააპატიმრეს.

რაც შეეხება გერმანიას, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იქ ბოლო 10 წლის მანძილზე მოხუცების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, იაპონიასთან შედარებით, ბევრად ნაკლებად, მხოლოდ 28 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ქვეყნის ხელისუფლება მაინც შეშფოთებულია. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მარტო საქსონიაში შარშან სხვადასხვა ბრალდებით – მაღაზიის გაქურდვიდან დაწყებული, მკვლელობებით დასრულებული – 60 წელს გადაცილებული 8 ათასი ბოროტმოქმედი დააკავეს. ამას, ნაწილობრივ, მოხუცთა შორის ფსიქიური მოშლილობის გავრცელებით ხსნიან. პოლიციის მონაცემებით, ფსიქიურად დაავადებულთა კლინიკებიდან გამოსვლის შემდეგ, მოხუცები ხშირად გამორბიან სახლიდან და დაგროვილ ჯავრს სხვადასხვა რამეზე, მაგალითად, ქუჩაში გაჩერებულ მანქანებზე იყრიან ხოლმე.

მაგრამ არის სირთულეც. იმავე იაპონიაში, ფუკუსიმას უნივერსიტეტის მკვლელვარები ამბობენ, რომ სპეციალიზებული ციხე ბევრი პენსიონერისთვის მეტად მომხიბლავ ადგილად იქცა - მათ იქ ცხოვრება უფრო მოსწონთ, ვიდრე მოშლილი ლიფტის მქონე სახლებში განლაგებულ ბინებში, სადაც, ციხისგან განსხვავებით, მათზე არავინ ზრუნავს.

**"ჩვენ ადეკვატური ბალანსი უნდა ვიპოვოთ, გავითვალისწინოთ მოხუცების მდგომარეობა, მაგრამ ამასთან ისეთი კომფორტული პირობები არ უნდა შევუქმნათ, რომ მათ იქ ყოფნა თავისუფლების აღკვეთადაც არ ჩათვალონ"**, - ამბობს ქვედა საქსონიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი იუტა როზენდალი.

### მოკლედ

## ქართულ ენერგოსისტემას უცხო ქვეყნები ემტერებიან

საქართველოში ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებზე ბოლო თვენახევრის განმავლობაში დივერსიული აქტი ზედიზედ ოთხჯერ განხორცილედა, რამაც ქვეყნის ენეტგოსისტემას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. როგორც ჩანს, ამ მხრივ დანაშაულები მომავალშიც იგეგმება, რასაც ქართველი სამართალდამცველები უცხო ქვეყნების დაინტერესებით ხსნიან. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, "გრუ" - რუსეთის სამხედრო დაზვერვა ქართული ენერგოსისტემის დესტაბილიზებასა და ამ მიზნით დივერსიული აქტების სერიის გაგრძელებას გეგმავს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გივი თარგამაძემ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად უკვე შექმნილია ჯგუფი, რომელიც ოსი ეროვნების ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული.

"მათ შერჩეული აქვთ არეალი და აქტის სამიზნე - ეს არის შიდა ქართლი, სამხრეთ ოსეთის ტერიტორია. ლაპარაკია, რომ ეს აფეთქებები რამდენიმე დღეში უნდა განხორციელდეს. წინა აქტის დროს, ამ ხალხისთვის პასუხის გაცემა, სამწუხაროდ, მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შევძელით. ახლა უნდა მოვახერხოთ, რომ პრევენციული ხასიათის ქმედებებით, წინასწარ გავუქროთ ამ ხალხს ასეთი აქტების მოწყობის ინტერესი", - აღნიშნულია განცხადებაში. **24 საათი**

## იუსტიციის სამინისტრო საპასპორტოების გაწმენდას შეუდგა

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში ახლად გადასულ საპასპორტო სამსახურში იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ კრიმინალი აღმოაჩინა. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საპასპორტო-სავიზო განყოფილებაში ერთ მოქალაქეზე ორჯერ, სხავადასხვა გვარზე გაიცა მოქალაქის პასპორტი. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ზურაბ აბაშიძის ინფორმაციით, ზვიად ელიზბარაშვილი საზღვარგარეთის ერთ-ერთი ქვეყნიდან გამოაძევეს, ამიტომ მან განმეორებით, ზაზა ერისთავის სახელზე სხვა პასპორტი აიღო და საქართველო ამ პასპორტით დატოვა. ზურაბ აბაშიძის თქმით, გენერალური ინსპექცია, იუსტიციის მინისტრის დავალებით, განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ყოფილი საპასპორტო სისტემის (რომელიც ამჟამად სამოქალაქო რეესტრის ნაწილია) კონტროლზე.

„არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი დარღვევა ამ სისტემისათვის ტიპურია. საპასპორტო სამსახურების ოფისებში გამოიკვრება გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის ნომერი და მოქალაქეებს ვთხოვთ, ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში მოგვმართონ", - თქვა აბაშიძემ. **მედია-ნიუსი**

## უკანონოდ გათავისუფლების შედეგი

სამი დღის წინათ დაკავებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამმართველოს ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსს ილია ჯორთმენაძეს აჭარის უზენაესმა სასამართლომ წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებად შინა პატიმრობა შეუფარდა.

აჭარის პროკურატურამ ილია ჯორთმენაძე და ბათუმის წინასწარი დაკავების იზოლატორის უფროსის მოადგილე ამირან ქობულაძე საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში მცხოვრები, 25 წლის შოთა სადუნიშვილის იზოლატორიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო დააკავეს.

პროკურატურამ ამ საქმეზე 18 პირი დაკითხა და მათგან მხოლოდ ოთხი დააკავა, მათ შორის ბათუმის პოლიციის ყოფილი უფროსი. საკანში ერთი ღამის გატარების შემდეგ ილია ჯორთმენაძე აცხადებს, რომ ეს დაკავება აუცილებელი იყო, რათა სიმართლე გარკვეულიყო.

## აჰმედ ზაკაევი, შეიძლება, ბელგიაში დააკავონ

ჩეჩენ ბოევიკთა ლიდერის ასლან მასხადოვის წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი ევროპარლამენტის დეპუტატის მიწვევით თუკი ბრიუსელში ჩავა, ბელგიის ხელისუფლება მას ბრიტანეთს გადასცემს. რადგან ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ზაკაევის რუსეთში ექსტრადაციის საკითხს არ განიხილავს.

ევროპარლამენტის ბელგიელმა დეპუტატმა აჰმედ ზაკაევი ბრიუსელში მიიწვია, რათა მონაწილეობა მიეღო შეხვედრაში, რომელსაც მომავალ კვირას ჯარისკაცთა დედების რუსეთის კომიტეტის წარმომადგენლები მართავენ. ბელგიელი პარლამენტარი მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩეჩნეთის პრობლემის კომპრომისულ გადაწყვეტას.

აჰმედ ზაკაევი ამჟამად დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ადგილობრივმა მართლმსაჯულებამ იგი რუსეთს არ გადასცა, რადგან რუსეთის გენპროკურატურის მონაცემები ზაკაევის სხვადასხვა დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, არაარგუმენტირებული აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

### ანკეტა

**სახელი, გვარი** ...............................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ...............................................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ...............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ქვითრის ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

USAID

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

*ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.*

*ღია დისკუსიაზე გამოწვევის მიუხედავად, ენერგოსექტორში მოქმედი ორგანიზაციები პასიურობენ. მიუხედავად იმისა, რომ მოწვევა ენერგოსექტორის ყველა სუბიექტს ეხებოდა, მას, ჯერჯერობით, მხოლოდ სემეკ-თან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე გამოეხმაურა და საკუთარი მოსაზრებებიც მოგვაწოდა, რომელთაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.*

*შეგახსენებთ, რომ გაზეთი "24 საათი", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ "24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

# ენერგეტიკული სტრატეგიის მთავარი პრინციპები

## პრობლემების თავიდათავი მაინც არსებული რეგულირების ნაკლოვანებებშია

დავით ებრალიძე
*სემეკ-თან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი*

"თელას"-ის საიმპორტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის სიმძაფრე მოულოდნელი იყო, რამდენადაც გაცილებით არსებით საკითხს - "თელასი"-ის ხუთასმილიონიანი ვალის ჩამოწერისა და ტარიფის შემცირების შესაძლებლობას (რაც ათასჯერ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ტარიფზე), ყურადღების მცირედი ნაწილიც კი არ რგებია. როდესაც არსებობს საფუძვლიანი მტკიცებულებები და არგუმენტაცია ტარიფის დასაკლებად, მაგრამ ეს მაინც არ ხდება, მიზეზს უფრო ღრმად ეძებ. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის სახელმწიფო კომპანიასთან მარტო არგუმენტაციითა და სამართლიანობით აპელირება წარმატების გარანტია რომ არ არის, დღეს უკვე ყველასთვის გასაგებია.

მაგრამ, პრობლემების თავიდათავი მაინც არსებული რეგულირების ნაკლოვანებებშია, რომელიც კორუფციული გარიგებების, ქვეყნის, ენერგოსისტემისა და მომხმარებლების საზიანო ქმედებების შესაძლებლობას ტოვებს. ამ ვითარებაში ერთ-ერთი გამოსავალი - სექტორის დერეგულირებაა. მომხმარებელთა ინტერესების გადმოსახედიდან, ბუნებრივი მონოპოლიების სფეროს დერეგულაცია უკეთესთა შორის საუკეთესო არჩევანი არ არის, მაგრამ იგი უარესთა შორის ნაკლებად უარესად შეიძლება მივიჩნიოთ. ძალზე ბევრი კომპეტენტური მიუკერძოებელი, პრინციპული და შრომისუნარიანი ადამიანი უნდა იყოს რეგულირების სისტემის ყველა კომპონენტში, რომ რეგულირებამ მიგვიყვანოს უფრო სამართლიან მდგომარეობამდე, ვიდრე შესაძლებელმა დერეგულაციამ. ვფიქრობ, პრაგმატულები უნდა ვიყოთ და შესაძლებლობები არ უნდა გადავაფასოთ.

აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოს ენერგოსექტორის წინაშე დგას რამდენიმე მთავარი ამოცანა, რომელთა განხორციელების გარეშეც, საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ამ ამოცანების განხორციელება კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ იმპულსად უნდა იქცეს.

### ელექტროენერგეტიკული სექტორის დერეგულირება

ელექტროენერგეტიკული საბითუმო სექტორის დერეგულირებას გარკვეული რისკ-ფაქტორები ახლავს თან, თუმცა დერეგულაციის შედეგად ფასების მნიშვნელოვანი მატების შიში გადაჭარბებულია. დღევანდელ საქართველოში დარგის სრულ დერეგულაციას ადგილი მაინც არ ექნება. დერეგულირების შედეგად წარმოშობილი უარყოფითი ტენდენციების შემთხვევაში, ამუშავდება ეგრეთწოდებული "ფარული" რეგულაციის მექანიზმები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პურის ფასების "გაშვება". პურის ფასების გათავისუფლების შემდეგ, გარკვეულ კრიტიკულ სიტუაციებში, ირთვებოდა სახელმწიფოს მხრიდან ფარული რეგულაციის ბერკეტები, რაც არ იძლეოდა სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის საშუალებას. ფარულ რეგულაციას ბევრი უარყოფით მოვლენად აფასებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ფარული რეგულაცია გაცილებით უფრო სამართლიანია, ვიდრე დაკანონებული რეგულაცია.

ელექტროენერგეტიკული საბითუმო სექტორის დერეგულირებისას ელექტროენერგიის საბითუმო რეალიზაციის ფასის ზედა ზღვარი იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასურს ვერ აღემატება, ეს ზღვარი კი 5 თეთრზე მეტი არ არის.

დერეგულაცია ელექტროენერგიის საბითუმო შეწონილ ფასზე დადებითად იმოქმედებს, რამდენადაც, სემეკ-ის მიერ დადგენილი თბოენერგიის ტარიფი იმპორტირებულ ენერგიაზე გაცილებით ძვირი, 9 თეთრზე მეტი ღირს.

დერეგულირება ეტაპობრივად, გეგმაზომიერად უნდა განხორციელდეს. ამის მისაღწევად, რამდენიმე საფეხურის გავლაა საჭირო:

**1. სექტორის დერეგულირება გაზაფხულზე უნდა მოხდეს. დერეგულირებისთვის ოპტიმალური საწყისი მდგომარეობის მისაღებად, მანამდე, სემეკ-მა უნდა გადახედოს ყველა ტარიფს. "თელასი"-ის ტარიფი უნდა დაანგარიშდეს კანონის მიხედვით. ამ შემთხვევაში, იგი 5 თეთრი გახდება (სამართლებრივად ეს შესრულებადია. ამის მიღწევის იურიდიული მექანიზმები არსებობს და მათ რეალიზებას პოლიტიკური ნების სიმტკიცე სჭირდება).**

მიუხედავად იმისა, რომ "თელას"-ის აქციათა 75 პროცენტის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სახელმწიფოს სახელით და მას სემეკ-ის თავმჯდომარეც აწერს ხელს, რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულება არ დგას ქართულ კანონმდებლობაზე მაღლა, სემეკ-მა სატარიფო გადაწყვეტილება მაინც "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად უნდა მიიღოს. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულება (უფრო სწორად, საერთაშორისო ხელშეკრულება) თუ ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობას და, შესაბამისად, ითხოვს ქართული კანონმდებლობის შეცვლას, პარლამენტის მხრიდან რატიფიცირებას საჭიროებს. აღნიშნული ხელშეკრულება არ არის რატიფიცირებული პარლამენტის მიერ. ანუ, მას არ გააჩნია ქართულ კანონმდებლობაზე უპირატესი ძალა.

"თელას"-ის აქციათა 75 პროცენტის ნასყიდობის ხელშეკრულების 27-ე მუხლის თანახმად "ხელშეკრულება ექვემდებარება და ხელმძღვანელობს ქართული კანონმდებლობით".

ხელშეკრულების 7.4 მუხლის "სახელმწიფოს უფლებანი" 7.4.2 ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო თავის უფლებებს ახორციელებს ხელშეკრულების, "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად. (რა თქმა უნდა "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქ. კანონის შესაბამისად.)

ხელშეკრულების 7.5 მუხლის "სახელმწიფოს ვალდებულება" 7.5.4 ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო უწყებებმა **მათი კომპეტენციის ფარგლებში** უნდა მიიღონ ზომები, რათა აღნიშნული ხელშეკრულება და დამატებითი ხელშეკრულებები მათში განსაზღვრული პირობების შესაბამისად განხორციელდეს.

თუ სემეკ-ი ტარიფს "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საწინააღმდეგოდ დაადგენს, ეს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბათილი იქნება. არადა, რეალობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებისეული სატარიფო მეთოდოლოგია ეწინააღმდეგება ზემოთქმულ 43-ე მუხლს.

ზემოთ მოყვანილი, და კიდევ სხვა მრავალი იურიდიული ასპექტი მიუთითებს, რომ "თელას"-თან ურთიერთობისას ქართულ მხარეს საკმარისი არგუმენტაცია აქვს იმისათვის, რომ მომხმარებელთა ინტერესები დაიცვას.

თუნდაც, შეიძლება დაისვას კითხვა: თუ სემეკ-ი "თელას"-ისთვის ტარიფის დადგენისას საპრივატიზაციო ხელშეკრულებით არ იხელმძღვანელებს, დაუდგება თუ არა სახელმწიფოს უპირობო ანაზღაურებისა და კომპენსაციის ვალდებულება ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლის თანახმად?

ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა ითქვას: ტარიფი კანონის მიხედვით უნდა დადგინდეს. არავის აქვს უფლება, მომხმარებელს იმისგან განსხვავებული ტარიფი დაუწესოს, ვიდრე ეს კანონით ეკუთვნის. თუ ხელისუფლებამ კომპანიას რაიმე დაპირება მისცა ან ზარალი მიაყენა, თავად უნდა აანაზღაუროს.

ამასთან, ხელშეკრულების 16.6 მუხლის "დროის რეგლამენტი" თანახმად: "არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი 16.1.1 და 16.2.1 მუხლებში გათვალისწინებულ მოთხოვნასთან მიმართებაში, თუ ამის შესახებ შეტყობინება (28.1 მუხლის თანახმად) არ მიეწოდება მეორე მხარეს შესრულების თარიღიდან სამი წლის განმავლობაში და თუ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში არ იქნა წამოწყებული 28-ე მუხლში წარმოდგენილი პროცედურები." შესრულების თარიღიდან უკვე გავიდა 5 წელზე მეტი. "თელას"-ის ან "ეი-ი-ეს"-ის მხრიდან არ წამოწყებულა 28-ე მუხლში წარმოდგენილი პროცედურები, შესაბამისად ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის საკითხი სახელმწიფოს წინაშე ვერ დადგება.

ასევე, სახელმწიფოს წინაშე ვერ დადგება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების 16.1.2 პუნქტით, რამდენადაც 7.5.4 მუხლის თანახმად "სახელმწიფო უწყებები უზრუნველყოფენ ხელშეკრულების შესრულებას მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში" (შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის ფარგლებში).

ხელშეკრულების 20.7 მუხლის თანახმად სახელმწიფო არ იქნება ვალდებული გადაუხადოს ანაზღაურება "თელას"-ს სამართლის რაიმე ცვლილების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი სამართლის ცვლილება "თელას"-ის მიმართ იყო დისკრიმინაციული, "რომელიც ძირითადად პირდაპირ მოქმედებს "თელასზე" და მხოლოდ შემთხვევით შეეხება სხვა პირს, და რომელიც მატერიალურად უარყოფით გავლენას ახდენს "თელას"-ის სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე @(7.5.7 მუხლი).

სს "თელას"-ისთვის ინდივიდუალურად უარყოფითი ეფექტის მქონე რაიმე სამართლებრივი ცვლილება არ მომხდარა. ამაში გვარწმუნებს არა მარტო კანონმდებლობის განმარტება, არამედ სხვადასხვა დარგის სხვადასხვა კომპანიებისთვის ანალოგიური გადასახადების რეალურად დაკისრება. შეღავათები კი "თელას"-ს მიმართ ნამდვილად განხორციელდა. ამრიგად, სახელმწიფოს არც არადისკრიმინაციული სამართლის ანაზღაურების ვალდებულება უდგას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგების ის პუნქტი, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. "თელას"-ის აქციათა 75 პროცენტის ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად მისი ხელმომწერი პირების თანამდებობებისა, არის ჩვეულებრივი კერძო სამართლის გარიგება.

არსებობს ის მოსაზრებაც, რომ კანონის მიხედვით დათვლის შემთხვევაში "თელას"-ის ტარიფი უფრო მეტი აღმოჩნდება და, რომ მომხმარებლისთვის უკეთესი იქნება, თუ ის ხელშეკრულების მიხედვით დაითვლება. ამასთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ, რომ კანონის მიხედვით დათვლილი ტარიფი უფრო მეტი არ აღმოჩნდება და რომც აღმოჩნდეს, ტარიფი კანონის მიხედვით უნდა იქნეს დათვლილი.

ცნობისათვის, ტარიფს ხელშეკრულების მიხედვით დათვლი თუ კანონის მიხედვით, "თელას"-ის მოჭარბებული მოთხოვნებისათვის სასარგებლო არ აღმოჩნდება შედეგი. სანამ "ეი-ი-ეს კორპორაცია" "თელას"-ს, "ხრამებს" და "მტკვარს" ერთად სულ 23 მილიონ აშშ დოლარად მიყიდდა "რაოს", მანამდე "ეი-ი-ეს-მა" ამ აქტივების გადაფასება მოახდინა - 204 მილიონი აშშ დოლარი ჩამოწერა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიყიდა ეს აქტივები. შესაბამისად, "თელას"-ს უკვე მანამდე, ვიდრე იგი გაიყიდებოდა, სესხები არ გააჩნდა და ვერც ვერავითარი პროცენტები დაერიცხება (იხილეთ "ეი-ი-ეს"-ის 2003 წლისა და 2003 წლის მეორე კვარტლის ფინანსური ანგარიშგებები (http://www.aes.com).

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ტარიფში დღეისათვის ასახულია ის ვალები და საპროცენტო განაკვეთები (დღეისათვის 500 მილიონზე მეტი), რომლებიც უკვე წელიწადზე მეტია ჩამოწერილია და აღარ არსებობს.

"თელას"-ის 2003 წლის ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობილი მონაცემებით შეგვიძლია შევაფასოთ კანონის მიხედვით დათვლილი ხარჯებზე ორიენტირებული "თელას"-ის განაწილების სატარიფო განაკვეთი. გამოვა, რომ ეს განაკვეთი 5 თეთრს არ აღემატება. ამას თუ დავუმატებთ სამომხმარებლო ტარიფის სხვა გადაფასებულ კომპონენტებს, თბილისში სამომხმარებლო ტარიფი 8 თეთრის ფარგლებში იქნება (დღგ-ს გარეშე).

**2. საბითუმო შეწონილი ტარიფი, ხარჯებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის ნაცვლად, პროგნოზირებადი შემოსავლების პრინციპით უნდა დაანგარიშდეს. ამ შემთხვევაში, მისი ოდენობა (გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მარჟასთან ერთად), 3 თეთრის ფარგლებში მოექცევა. შედეგად, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი (დღგ-ს გარეშე) 8 თეთრი გახდება.**

არსებული სატარიფო მეთოდოლოგია ხარჯებზე ორიენტირებულ პრინციპს ეყრდნობა. ელექტროენერგიის საფასურის 25-პროცენტიანი გადახდის პირობებში აღნიშნული მეთოდოლოგია სრულიად გამოუსადეგარია. საბითუმო ბაზარზე და არაგამრიცხველიანებულ სექტორში ტარიფის ფორმირება ხარჯების მიხედვით კი არა, პროგნოზირებადი შემოსავლების მიხედვით უნდა ხდებოდეს. არაფერს მოგვცემს იმის ანგარიში, თუ რამდენი გვჭირდება. მნიშვნელოვანი ისაა, თუ რეალურად რა თანხა შემოვა. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, ხარჯვითი ნაწილი პროგნოზირებადი შემოსავლების მიხედვით დგინდება და არა პირიქით. ასევე, აზრი არ აქვს მაღალი ტარიფის დაწესებას, რამდენადაც შემოსავლები არსებულ გადახდისა და გაუმრიცხველიანებლობის პირობებში, მოხმარებული ენერგიის შესაბამისად არ აკუმულირდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დარგის დაუფინანსებლობაა. მაგრამ, ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული თანხების ნაკლებობა - ეს რეალობაა და დღეს მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დარგში რეალობასთან მიახლოებული სისტემა შეიქმნას, რათა შემდგომში, რეალურ ბაზარზე გადასასვლელად, საფუძველი შემზადდეს.

**3. ელექტროენერგიით მომსახურების ნაწილობრივი დერეგულაცია: სემეკ-ის მიერ მხოლოდ ელექტროენერგიის დისტრიბუციის, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები უნდა დგინდებოდეს. საბითუმო შესყიდვა თავისუფალ ბაზარზე უნდა ხდებოდეს. საბითუმო ბაზარზე არაპირდაპირი სატარიფო რეგულატორის ფუნქცია ენგურჰესმა უნდა შეითავსოს (ისევე როგორც ეროვნული ბანკი ახდენს სავალუტო კურსის რეგულირებას). ამისათვის, ენგურჰესის მართვა დამოუკიდებელი საბჭოს მიერ უნდა განხორციელდეს. საბითუმო ბაზარზე რეალიზებული ენერგიიდან კი, პირველ რიგში, უმცირესი ტარიფის ენერგია უნდა დაიფაროს.**

ანაზღაურებული თანხის განაწილების საბითუმო ბაზარზე დადგენილი პრინციპი დაბალფასიანი ენერგიის გენერირებას ხელს არ უწყობს. არსებული მანკიერი წესის შეცვლის ერთადერთი გზა - თავისუფალ ბაზარზე გადასვლაა. სხვა შემთხვევაში, საბითუმო ბაზარი თავს ვერ დააღწევს "რაო ეეს როსიი"-ს კუთვნილი ქართული კომპანიების დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ურთიერთჩათვლის მექანიზმს, რაც დღეს საბითუმო ბაზრის აქილევსის ქუსლია. აღნიშნული მექანიზმით მოხდება დაბალფასიანი ენერგიის გენერირების წახალისება და ამით შესაბამისი სიმძლავრეების შექმნა.

**4. სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან პარალელური მუშაობის რეჟიმი უნდა აღსდგეს, მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის მიღება კი ისევ ელექტროენერგიით უნდა ანაზღაურდეს. ამის საფუძველი ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა შექმნას;**

მეზობელი ქვეყნებიდან მიღებული ელექტროენერგიის ისევ ენერგიით დაბრუნება მნიშვნელოვანია, რათა ქვეყნიდან ვალუტის დიდი მოცულობით გადინება შეჩერდეს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია რამდენადაც ჩვენი მეზობელი ქვეყნები ამ პრაქტიკას იყენებენ. მაგალითად, სომხეთი ირანთან ენერგორესურსების გაცვლას სწორედ ამდაგვარად ახდენს.

### გაზის სექტორის დერეგულირება

აგვისტოში სემეკ-მა გაზის მოხმარების პროგრესული წესები დაამტკიცა. ეს წესები მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ იგი გაზის მომხმარებლისა და მიმწოდებლის ურთიერთობას არეგულირებს, არამედ ბუნებრივი გაზით მომსახურების სფეროში კონკურენციის საშუალებასაც იძლევა.

**5. ბუნებრივი გაზით მომსახურების ნაწილობრივი დერეგულაცია: სემეკ-ის მიერ მხოლოდ გაზის ქსელებში გატარების ღირებულება უნდა დგინდებოდეს, გაზის მიწოდება (იმპორტი და მომხმარებლისთვის მიწოდება) კი თავისუფალ ბაზარზე უნდა ხდებოდეს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაცვის მიზნით, თხევადი გაზი ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადისგან უნდა გათავისუფლდეს;**

ბუნებრივი გაზით მომსახურების სფეროში ორი ტიპის ბიზნესაგენტი - გაზის გადამცემ-გამანაწილებელი და გაზის მიმწოდებელი მონაწილეობს. გაზის გადამცემი ან გამანაწილებელია ის, ვინც ბუნებრივ გაზს ქსელის საშუალებით მიმწოდებლამდე ატარებს, რისთვისაც გატარების საზღაურს იღებს. ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი კი ის ბიზნეს აგენტია, ვინც ბუნებრივი გაზის გადაყიდვას ახდენს (მაგალითად, ახდენს იმპორტს და უშუალოდ მომხმარებელს აწვდის).

ეს ორი ბიზნესმომსახურება შეიძლება ერთი ეკონომიკური სუბიექტის მიერ ხორციელდებოდეს. მაგალითად, "თბილგაზი" თავად ახდენდეს გაზის იმპორტს, საკუთარი ქსელით ატარებდეს და თავადვე აწვდიდეს გაზის მომხმარებლებს (ასეა დღეს). თუმცა, დამტკიცებული წესებით, გაზის მიმწოდებელი შეიძლება იმავდროულად არ ფლობდეს გაზის გადამცემ-გამანაწილებელ ქსელს. ამასთან, გაზის გადამცემ-გამანაწილებელი ვალდებულია, სემეკ-ის მიერ დადგენილი გატარების საფასურად, გაზის მიმწოდებლამდე გაატაროს ბუნებრივი გაზი და მიაწოდოს ნებისმიერ მომხმარებელს ნებისმიერ ადგილზე. შესაბამისად, ეს წესები კონკურენციის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

თუმცა, კონკურენცია რეალურად რომ შეიქმნას და ბაზარზე ალტერნატული მიმწოდებლები გამოჩნდნენ, ამისათვის მხოლოდ აღნიშნული წესები არ კმარა. აუცილებელია მოცემულ წერტილამდე ბუნებრივი გაზის გატარების რეალური საერთო ტარიფის დაწესებაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზის ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე გადატანა ყველა მიმწოდებელს ერთი და იგივე უნდა უჯდებოდეს. ამისათვის კი, სემეკ-ის მიერ დამტკიცებული გატარების ტარიფი, გაზის გატარებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად რეალისტური უნდა იყოს. სწორედ ესაა პრობლემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნებრივი გაზის მიწოდების სფერო შედგება ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და ბუნებრივი გაზის გატარებისაგან. შესაბამისად, გაზის სამომხმარებლო ფასი თვით საიმპორტო ღირებულების, გატარებისა და მიწოდების ღირებულებებად უნდა დაიყოს. გაზის მიწოდება თავისუფალ ბაზარზე უნდა ხდებოდეს, ხოლო გატარების ღირებულება სემეკ-მა უნდა დაადგინოს. შესაბამისად, სამომხმარებლო ტარიფის გატარების კომპონენტი რეგულირებადი იქნება, ხოლო დანარჩენი ორი თავისუფალი არჩევანის (კონკურენციის) საფუძველზე დადგინდება.

გაზის გადაცემა-განაწილების დერეგულაცია პრობლემურია, რამდენადაც ქსელი მოცემულ ტერიტორიაზე, როგორც წესი, ერთია. შესაბამისად, გადაცემა-განაწილების ტარიფი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ვერ მიიღება. (მართალია, შესაძლებელია ქსელების კონკურენციის, პარალელური ქსელების, გზით წასვლა, მაგრამ ეს დუბლირებულ კაპიტალდაბანდებებს გულისხმობს, რაც ეკონომიკურად არ არის გამართლებული).

რაც შეეხება, იმპორტისა და მიწოდების ტარიფებს - მათი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე დადგენა შესაძლებელია, რამდენადაც, ამ ნაწილში ბუნებრივ მონოპოლიას ადგილი არა აქვს.

გაზის იმპორტის ტარიფის სემეკ-ის მხრიდან რეგულირებას აზრი არ აქვს შემდეგი მიზეზების გამო: იმპორტული გაზის ტარიფი დგინდება სხვა ქვეყნის გაზის საექსპორტო ფასით. იმპორტის ტარიფის შემადგენელი ნაწილია ასევე იმპორტიორი კომპანიის დანამატი გაზის გადაყიდვაზე. თუ იმპორტიორი კომპანიები შეიკვრებიან, ან ერთი კომპანია არაჯანსაღი კონკურენციის ხარჯზე ყველა სხვა იმპორტიორის ბაზრიდან განდევნას მოახერხებს, ან ექსპორტიორი ქვეყანა არაკონკურენტულ მიწოდებას განახორციელებს ერთი "ფავორიტის" მეშვეობით, სემეკ-ი უძლური იქნება წინ აღუდგეს ასეთ ქმედებებს. ამ შემთხვევაში, არაჯანსაღი კონკურენციის ან ხელოვნური მონოპოლიზაციის აღმოფხვრა სულ სხვა ორგანოების ფუნქცია იქნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის იმპორტის (მიწოდების) ტარიფის სემეკ-ის მიერ რეგულირება სრულიად ზედმეტია.

მიწოდების ტარიფის წილის დერეგულაცია და მისი არაპირდაპირი რეგულაცია კი გადაცემა-განაწილების ტარიფის რეგულირებით არის შესაძლებელი. მიწოდების ტარიფის ზრდის შემთხვევაში (რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ კომპანიის მხრიდან, ვინც, იმავდროულად, გადამცემ-გამანაწილებელსაც წარმოადგენს), სემეკ-მა განაწილების ტარიფის კლება უნდა დაიწყოს. შედეგად, არამარტო საერთო ტარიფი არ დაიწყებს მატებას, არამედ გადაცემა-განაწილების ტარიფის კლებით, მიმწოდებელთა კონკურენციაც გაიზრდება. ანუ, სემეკს, რეგულირების აღნიშნული მეთოდით, გადაცემა-განაწილების ყველაზე ოპტიმალური ტარიფის დადგენა შეუძლია.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაზის მიწოდების სტაბილურობა ძვირი ელექტროენერგიის ხარჯს მნიშვნელოვნად შეამცირებს, რამდენადაც წყლისა და ჰაერის გამაცხელებელ ელექტროსისტემებს მომხმარებელი გაზის სისტემებით ჩაანაცვლებს.

### ენერგოსექტორის აქტივებისადმი დამოკიდებულება

ენერგოსექტორისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს და ის ეკოლოგიისადმი დამოკიდებულების ანალოგიური უნდა გახდეს, რაც მატერიალურ განზომილებაში ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ უნდა ესწრაფოდეს საბიუჯეტო შემოსავლებს (დივიდენდებს, შემოსავლებს პრივატიზაციიდან და იჯარიდან) ენერგოსექტორის სახელმწიფოს კუთვნილი აქტივებიდან.

ამისათვის საჭიროა:

**6. სახელმწიფომ უარი თქვას კუთვნილი ენერგოაქტივებიდან დივიდენდებისა და იჯარის ქირის მიღებაზე. სახელმწიფომ ენერგოაქტივების პრივატიზაციიდან ამონაგები თანხები თავად სექტორს მოახმაროს; მოხდეს ენერგოსექტორის ლიცენზიატების საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაცია; სახელმწიფო გარანტიით გაცემულ სესხებზე კი სახელმწიფომ თავისი კუთვნილი საპროცენტო განაკვეთი არ დაამატოს;**

კომუნალურ სფეროს სახელმწიფო არ შეიძლება განიხილავდეს, როგორც ბიზნესს, მოგების მიღების თვალსაზრისით. აშშ-შიც კი მუნიციპალური საკუთრების კომუნალური საწარმოების ტარიფები მოგების წილს არ ითვალისწინებენ. მით უფრო, ჩვენი სახელმწიფო არ უნდა ითხოვდეს საბჭოთა წყობისას შექმნილი შესაბამისი კაპიტალიდან დივიდენდებს და ამ კაპიტალის სანაცვლო თანხებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს, აღნიშნული აქტივების ინვესტირების კომპონენტი მაშინდელ ტარიფში წინასწარ იყო ასახული და შეიძლება ითქვას, რომ ამ ქონებას მომხმარებელი საკუთარი სახსრებით ქმნიდა, მაშინ დავასკვნით კიდეც, რომ ამ თანხების ტარიფში ასახვის უფლება სახელმწიფოს სამართლებრივადაც არ გააჩნია.

შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ საქართველოში სწორედ ეს პოლიტიკა ხორციელდება, თუმცა საქმე სხვაგვარადაა:

- ენერგოსექტორის პრივატიზაცია, როგორც წესი, კომერციული ხასიათისაა და პრივატიზაციიდან ამონაგები თანხები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში სრულიად სხვა ხარჯების დასაფინანსებლად;
- ტარიფში საკმაოდ მოზრდილ პორციად არის შესული სახელმწიფოს კუთვნილ კაპიტალზე მისაღები დივიდენდებისა და ამ კაპიტალის უკან დაბრუნების (ლაპარაკი არ არის აქტივების აღდგენაზე) კომპონენტები;
- ტარიფშია ასევე შესული სახელმწიფოს მიერ ფინანსური იჯარით გაცემულ აქტივებზე იჯარის თანხა (თუ აქტივების კვლავწარმოებას სხვა უზრუნველყოფს, გაუგებარია, რა დანიშნულება აქვს სახელმწიფოსთვის ამგვარი იჯარის თანხას, გარდა იმისა, რომ არაფრის მკეთებელი სახელმწიფო მოხელეები დაასპონსოროს);
- სახელმწიფო არ უნაზღაურებს სექტორს კუთვნილ თანხებს (მაგ. აფხაზეთში გადადინებულ ენერგიაზე);
- ამას ემატება სრულიად ზღვარს გადასული საგადასახადო წამლეტელობა. სხვა რა უნდა უწოდო იმას, როდესაც ელექტროენერგიის დანაკარგზე კომპანიას დღგ-ს სრულად ახდევინებენ. აღნიშნული განუკითხაობით მიღებულ ზარალს კომპანია ტარიფში ასახავს. შედეგად კეთილსინდისიერი მომხმარებელი ტარიფის მეშვეობით ერთიდაიგივე გადასახადს რამდენიმეჯერ იხდის.

**7. სემეკ-ის მიერ დადგენილ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფში მხოლოდ დარგის კვლავწარმოებისთვის აუცილებელი კომპონენტები უნდა შევიდეს;**

ეს ნიშნავს შემდეგს:

კერძო ინვესტორის მიერ გონივრულად ინვესტირებულ საკუთარ კაპიტალზე თანაზომადი ამონაგების კომპონენტის ტარიფში ასახვა ლოგიკურია, იმავდროულად ტარიფში არ უნდა შევიდეს იმ აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე ფონდამონაგების კომპონენტი, რადგანაც აღნიშნული აქტივები ისტორიულად, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, სახელმწიფო თუ მომხმარებლის სახსრებით არის შექმნილი.

ცვეთასთან ერთად ტარიფში არ უნდა იყოს შესული აქტივების აღდგენასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტი. ცვეთის კომპონენტი კი უნდა იყოს მხოლოდ აქტივების აღდგენის მიზნით შეტანილი ტარიფში.

ზემოთაღნიშნული ამოსაღები კომპონენტების მოცულობა მთლიანობაში არსებული სამომხმარებლო ტარიფის დაახლოებით 15-20 პროცენტს შეადგენს (თბილისისთვის უფრო ნაკლები ვიდრე მის გარეთ).

### გადასახადები

პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი. ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი უნდა იყოს და გახდება კიდეც ბიზნესისა და სახელმწიფოს შეჯერებული ინტერესების საფუძველი. მაგრამ, საგადასახადო კოდექსი არანაკლებ ზემოქმედებას ახდენს ბიზნესის გარეთ მყოფ ჩვეულებრივ სოციუმზე. ეკონომიკურ ურთიერთობებში მარტო ბიზნესი არ მონაწილეობს, თითოეული ჩვენგანი, პენსიონრები, უმუშევრები, მოზარდები უამრავ ხარჯს გავწევთ მომსახურებისა თუ საქონლის შესაძენად. ამ კუთხით კი საგადასახადო კოდექსი სიტუაციას არსებითად ამძიმებს. გადასახადები, რომლებიც სოციალურ მოთხოვნებს უკავშირდება (მაგ. კომუნალური მომსახურება, ენერგეტიკა) მნიშვნელოვნად იზრდება.

**8. ენერგეტიკაზე მოქმედი გადასახადები ზომიერი და მიღებული მომსახურებიდან პირდაპირ გამომდინარე უნდა იყოს;**

ახალი საგადასახადო კოდექსით ბიზნესისთვის გაწეული შეღავათები ჩვეულებრივი მოსახლეობის ხარჯზე ხდება. წინა, უსუსური ხელისუფლება გარიგებული იყო ბიზნეს ჯგუფებთან: მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსით მაღალი გადასახადები იყო დადგენილი, აღნიშნული ბიზნესებიდან თანხები არ იკრიფებოდა და ეს ხდებოდა სოციალური ხარჯების დაუფინანსებლობის ხარჯზე. ეხლა, ხელისუფლება თითქოს გაცილებით ქმედითია, მაგრამ ისევ იმ ბიზნესებს შეუქმნათ პირობები: ამნისტია, ბიზნესთან დაკავშირებული დაბალი გადასახადები და ეს ყველაფერი ჩვეულებრივი მოსახლეობის ხარჯების მომატების ფასად ხდება. სხვა რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ენერგეტიკის დაბეგვრის რეჟიმებიდან გამომდინარე?

ა) ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის თანახმად განმარტებული დანაკარგების დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმი ელექტროენერგეტიკაში დღეს არსებულ რეჟიმთან შედარებით მნიშვნელოვნად ამძიმებს საგადასახადო ტვირთს, რაც ტარიფზე არსებითად იმოქმედებს. ახალი კოდექსის თანახმად დანაკარგები ითვლება მიწოდებად, თუ დატაცების დადასტურება არ მოხდა ან დანაკარგები არ თავსდება სემეკ-ის მიერ დამტკიცებულ ლიმიტებში. ლიმიტები 13 პროცენტიან ფარგლებშია, ხოლო რეალური დანაკარგები - 40 პროცენტის ფარგლებში. კომერციულ დანაკარგებზე დატაცების საქმეების აღძვრის მექანიზმები არასრულყოფილია და მოსალოდნელია, რომ რეალურად მიუწოდებელ მომსახურებაზე დადგეს დღგ-ს გადახდის ვალდებულება დიდი მოცულობით. დანაკარგებზე დღგ-ს გადახდის დაწესებით აბსურდამდე მივალთ: დღგ დაერიცხება აფხაზეთში გადადინებულ ენერგიას, რამდენადაც იგი დანაკარგია. პატიოსან მომხმარებელს მოუწევს დღგ-ს რამოდენიმეჯერ გადახდა. ეს პრობლემა არ მოგვარდება ფინანსთა მინისტრის დანაპირებით - აღნიშნული ხარჯები ბიუჯეტიდან დაფინანსდებაო. გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის სრული შემოსავლები მოსალოდნელ გადასახდელ დღგ-ზე გაცილებით ნაკლებია.

ბ) ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის თანახმად ელექტროენერგიის საბითუმო მიწოდება დღგ-ს არდაბეგვრის რეჟიმიდან ჩვეულებრივ რეჟიმზე გადადის. გადახდების 20-25-პროცენტიანი მოცულობების პირობებში აღნიშნული დღგ-ს დაბეგვრის რეჟიმი ავტომატურად გამოიწვევს ენერგიის გენერირების შეზღუდვას, რამდენადაც გენერაციის ობიექტებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთი გახდება. აღნიშნული ასევე შეამცირებს დღგ-ს შემოსავლებს, რამდენადაც დღგ-ს ნაწილის გადახდა გამანაწილებელი კომპანიიდან (ვინც თანხების პირველი მიმღებია) გადადის გენერაციაზე. გენერაციასთან კი თანხები შეზღუდულად და დროში დაგვიანებით ხვდება.

გ) თხევადი გაზი წარმოადგენს ძირითადად სოციალურად დაუცველი ფენის საკვების დამზადების საშუალებას. თხევადი გაზის მოხმარება არის ხე-ტყის გაჩეხვის შენელების პირდაპირი გზა. თხევადი გაზი აქციზით არ უნდა დაიბეგროს. შეიძლება მინიმალურ საარსებო კალათაში შემავალი პროდუქტის აქციზით დაბეგვრა? შეიძლება პურის აქციზით დაბეგვრა? ასევე არ შეიძლება საკვების დასამზადებელი პროდუქტის აქციზით დაბეგვრა. ასეა ჩვეულებრივ, ნორმალურ ქვეყნებში, სადაც აქციზის მიზანი ფუფუნებისა და ჯამრთელობისთვის მავნე პროდუქტთა დაბეგვრის და რეალიზაციის შეზღუდვის მექანიზმია. ჩვენთან კი ფინანსთა მინისტრმა აქციზს ახალი საგადასახადო კოდექსით სრულიად ახლებური დატვირთვა მიანიჭა. მას შეიძლება სოციალური ტვირთის გადასახადი - სოციალური აქციზი ვუწოდოთ. ფინანსთა მინისტრმა არც დამალა და პარლამენტის სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ აქციზს იგი კლასიკური გაგებით არ უყურებს. მისთვის აქციზი არის საუკეთესო საშუალება შემოსავლების აკუმულირებისა, რაშიც კარგად ამოიღებს, იქ დააწესებს. აბა როგორ გადაფაროს ის საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ბიზნესს სხვა მუხლებში გაუწია?

ზემოთჩამოთვლილი გადასახადები საერთო ნიშნით ხასიათდება: ისინი პირდაპირი სოციალური ტვირთის მატარებლები არიან, შინაარსით უსამართლო და დასავლური ღირებულებების მქონე ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი.

საგადასახადო კოდექსი ნათლად მიანიშნებს ქვეყნის დემოკრატიზაციის დონეს, რომელზე უფრო მნიშვნელოვნად არის ხელისუფლება დამოკიდებული - ამომრჩევლებზე თუ ფულზე?

თუ ჩვენ ეკონომიკის განვითარების საფუძვლად ბიზნესის განვითარებას ვაღიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ენერგეტიკა ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ამიტომ, ენერგეტიკის ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ეკონომიკის განვითარებას ვერ მოვახერხებთ.

**9. პირდაპირი მომხმარებლებისათვის არ უნდა დგინდებოდეს ინდივიდუალური ტარიფები.**

პირდაპირი მომხმარებლებისთვის ინდივიდუალური ტარიფების დადგენა როგორც წესი ენერგეტიკის საზიანოდ ხდება და კორუფციული გარიგებების ალბათობას ზრდის.

### დარგის რეგულირების საკითხები

მომხმარებელთა მოკლევადიანი, სუბიექტური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების არსებობა სახარბიელო არაა. რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, როდესაც ტარიფის დადგენაზე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ნაცვლად ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, მომხმარებელთათვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღება უფრო ალბათურია (მაგალითისთვის, წყლისა და ელექტროენერგიის ტარიფების ცვლილების ტენდენციების შედარება). ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლება უფრო მეტადაა დამოკიდებული ამომრჩეველზე, ვიდრე კომუნალურ კომპანიებზე (დამოუკიდებელი მარეგულირებლის შემთხვევაში უფრო პირიქითაა). მეორეს მხრივ, კომპანიებს თუ არ მიეცათ საკმარისი რესურსების მიღების საშუალება, კომუნალური სფეროც ვერ განვითარდება. სწორედ ესაა ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჭკვიანი ხელისუფლება ამდაგვარი მარეგულირებელი ფუნქციებისაგან მაქსიმალურად დისტანცირებას ცდილობს. მას ამომრჩევლის წინაშე აუცილებლად სჭირდება გასასამართლებელი საფუძველი, თუ რატომ ვერ ერევა ტარიფის საკითხებში. სწორედ წინდახედული ხელისუფლებისთვისაა ყველაზე უფრო მომგებიანი იმდაგვარი მარეგულირებელი ორგანოების არსებობა, როგორებიც ჩვენ გაგვაჩნია. ხელისუფლებას ფორმალურად შეუძლია იმის თქმა, რომ სატარიფო გადაწყვეტილებებს მისგან დამოუკიდებელი ორგანო იღებს და, მეორეს მხრივ, მას საკმარისი ბერკეტები გააჩნია ამ მარეგულირებლების ფარული მართვისათვის (რასაცა, ამჟამად, ადგილი აქვს საქართველოს შემთხვევაში).

სატარიფო რეგულირების უკან ხელისუფლებისათვის დაბრუნება ხელისუფლების არამდგრადს გახდის.

ბუნებრივ მონოპოლიებში სარეგულაციო საკითხებია: ტარიფები, დავები მომხმარებლებსა და კომპანიებს შორის, ლიცენზირება, რეგულირების ნორმატიული ბაზის შექმნა-სრულყოფა (ტარიფების მეთოდოლოგია, მომსახურება/მოხმარების წესები და სხვა).

ბუნებრივ მონოპოლიებში ტარიფის დადგენის სამი გზა არსებობს: ა) ტარიფს ადგენს ერთი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო; ბ) მეთოდოლოგიის საფუძველზე ტარიფს ადგენს თვით კომპანია, ხოლო გარკვეულ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გადაამოწმოს, თუ რამდენად სწორად მოხდა ტარიფის დადგენა (საგადასახადო ინსპექციის ანალოგია) და გ) ტარიფის მხარეების კონსესუსით დადგენა.

ტარიფების დადგენისას მთავარია ოპტიმალური ტარიფის დადგენის მიღწევა. ოპტიმალური ტარიფის დასადგენად აუცილებელია, რომ ტარიფის დამდგენი მაქსიმალურად სამართლიანი იყოს, ეს კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ტარიფის დამდგენი თანაბრადაა დამოკიდებული, ან დამოუკიდებელი დაინტერესებულ მხარეებზე (კომპანიებზე და მომხმარებლებზე).

ისეთ სუსტ ქვეყანაში, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ, ხელისუფლება ვერანაირად იქნება თანაბრად დამოუკიდებელი. რეალურად, იგი ძალზეა დამოკიდებული ამომრჩეველზე. შესაბამისად, ხელისუფლება, თუ იგი თვითონ იქნება სატარიფო გადაწყვეტილების მიმღები, აუცილებლად მოექცევა ამომრჩეველთა მოთხოვნების ტყვეობაში.

ჩამოუყალიბებელ გარემოში ტარიფის კონსესუსის პირობებში დადგენა თითქმის შეუძლებელია.

ტარიფის მეთოდოლოგიის საფუძველზე თვით კომპანიის მიერ ტარიფის დადგენა, გარკვეული ორგანოს მიერ ამ ტარიფის გადამოწმების უფლებით, საინტერესო მოდელია, თუმცა მომხმარებელთა გადმოსახედიდან, იგი ნაკლებად სახარბიელოა, რამდენადაც პოსტფაქტუმ რეაგირება გაცილებით რთულია, ვიდრე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამიტომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოპტიმალურად მაინც დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ტარიფის დადგენის მეთოდი ჩანს. ტარიფების უფრო ნაკლები რაოდენობა უნდა ექვემდებარებოდეს რეგულირებას.

**10. სემეკ-ი არბიტრაჟის ანალოგიურად უნდა დაკომპლექტდეს. მხარეებმა - კომპანიებმა ერთის მხრივ და მომხმარებელთა ინტერესების დამცველმა სუბიექტებმა, მეორეს მხრივ - პრეზიდენტს წარუდგინონ სემეკ-ის წევრობის კანდიდატების თავისი სია, სიებში საერთო პირები პრეზიდენტის მიერ ავტომატურად უნდა იქნეს თანამდებობაზე დანიშნული, თუ პრეზიდენტს არ ექნა მათი არდანიშვნის რაიმე განსაკუთრებული საფუძველი. სიებში განსხვავებული პირების არსებობის შემთხვევაში ამ ორი სიის შემადგენლობამ პრეზიდენტს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად საერთო კანდიდატები, რაც პრეზიდენტის მიერ უნდა დამტკიცდეს, თუ პრეზიდენტს ამ კანდიდატების საწინააღმდეგო რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არ ექნა. სატარიფო და სხვა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგია-წესები სემეკ-მა არ უნდა დაამტკიცოს. სემეკ-ი უნდა ახდენდეს მხოლოდ მათ რეალიზაციას.**

დავების განხილვის საკითხი. დავების განხილვის სამი ალტერნატივა არსებობს: განიხილოს ჩვეულებრივმა სასამართლომ, არბიტრაჟმა ან სემეკ-მა. არბიტრაჟი და სემეკ-ი ერთმანეთის ანალოგიაა. მათ სასამართლოსთან შედარებით როგორც უპირატესობა, ასევე ნაკლიც გააჩნიათ. არბიტრაჟისა და სემეკ-ის სასარგებლოდ ის არგუმენტი მეტყველებს, რომ ისინი უფრო კომპეტენტურნი არიან სპეციალიზაციის თვალსაზრისით. სასამართლოებთან მიმართებაში ასევე ის უპირატესობაა, რომ დავები უფრო ოპერატიულად წყდება. მეორე მხრივ, სასამართლოს ის უცილობელი უპირატესობა აქვს, რომ იგი საქართველოს ყველა რაიონში არსებობს.

მომხმარებელთა გადმოსახედიდან მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ განახორციელებს კომპანიების ლიცენზირებას.

ნორმატიული ბაზის შექმნა. ის ვინც ნორმატიულ ბაზას ქმნის, თვით არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს ამავე ნორმატიული ბაზის საფუძველზე. თუ ტარიფს სემეკ-ი ადგენს, ის არ უნდა ამტკიცებდეს ტარიფის მეთოდოლოგიას.

ოპტიმალურად მიგვაჩნია კომუნალური სფეროსათვის (წყალი, ენერგეტიკა, ელექტროკომუნიკაციები) ერთი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა. მარეგულირებელი კომისიის წევრების დანიშვნა არბიტრაჟში არბიტრების დანიშვნის ანალოგიური უნდა იყოს. კერძოდ, ლიცენზიატებისა და მომხმარებელთა დაცვის მხარეებმა უნდა წარმოუდგინონ პრეზიდენტს დასამტკიცებლად რამდენიმე საკუთარი კანდიდატი. სიებში საერთო პირები პრეზიდენტის მიერ ავტომატურად უნდა იქნეს თანამდებობაზე დანიშნული, თუ პრეზიდენტს არ ექნა მათი არდანიშვნის რაიმე განსაკუთრებული საფუძველი. სიებში განსხვავებული პირების არსებობის შემთხვევაში ამ ორი სიის შემადგენლობამ პრეზიდენტს უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად საერთო კანდიდატები, რაც პრეზიდენტის მიერ უნდა დამტკიცდეს, თუ პრეზიდენტს ამ კანდიდატების საწინააღმდეგო რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არ ექნა.

ამ მიდგომას ერთი ხარვეზი აქვს - ვინ უნდა იქნეს აღიარებული მომხმარებელთა დაცვის მხარედ? ალბათ ეს მარტო საზოგადოებრივი დამცველი არ უნდა იყოს.

## რევოლუციური სიმფონია ანუ მუსიკალური თერაპია



B2

## მელქაძე "სპორტინგს" "პოკერით" ხვდება



B4

## ოლივერ სტოუნი - ბერძნების რისხვის ობიექტი



B7

# მომავალ ორშაბათამდე!





ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ნურავის ჰგონია, რომ ვატიკანი შესაფერი ადგილი არაა ლამაზი ქალის გასაცნობად. ნურც რელიგიური ფუნდამენტალისტები ცქვეტენ ყურებს — ვისაც ჰგონია, ახლა კათოლიკეთა უზნეობის გაკიცხვას მოვყვები, იმედი უნდა გავუცრუო. ერთი სიტყვით, 1999 წელს კათოლიკური ეკლესიის პრესინოდალურ კონგრესზე მიწვეულმა გავიცანი ეს მშვენიერი ქალი, ორი რომანის ავტორი და ლონდონური "ობზერვერის" ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი, **კრისტინა ოდონე** — დედით ინგლისელი და მამით იტალიელი. მას შემდეგ ელექტრონული ფოსტით დროდადრო მიგზავნის ხოლმე თავის ყოველკვირეულ მიმოხილვებს, რასაც მიიჩნევს, რომ ჩემთვის შეიძლება საინტერესო იყოს. ზოგი რამ მართლაც საინტერესოა...

მაგრამ დღეს სულ სხვა რამ უნდა გავიხსენო. კონგრესის სხდომებს შორის ვსაუბრობდით ხოლმე მოხატულ დარბაზებში, სადაც დიდი ფანჯრებიდან შემოჭრილი რომაული მზიანი იანვარი თავის ნებაზე აბრჭყვიალებდა და სიმძიმესთან ერთად წლებსაც აკარგვინებდა ბაროკოს ინტერიერებს. მაშინ არაფერი მესმოდა ჟურნალისტობისა და ოდნავ მოგვიანებით კი, როცა მეგონა, რომ ყველაფერი გავიგე, კრისტინა ოდონეს ზოგი ნათქვამი გამიზნულ გულუბრყვილობად მომეჩვენა: ასე ესაუბრებიან განდობილნი უმეცართ. მაგრამ 16 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კვლავ გამახსენდა, მოხატულ გალერეაში როგორ ანათებდა რომაული მზე ჭერსა და კედლებზე გამოხატულ გეოგრაფიულ რუკებს...

— საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ მედიაში კრიტიკის აკრძალვით დიდი შეცდომა დაუშვა, — ამბობდა კრისტინა ოდონე, — კრიტიკა დიდს ვერაფერს დააკლებდა, უბრალოდ, ხალხის ენერგიას წაიღებდა და ყურადღებას გაფანტავდა. მედიის თავისუფლება ხელისუფლების კრიტიკის რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონით...

ჰოდა, არის კი მოსახლეობა ჩვენთან ინფორმირებული? კარგად რომ დავფიქრდეთ, ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში **შალვა ნათელაშვილის** უსასრულო და დაუბრკოლებელი ბოდვა ნამდვილად არ ნიშნავს საქართველოში თავისუფალი მედიის არსებობას. და, უნდა ვაღიარო, არც ჩემი პუბლიკაციების ხაზგასმით მწვავე ფრაგმენტები ზრდის თავისუფლების ხარისხს.

დღევანდელი ქართველი მედიაკრიტიკოსი რაღაცით შორეული წარსულის ჟონგლიორს ჰგავს. ოდესღაც, XIII საუკუნეში სწორად არჩეულ ადგილას — ევროპის გზებსა და საბაზრო მოედნებზე — ზუსტად განსაზღვრულ დროს — დღესასწაულებზე წირვის შემდეგ, ან ყველიერის კვირაში — რამდენიც გინდა ამასხარავე მეფე და ეპისკოპოსები. შუა საუკუნეებს კი მხოლოდ მაშინ დაადგება საშველი, როცა კოლუმბი პირველ ოქროს ჩამოიტანს ახალაღმოჩენილი ქვეყნიდან...

ჩვენც ვერაფრით აღმოვაჩინეთ ეს დალოცვილი დასავლეთი და დღესაც იმ დღეში ვართ, როგორც პირველი რესპუბლიკის დროინდელი ცხონებული სატირიკოსი წერდა, ოღონდ მცირედი ვარიაციით: "აფხაზეთს ვებლაუჭებით, ლამის დავკარგოთ ოსეთი!".

მაგრამ ისევ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ: არის კი საზოგადოება ინფორმირებული, თუ ჩვენი მედიის თავისუფლება იქ გასული მარაზმის რაოდენობით განისაზღვრება? რაიმე მნიშვნელობას ანიჭებენ გამოთქმულის შინაარსს, თუ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ცნობიერებაში **აქუბარდიასა** და **ლადარიას** შორის განსხვავება არაარსებითია? ფაქტებს მივმართოთ და ანალიზის მთავარ ღერძად ის მოვლენა ავირჩიოთ, რომელიც უკვე საკმაოდ ფართო მიმოხილვის საგნად იქცა ჩვენს საზოგადოებაში.

8 ნოემბერს "24 საათი" აქვეყნებს თბილისის სასულიერო აკადემიის 23 სტუდენტის მიერ ხელმოწერილ ტექსტს. ტექსტი **არ შეეხება** სარწმუნოებრივ ან დოგმატურ საკითხებს.

ამას მოჰყვება 12 ნოემბერს თავისუფლების ინსტიტუტში ჩატარებული პრესკონფერენცია, რომელზედაც ქართველი სამღვდელოების ერთი ნაწილი მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს.

8-15 ნოემბერი, შეიძლება ითქვას, ქართულ პრესაში ერთგვარი მკვეთრი გამოცოცხლებით აღინიშნება და სრულიად მოულოდნელი ბეჭდვითი ორგანოები საზოგადოებრივი გამჭვირვალობის ახალი არის გასაშუქებლად საოცარ მზადყოფნას ამჟღავნებენ.

შექმნილ ვითარებაში ჯერ კიდევ დისონანსურად აღიქმება **კობა დავითაშვილის** განცხადება: "მიმდინარეობს ეკლესიის გეგმაზომიერი მოსპობის მცდელობა, რომელსაც ახორციელებს თავისუფლების ინსტიტუტი და მის უკან მდგარი უშიშროების მინისტრი". ეს თავისთავად უაზრო სიტყვები შხამად და ღვარძლად მოესმის მის ალმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს.

შედეგად ვღებულობთ 16 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის წინ გაკეთებულ მის საჯარო განცხადებას, რომელიც ძირძველი ქართული მეთოდითაა შედგენილი — ცოცხო, გეუბნებიან, რძალო, გაიგონეო. პოლიტიკოსები და მედია ფრთხილად და თავშეკავებით უნდა იყვნენ საეკლესიო საკითხებზე მსჯელობისას! პრეზიდენტი ლაპარაკობს შეთქმულების თეორიის მცდარობაზე, პარანოიდული აზრების მიერ მოტანილ ზიანზე და ყველას ესმის, რომ განცხადების მთავარი და ლამის ერთადერთი ადრესატი კობა დავითაშვილია. ყველას ესმის, რომ პრეზიდენტი კობა დავითაშვილს არ ეთანხმება. ყველას?

16 ნოემბერს შუადღისა და ნაშუადღევის საინფორმაციო გამოშვებები ჯერ კიდევ აშუქებენ საზოგადოებრიობის შეკრებას, რომელიც იმავე დღეს გაიმართა ლიტერატურულ კაფეში. შეკრება სასულიერო აკადემიის სტუდენტთა წინააღმდეგ დევნას გმობდა. მაგრამ პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ (გავიმეოროთ, რომ გამოსვლის უშუალო ადრესატი კობა დავითაშვილი იყო) ტელეკომპანიები საღამოს ეთერიდან ხსნიან ან უკიდურესად კვეცენ შესაბამის სიუჟეტებს. მეორე დღეს, 17 ნოემბრის დილის ეთერში კი ტელეკომპანია "იმედი" გადმოსცემს, რომ პრეზიდენტმა თავისი საჯარო განცხადება "არასამთავრობოების აზრის გათვალისწინებით, მათი თვალსაზრისების მოსმენის შემდეგ გააკეთა" — ტყუილია!

პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, შეუძლია დატკბეს თავისი ძალაუფლების დონით, თუმცა საკითხავი რჩება, რამდენად ღირსეულია ეს ტკბობა. მაგრამ დავანებოთ თავი პრეზიდენტს და ისევ მედიას მივხედოთ: რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი გადაჭარბებული მგრძნობელობა?

აი, მაგალითად, 19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში საზოგადოებრიობის კიდევ უფრო ფართო მასშტაბის შეხვედრა გაიმართა. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა გადმოსცა: "არასამთავრობოები შეთანხმდნენ, რომ ეკლესიაში მომხდარი ფაქტების პოლიტიზირება დაუშვებელია". იქნებ ვინმემ გამარკვიოს, რას ნიშნავს ეს წინადადება? — "პოლიტიზირება დაუშვებელია". საერთოდ, შეიძლება კი ამას ეწოდოს ინფორმაცია? ვინ დაიჯერებს, რომ იქ შეკრებილი ადამიანები ამგვარი ბანალური დასკვნის გამოსატანად გაისარჯნენ? ნუთუ "რუსთავი2"-მაც შეუწყო ხმა უკვე მოყირჭებულ სიმღერას იმის შესახებ, რომ პოლიტიკა ჭუჭყი და ნაგავია. ასე გეგონოთ, ქართველებო, ჭკვიანი ხალხი კი ამ ჭუჭყისა და ნაგვისგან ოქროს გამოწურავს. ხელს ნუ შეუშლით...

ამ შეხვედრაზე კი მეც გახლდით. "კავკასიამ" ინტერვიუც კი აიღო ჩემგან. რა ღონისძიებების ჩატარებას გეგმავთო არასამთავრობოები, — მკითხეს. არაფერსაც არ ვგეგმავთმეთქი, ჩვენ, უბრალოდ, ყურადღებას ვაქცევთ, რაც ჩვენს გარშემო ხდება, რადგან დემოკრატია პროცესია და არა მდგომარეობა. სანდომიანი გოგონა იმედგაცრუებული დამრჩა: ალბათ, შეთქმულების გეგმის გამჟღავნებას ელოდა ჩემგან. ბუნებრივია, ეთერში არ გავსულვარ. იქ მოსახვედრად ხომ, ალბათ, ის უნდა მეთქვა, რომ თბილისის ერეკლეს მოედანსა და რომის სანტ-ანჯელოს ციხესიმაგრეს შორის საიდუმლო გვირაბის აშენების პროექტი შეგვაქვს სოროსის ფონდში.

ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? მიხეილ სააკაშვილმა 16 ნოემბერს კმაყოფილებით დაასკვნა, რომ კობა დავითაშვილს ყური აუწია. სინამდვილეში კი მთელი ქართული მედია ფეხქვეშ დაუდო თავის პოლიტიკურ ოპონენტს. რადგან ტონის მონურმა ცვლილებამ, რომელიც ჩვენს ელექტრონულ საშუალებებს დაეტყოთ, ნეიტრალური მსმენელის თვალში დავითაშვილის აბსურდული ნათქვამის შესაძლებლობა დაადასტურა.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მედიაში არ კლებულობს ის, რასაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების კრიტიკას უწოდებს. ეჰ, როგორ მართლდება კრისტინა ოდონეს ნათქვამი! — განა კრიტიკა თავისუფლებაა? განა შესაძლებელია ასეთი უნიჭო და სწორხაზოვანი ვარაუდით ჩვენი დაბნევა? მე, პირადად, სულ არ მინდა ხელისუფლების კრიტიკას დავუთმო ჩემი შემოქმედებითი სიმწიფის წლები. ეს ისე, ხუმრობით. სერიოზულად კი ხანდახან გული მერევა იმ ტონზე, რომლის აღებაც მიხდება ჩემს პუბლიკაციებში (პრეზიდენტსაც კი ვუთხარი ეს შეხვედრაზე) — უფრო მეტს მოვახერხებდი, თუ პოზიტიურად ვითანამშრომლებდი ხელისუფლებასთან. ოღონდ ისე, რომ საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასვლა არ დამჭირდეს. რატომ არ მაძლევთ ამის საშუალებას, ბატონებო? ბოლოს და ბოლოს, მეც იმ ოცდასამი სტუდენტის დღეში ვარ. მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებას მტერი და მოყვარე ვერ გაურჩევია.

ახლა კი ვნახოთ, რა მოხდებოდა, მიხეილ სააკაშვილს რომ ეთქვა, ვთხოვ მედიას, უფრო დეტალურად გააშუქოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ჯერ ერთი, თავისთავად, ეს მოწოდება შემდეგს ნიშნავს: ვთხოვ მედიას, პირდაპირ და ერთგულად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ასე რომ, ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავს.

მეორე, ამგვარი განცხადება ხელისუფლებასა და ჩვენ, მის მხარდამჭერებს, მოუტანდა ტაქტიკურ უპირატესობას: სულ მალე და ადვილად გამჟღავნდებოდა კობა დავითაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვების, ერთი მხრივ, სისულელე, მეორე მხრივ, არაკონსტიტუციურობა.

მესამე, ქართველი ერი ნამდვილად მიაღწევდა კიდევ ერთ სტრატეგიულ გამარჯვებას: კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამდით ღირებულებათა ჯანსაღი სისტემის დამკვიდრებისკენ, შიშისა და ქვემძრომობის ვირუსს მოვიცილებდით.

ახლა კი ეს ყველაფერი კობა დავითაშვილის ერთ როყიო ნათქვამს შევწირეთ. შემთხვევითობაა? სულაც არა — ჩვენი მედიის არსებობის წესია. აი, თუ გნებავთ, მაგალითი. სახელმწიფო კანცელარიაში 16 ნოემბერს გამართულ საუბარს ესწრებოდა **ირაკლი მელაშვილი**. საათნახევრის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი შეკითხვა დაუსვა მიხეილ სააკაშვილს: "მიგაჩნიათ, რომ კოტე კემულარია წესიერი კაცია?". შეკითხვა, როგორც ვხედავთ, რიტორიკულია, კოტე კემულარიას ის ვერაფერს აკლებს და ვერც ამატებს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ სრულიად კორექტულია მისი გამოქვეყნება. მელაშვილი სხდომაზე კიდევ კარგა ხანს დარჩა, სანამ მორცხვი ღიმილითა და მოუცლელობის მობოდიშებით არ დატოვებდა მას.

მაგრამ სამთავრობო სხდომათა დარბაზის კარები სულ სხვა კარებია: იქიდან ყოველი გამოსული მედიის კლანჭებში ექცევა და იწყება ქულების მიწერის პროცესი — ჭახ, ჭახ, ჭახ, როგორც კომპიუტერულ თამაშში. "მელაშვილმა სხდომა დაწყებისთანავე დატოვა" — რატომღაც აცხადებს "რუსთავი 2", **ინგა გრიგოლია** კი ლამის მთელი გადაცემის გმირად აქცევს მას. ამ დავიდარაბაში კი არავის ახსენდება რეფორმამდელ სკოლაში ნასწავლი და ჩვენი ტელეკომპანიების ფასადებზე წასაწერი რუსთაველის სიტყვები: "დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა!"

გაუგებარია: ირაკლი მელაშვილი ხვდება, რომ მის მიერ გადადგმულ რამდენიმე ნაბიჯს შეიძლება ერთი აურზაური მოჰყვეს, პრეზიდენტი კი ვერ ითვალისწინებს საკუთარი საჯარო გამოსვლის შედეგებს. ნუთუ ასე მარტო გრძნობს თავს? ნუთუ არავისი სჯერა?

საშიში კი არაფერია. არც გზაა დიდხანს საძიებელი: როცა საჯარო განცხადებებს გააკეთებს, პრეზიდენტს ვთხოვ, წამით უკან მიიხედოს და ამოხსნასაც დაინახავს: ძალა ერთობაშია.

16 ნოემბერს, დილას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სასულიერო აკადემიაში ეკლესიის მტრებად მოიხსენია წერილის ავტორი სტუდენტები, განაცხადა, რომ ისინი ჯოჯოხეთში დაიტანჯებიან და ეს ცოდვა მათ შთამომავლობაზე გადავა. მე ვერ ვიგონებ, რომელ ქრისტიანულ ტრადიციას ეყრდნობა ეს განცხადება, მაგრამ ყველა ჩემი მკითხველის წინაშე ვაცხადებ, რომ ამ ოცდასამი სტუდენტის გვერდით მდგომად მიგულისხმონ. საკუთარ თავზე ვიღებ მათ მიმართ გამოთქმულ ყველა სიტყვიერ მუქარას თუ ძალადობას. მადლიერებით ვუერთდები სამხატვრო აკადემიის სტუდენტებსაც, რომლებმაც მშვენიერი, გულიანი სიტყვით გაამხნევეს თავიანთი თანამოაზრეები ("24 საათი", 19 ნოემბერი), რადგან ვიცი, რომ ნათქვამია: "ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ".

ახლა კი ორი ციტატა კათოლიკოს-პატრიარქის საკვირაო ქადაგებებიდან. 14 ნოემბერი: "**ყველამ იცოდეს, რომ ვინც უხეშად შეეხება ეკლესიას, იგი თავადვე დაინგრევა და დაეცემა!**". 16 ნოემბერი: "**ვინც დღეს ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებს, იგი ებრძვის მის სიწმინდეს, ებრძვის ღმერთს. და რა შედეგი ექნება ამ ბრძოლას, ჩვენ უკვე ვიცით — ისინი დამარცხდებიან!**". 1997 წელს, როცა ეკლესიას სქიზმა დაემუქრა და ბერმონაზონთა საგრძნობი რაოდენობა ღიად დაუპირისპირდა საპატრიარქოს სარწმუნოებრივ ნიადაგზე, საპატრიარქო არ ყოფილა ეგზომ კატეგორიული, არათუ ასეთი მედგარი, რამენაირად ერთმნიშვნელოვანი ტექსტითაც კი არ მიუმართავს მრევლისთვის. როცა მოგვიანებით სამღვდელოების ფუნდამენტალისტურად განწყობილმა ნაწილმა მოითხოვა უნათლავ ჩვილთა წარწყმედის აღიარება — ანუ ლამის დოგმატური ცვლილება მართლმადიდებლური ტრადიციისა — არც მაშინ გამოუჩენია საპატრიარქოს მსგავსი სიმტკიცე. როდესაც ქართულ მრავალხმიან გალობას ერეტიკულად აცხადებდნენ და ძირს უთხრიდნენ ქართველთა სარწმუნოების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო და ძვირფას გამოვლინებას, მაშინ მორცხვი დუმილი სუფევდა საპატრიარქოში. ახლა კი რამ გამოიწვია ეს რისხვა და დაუფარავი მუქარა? — მხოლოდ იმან, რომ სასულიერო აკადემიის სტუდენტები ვიღაც-ვიღაცეების მიერ უკანონოდ ჩაჯიბულ მილიონებზე ალაპარაკდნენ!

ეს ბიჭები არავის დაუფინანსებია, წინასწარ არავის შეუმზადებია, არავის მოუთხოვია მათგან რაღაც პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა: მათი ერთობა თავისთავად წარმოიშვა, ყოველი მათგანის სინდისის კარნახითა და პიროვნული მისწრაფებით. მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდანვე იცოდნენ: ერი და ეკლესია ერთი მთლიანობა უნდა იყოს და არც ერთს არაფერი აქვს დასამალი მეორისაგან. იესო ქრისტე კი იმისთვის არ ევნო, რომ მის მიერ მოტანილი ნათელი ულიმლამო გამონათქვამში ჩატეულიყო: "ეკლესიაში არსებული ვითარება წმინდა საეკლესიო საკითხია, ამიტომაც მასზე მხოლოდ სასულიერო პირებმა უნდა იმსჯელონ". ვერ ჩაეტევა ქრისტეს ნათელი ამ ხვიმირში, მაინც ამოხეთქავს...

მე კი ისევ ჩემს ანგლო-იტალიელ მეგობარს დავუბრუნდები და წარმოვიდგენ, როგორ აღწერდა განვითარებულ მოვლენებს თავისუფალი პრესა. ალბათ, კრისტინა ოდონე ამას მსუბუქად განახორციელებდა, იტალიური სინატიფითა და ანგლოსაქსური მახვილგონიერებით. მაგალითად ასე:

"მშვენიერი რამაა, როცა ორი წარმატებული და სიცოცხლით სავსე ქალბატონი ცხოვრების სასიხარულო წვრილმანებს უთმობს დროს. ყოველდღიური ზრუნვის კაეშანი და წლების მოტანილი სევდიანი სერიოზულობა წამით უკან იხევს და ადგილს უთმობს მსუბუქ და მხიარულ მსჯელობას სუფრაზე დასადგმელ თეფშებზე, დასაპატიჟებელ სტუმართა სიაზე, მათ განლაგებაზე. ეს სახალისოა, სასიამოვნოა, უცოდველად სნობურია, მაგრამ არავის გაკვირვებას არ გამოიწვევს, არავინ უსაყვედურებს... ოღონდაც... ოღონდაც ერთი მათგანი საპატრიარქოს უკვე ოდიოზური რეფერენტი ნუ იქნება, მეორე კი ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის დედა. ასწლიანი ომიდან მოყოლებული, შემთხვევას არ ვუშვებთ, ფრანგულ სტილს დავცინოთ, მაგრამ ამის გამო ფრანგებს სიბრძნე არ აკლდებათ — კეთილშობილება ბევრს გვავალებს და ბევრით გვზღუდავს კიდეც".

აი, ასეთი ქალია კრისტინა ოდონე, ლონდონური "ობზერვერის" კოლუმნისტი.

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# თმა



ერთ დროს გმირების ფართო არჩევანი იყო: მიგ ჯაგერი, ჩე გევარა, მუჰამედ ალი, იური გაგარინი, ტვიგი (60-იანი წლების სახე - მოდელი). ასეთებს ნებისმიერ სხვა სფეროშიც იპოვიდი, ფეხბურთში თუ კინოში.

იმხანად ყველას სპეციფიკური ელფერი ედო თვალის გარსზე, ეს ნარკოტიკები გახლდათ. გუნება-განწყობა ფანტასტიკური - ეს კი სექსის გამო ხდებოდა. დაუმორჩილებელი, ენერგიამოზღვავებული და დაუნდობელი - ტიპური ასაკობრივი გამოვლინება - ახალგაზრდობა.

ამ დროისთვის მერილინ მონრო მკვდარი იყო, ელვის პრესლი - გადაღეჭილი, "ბითლზი" გაუთავებლად იმეორებდა: All You Need Is Love, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჰიპები ქაოსში იყვნენ. ინერციისა და გადამეტებული დოზის მსხვერპლნი.

იქნებ ჰიპებს იმავე სახლებში დაბრუნება სურდათ, რომლებშიც ბოლო ხმაზე უსმენდნენ მშობლებისთვის მიუღებელ მუსიკას. კონფლიქტისთვის მიზეზს ეძებდნენ და ამის შემდეგ გარეთ გარბოდნენ. იკრიბებოდნენ დიდ მწვანე ველზე, სადაც ანარქიზმი და ილუზიონიზმი გაწოლილიყო, ჰიპებს კი ბასტიონი ეგონათ.

ასეა თუ ისე, მათ გააკეთეს არჩევანი, - ომში წასვლას ღია ცის ქვეშ სექსი ამჯობინეს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გმირებსა და წიგნებს ნებასურვილით ირჩევდი, ამიტომაც უამრავი პიესიდან ჩეხმა რეჟისორმა მილოშ ფორმანმა ერთ-ერთი აირჩია: "თმა".

ვიეტნამი, მარიხუანა, LSD, გრძელი თმა. გამოდის, რომ "თმა" ისტორიული მიუზიკლია. ამ ჟანრში ფორმანს აქამდე არ უმუშავია. არა უშავს, ეს პირველი იქნება და, სხვა რომ არაფერი, გამოცდილებას მაინც მოუტანს რეჟისორს.

მიუზიკლის ჩანაწერი, რომელსაც გამუდმებით უსმენდა, მოსვენებას არ აძლევდა ფორმანს, ადგილს ვერ პოულობდა და გამუდმებით იდეას ამართლებდა. ფილმი, შესაძლოა, წამგებიანი აღმოჩნდეს. მასობრივი სცენები, არმია, დადგმული ცეკვები, სიმღერები, ერთი სიტყვით, მიუზიკლი. ეს ძვირიც არის და რისკსაც უკავშირდება. თუმცა, მთავარი პრობლემა ყველაზე ბოლოს ამოტივტივდა: იქნებ იმისთვის, რომ "თმის" ეკრანიზაცია გააკეთო, საკმარისი დრო არ გასულა. 70-იანების ბოლოა, სამოციანებისადმი ნოსტალგია ჯერ არ არსებობს. ნოსტალგია ხომ მაშინ იწყება, როცა ეპოქა თავისი მოუწესრიგებლობითა და ანარქიით აღარ გემუქრება.

იმ დროს კი კვლავინდებურად გრძელ თმას ატარებდნენ იურისტები. და კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ასე.

ბოლოს და ბოლოს, ფორმანის შემთხვევაში დასახული მიზნის განხორციელებამ გადაწონა: ნოსტალგია ჩემი პრობლემა სულაც არ არის, თქვა და საქმეს შეუდგა.

სანამ ქორეოგრაფებმა, არტისტებმა და, საერთოდ, გადამღებმა ჯგუფმა დაიჯერა, რომ ეს რეალობას ექვემდებარება, გადასაღებ მოედანზე უკვე გამოჩნდა სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ნანახი დემონსტრანტები და ჯარისკაცთა ურდოები, დახეული ჯინსები და თმაში ჩაწნული მინდვრის ყვავილები.

ფანტასტიკური მუსიკის ქვეშ ქაოსის ქორეოგრაფია გაჩნდა. მათ თავიანთი ულტრა-ახალგაზრდული განწყობით აღფრთოვანებაში მოიყვანეს მაყურებელი. მილოშ ფორმანი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა: როცა ვუყურებ "თმას", სადაც ჩემი გმირები ცეკვავენ, იცინიან და მღერიან, ვრწმუნდები, რომ ისინი სამუდამოდ ახალგაზრდებად დარჩებიან."

ასეა თუ ისე, "თმამ" სულ ახლახან დაფარა წარმოების დანახარჯები. ეს ყველა თაობისთვის საყვარელი ფილმი არც ისე იღბლიანი აღმოჩნდა, როგორც ელოდნენ.

"მე დღემდე ვთვლი, რომ ფილმის გადაღება, ერთი მხრივ, ძალიან დაგვიანებული იყო, მეორე მხრივ, სამოციანების შემდეგ მეტად ნაადრევი, იმისთვის რომ კომერციული მოგება მოეტანა."

ამის მიუხედავად, მილოშ ფორმანი საკუთარ ფილმებს კომერციული თვალსაზრისით არ განიკითხავს: შვილებივით აღვიქვამ, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომელი უფრო მიყვარს.

თუმცა, "თმას" ყველაზე ხშირად ვუჩვენებ ხოლმე ახლობლებს. შეიძლება იმიტომ, რომ "ოსკაროსანი" ფილმები ყველას ნანახი აქვს, თანაც, არაერთხელ, "თმა" კი ცოტამ ნახა. ანდა იმიტომ, რომ მიუზიკლის ყურება ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

ჭეშმარიტი შემოქმედი ზუსტი შეგრძნებებით გამოირჩევა თავის თანამედროვეთაგან, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სათქმელი დაგვიანებული, ან, პირიქით, ნაადრევი და ძალადაკარგულია.

არსებობს გამონაკლისი ეპოქები, როცა შემოქმედის დაბნეულობაც გამართლებულია. 60-70-იანი წლები სწორედ ამ გამონაკლისს ეკუთვნის. თქვენ როგორ მოიქცეოდით? წარმოიდგინეთ, რომ ერთიმეორეს მიყოლებით ხდება ასეთი ამბები: მოკვდა ედით პიაფი, დაჭრეს ენდი უორჰოლი, თვითმკვლელობა გადაიფიქრა ჰემინგუეიმ, ჯერ კიდევ გაბრუებულია მთელი ახალგაზრდობა, შპალერი თავიდან ბოლომდეა ჩამოხეული. და უეცრად, ერთ დროს ვუდსტოკის ფესტივალზე შეკრებილი დახეული ჯინსების თაობა პიჯაკებით და შარვლებით გეცხადება კაბინეტებიან სამსახურებში. მათთვის რომ გეკითხა, ჰიპები სად წავიდნენო, თავშეკავებული ღიმილით გიპასუხებდნენ: ეჰ, ბავშვობაო!

აქედან დასკვნა: არ არსებობს ჩაუცხრობელი ამბოხება და ხშირ შემთხვევაში ჭეშმარიტი შემოქმედის ჭვრეტაც მერყევია. აი, მაგალითად, ვარდების რევოლუციიდან სულ რაღაც ერთი წელი გავიდა და მე ჯერ არ ვიცი, სათქმელისთვის ადრეა თუ გვიან?!

# "გიორგობისთვე" საგამოფენო სივრცეში

თეონა ჯაფარიძე

"...გიორგობას, 23 ნოემბერსა და წმინდა სამების ტაძრის გახსნას მივუძღვენი ეს გამოფენა. მინდოდა, ამაღლებული და საზეიმო აურა შექმნილიყო და მძლავრი, მაჟორული მუხტით დატვირთული ექსპოზიცია გამოსულიყო." - ასე ხსნის **მხატვართა კავშირის თავმჯდომარე** ბატონი **გია ჯანბერიძე** საკმაოდ პომპეზური ექსპოზიციის კონცეფციას, რომელიც ემოციური მუხტით, მართლაც, ჯდება **ნოემბრის** ანუ **გიორგობისთვის** აურაში.

ამჯერად ეს ექსპოზიცია არც მხატვართა კავშირს უკავშირდება და არც გალერეას. ის ხელოვნებათმცოდნისა და წარსულში გამოცდილი გალერისტის პირადი ინიციატივაა: "მინდოდა, ოპტიმალურად მაღალი კლასისთვის მიმეღწია. ჩაფიქრებული მაქვს ამ გამოფენის საზღვარგარეთ გატანა და ქართული ხელოვნების დემონსტრირება. უკვე არის შეთავაზებები იტალიიდან, ბალტიისპირეთიდან და რუსეთიდან." - ამბობს ბატონი გია.

ზედმიწევნით კარგად უნდა გრძნობდე ქართულ თანამედროვე მხატვრობას, მხატვრებს და მათ შტრიხებს, მონასმებსა და აზრებს, რომ მძლავრი მხატვრული ენით, ექსპოზიციით მიაღწიო საჭირო ემოციას. მაინც როგორ გამოიყურება **თანამედროვე ხელოვნების გალერეაში** გამოფენა "**გიორგობისთვე**"? - ეს გახლავთ ერთდროულად ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების ზეიმი. თანამედროვე ხელოვნების გალერეის ვრცელი საგამოფენო სივრცე ნამდვილად იძლევა ამის შესაძლებლობებს: - მასშტაბური ტილოები და აქა-იქ მიმოფანტული ქანდაკებები ისეა გადანაწილებული გალერეის სამივე დარბაზში, რომ არ იკარგება სივრცისა და სინათლის შეგრძნება. ამავე დროს ექსპოზიცია ისეა აწყობილი, რომ ქანდაკება და მხატვრობა ერთიან კომპოზიციას ქმნის. მაგალითისთვის მეორე დარბაზის ერთი კუთხე ავიღოთ, სადაც დამთვლიერებელს სწორედ ასეთი შეკრული კომპოზიცია ეცემა თვალში: - ბრინჯაოსა და მარმარილოს "მოცეკვავე" (ავტორი ლევან ვარდოსანიძე) ვანო აბულაძის გრაფიკული "ნიუ" და შალვა მატუაშვილის ფერწერული "სევდიანი ბერიკები". გრაფიკის, ფერწერისა და ქანდაკების ასეთ კომპოზიციურ ერთობას დარბაზებში მოგზაურობისას თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. სამივე დარბაზს კი თავისი საზეიმო განწყობით ისევ ლევან ვარდოსანიძის ბრინჯაოს "ცეკვა სარკეზე" აერთიანებს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სიურპრიზებს თითქმის ყველგან გადააწყდებით. მესამე დარბაზში პირდაპირ თვალში მოგხვდებათ ზურაბ ნიჟარაძის ესთეტიკური ფერწერა. იმავე დარბაზის მარცხენა ფლიგელში ოლეგ ტიმჩენკოს ლურჯ-თეთრ ტონებში გადაწყვეტილი "ნიმფები" აღმოვაჩინე. გამარჯვებისა და ზეიმის შეგრძნების დეტალები გალერეის ყოველ კუნჭულში შეგიძლიათ იპოვოთ: მაგალითად, გენო ზაქარაიას მცირე პლასტიკა - "ტროას ცხენი".

რატომ გამოიფინება ქანდაკება ჩვენს გალერეებში ასე იშვიათად, როცა ის არსებობს? ეს აზრი დამთვალიერებელს პირველივე დარბაზში გაუელვებს. აქ მხატვრობასთან, მართლაც, შერწყმულია ბრინჯაოსა და მარმარილოს პლასტიკის ენა ავთანდილ მონასელიძის "სატრსა და ნიმფაში", ქეთი ჯაფარიძის მარმარილოს ფიგურასა თუ ისევ ლევან ვარდოსანიძის მარმარილოსა და ბრინჯაოს სინთეზში "მის ოკეანე".

ქართული თანამედროვე მხატვრობის ერთიანი ჯაჭვის დემონსტრირებას ბატონი გია ჯანბერიძე ყოველთვის ოსტატურად ახერხებს. "გიორგობისთვის" ექსპოზიციაშიც 60-იანელთა, 70-იანელთა თუ 80-იანელთა თაობები ქართული სახვითი ხელოვნების ერთიან ისტორიას ქმნიან და ნოემბრის ზეიმსაც გვიწყობენ. ექსპოზიციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ამიტომ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოფენის დახურვამდე "გიორგობისთვის" კატალოგიც გამოიცემა. გამოფენა დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

# ჰერალდიკა ფერწერაში

თეონა ჯაფარიძე

**"ძველ გალერეაში" გია ბუღაძის** მასშტაბური ფერწერული სერია **"საკრალური ტევრი"** გამოიფინა. დიდი ზომის ტილოები მნახველზე მომნუსხველად მოქმედებს და დამთვალიერებელს იდუმალებით მოცულ სამყაროში ეპატიჟება. ეს სამყარო - წარსულია, ისტორიაა, რომელსაც მხატვარი ასეთ განმარტებას აძლევს: "დრო ლეგენდებად გარდაქმნის ფაქტებს, უსაზღვროდ აფართოებს და გრანდიოზულ შინაარსს ჰმატებს მოვლენებს, რითაც ფაქტების თავისუფლებას წარმოუდგენლად დიდ სტიმულს აძლევს." ტილოებზე მუხების ტევრია გამოსახული, რომელიც სხვადასხვა ეპოქის ქართული დროშებითა და სიმბოლოებითაა მიმოფენილი. სერია ჯერ კიდევ **1997 წელსაა** შექმნილი და მასზე მკვეთრად ფიგურირებს **ხუთჯვრიანი დროშა.** ცნობილია, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მხატვარმა ამ თემას რამდენიმე დიდი სერია მიუძღვნა: "ქართლის ცხოვრება", "ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრება", "ვახტანგ გორგასალი," "ვარიაციები ქართული დროშების თემებზე."



მხატვრის მეუღლე **ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილი** მიხსნის, რომ გია ბუღაძე ბუნებით მონარქისტია, რომ მხატვარი მრავალი წლის მანძილზე იკვლევდა, ფიქრობდა, ეცნობოდა სხვადასხვა ეპოქის ქართულ ჰერალდიკას, ეძებდა მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს, აცნობიერებდა მათი აგების კომპოზიციურ პრინციპებს და იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს "ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილა მისი სტატია "დროშა და მისი ფერი", რომელშიც მხატვარს განუხილავს ქართული დროშის შექმნის კანონები, ფერადოვანი სიმბოლიკისა თუ მათი კომპოზიციური წყობის თავისებურებანი.

თავის დროზე მისი ერთი-ერთი ნამუშევარი - ტილოზე საღებავებით შესრულებული ხუთჯვრიანი დროშის "პორტრეტი" მოქანდაკე ჯუნა მიქატაძესთან სტუმრად მისულმა ვიხილე. დროშის გამოსახულება, რომელზეც ფუნჯის მონასმები ჩანს და იგრძნობა, უცნაურ განცდას იწვევს, მაგრამ არა პოპარტულს, როგორც ეს ჯასპერ ჯონსის ცნობილ შედევრზე გვებადება. გია ბუღაძე უფრო "დროის მიერ ლეგენდებად გარდაქმნილ ფაქტებს ხატავს."

სერია "საკრალური ტევრი", როგორც მოგახსენეთ, 1997 წელს შეიქმნა. იმავე წელს გამოიცა სერიის კატალოგიც, რომელშიც ხუთჯვრიანი დროშის შესახებ მხატვარი მთელ ნარკვევს გვთავაზობს: "უკვე მე-9 საუკუნიდან ე. ი. გრაალის ევროპული დიდი მისტერიის შემდეგ, მთელ საქრისტიანოში და, სახელდობრ, საქართველოში გამოსახულება წმ. გიორგის, იგივე მესიის მებრძოლი არსის, მისი მახვილის, მთავარანგელოზ მიქაელის ძალზე ზოგადი სიმბოლოს სახით დაიტანება ალამზე და მეწამული წითელი ჯვრის სახით გამოისახება. ალამზე წითელი ჯვარი, მესიის მახვილის მფარველობისა და ფლობის გამოხატულებაა. ჩვენი ვერსიით, დავით აღმაშენებლის დროს სწორედ მესიის ამ მებრძოლი ასპექტის გაცხადებაა თეთრ დროშაზე დატანილი წითელი ჯვარი."

"ძველმა გალერეამ" 23 ნოემბრისთვის "საკრალურ ტევრში" მოგზაურობა შემოგვთავაზა: თუ თქვენ ამ დროისთვის გალერეაში მოხვდებით, ბუღაძის ფერწერის წყალობით შეიგრძნობთ, როგორ "შეხვედით" ნახატში და მხატვრის მიერ ტექნიკურად მიღებულ ოქროსფერ ბურუსში ჩაიკარგებით, სადაც სკიპტრები და უძველესი დროშები უცნაურად ელავენ.

# რევოლუციური სიმფონია ანუ მუსიკალური თერაპია

## კლასიკური, ეროვნული მოტივები და ავანგარდული ფორმები

სოფო კილასონია

პოლიტიკური ძვრები, აშკარად თუ ირიბად, მუდამ ახდენდა გავლენას ხელოვნებაზე. რევოლუცია არაერთი შემოქმედის მუზად ქცეულა, არაერთი ხელოვანი გამხდარა სხვადასხვა პოლიტიკური თუ სახალხო მოძრაობის პროპაგანდისტი და აქტიური წევრი. ამას სხვადასხვაგვარი შედეგი გამოუღია, ხან მათი ხელოვნება იქცეოდა აშკარა ცარიელ პროპაგანდად, ხანაც თავად შემოქმედი რჩებოდა შორს არამატერიალური იდეალებისგან და მისი "მბრძანებელი" მხოლოდ საზოგადოება და გარკვეული იდეოლოგია ხდებოდა. ასეა თუ ისე, იმედი, ბრძოლა, შემართება, მოზღვავებული ემოციები - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რასაც ხელოვანი ადვილად ითვისებს საზოგადოებისგან, მეტიც, მისთვის ხშირად აუცილებელიცაა გარედან მიღებული ემოციური მუხტი, რათა გარკვეულწილად შეავსოს და დაიკმაყოფილოს შემოქმედებითი, მუდამ დაუკმაყოფილებელი წყურვილი. გარემოსა და სოციუმის იმედი და იმედგაცრუება ლაიტმოტივად არაერთ მუსიკალურ თუ მხატვრულ ნაწარმოებს გასდევს.

მსგავსი შესავალი, შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვან, უფრო მოდურ და ამავე დროს საკმაოდ ბანალურად ქცეულ თემებს უფრო მოხდენოდა, სიტყვაზე: "იდეოლოგია თუ ხელოვნება", ანდა "ხელოვანი და საზოგადოება". ფაქტია, მთავარ თემას დასაწყისშივე გავცდით. სიტყვა რევოლუციამ თავგზა აგვიბნია და სხვა არაფერი. საქმე იმაშია, რომ "ვარდების რევოლუციამ" მრავალი სიმღერისა და სხვა სამახსოვრო სუვენირის გარდა, ერთი, მართლაც, საინტერესო საჩუქარიც მიიღო - სიმფონიური ნაწარმოები, რომელიც პირველად სწორედ 23 ნოემბერს, საღამოს (შპს. "კუსტბას" პრეზიდენტის ბესო ხარძიანის ფინანსური დახმარებით, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და მერიის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში აჟღერდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჩემს მუსიკაში არ არის ჩარჩოები და საზღვრები.*

ორკესტრისთვის დაწერილი სიმფონიური ნაწარმოების ავტორი, კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვისაც, ალბათ, ჯერ კიდევ უცნობი, ახალგაზრდა მუსიკოსი მედეა სოფრომაძეა, რომლის მუსიკალურ ქმნილებასაც თეატრის ორკესტრი ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით შეასრულებს. გიორგობა საღამოს თეატრში მისული საზოგადოება მუსიკის სმენის პარალელურად იხილავს გოგა ჩანადირის ფოტოების ჩვენებას, რითიც, ალბათ, მეტად შეიგრძნობს და ხელახლა განიცდის მას, რაც მედეა სოფრომაძის მიერ დაწერილი რევოლუციური მუსუკის მთავარი პათოსია - ძლიერი ემოციური მუხტი და ენერგიული შემართება.

კლასიკური ფორმის სიმფონიური ნაწარმოები სამნაწილიანია. მასში შერწყმულია ეროვნულ მოტივებზე დაფუძნებული კლასიკური და ავანგარდული მუსიკა. ნაწარმოებში რამდენიმე მთავარი თემა მონაცვლეობს. მთლიანობაში იგი ოპტიმისტურ და, ამავდროულად, რომანტიკულ ხასიათს ატარებს. როგორც ავტორი ამბობს, სწორედ ხალხის ტალღამ, მათმა აღელვებამ, განცდებმა განაპირობა ის, რომ სრულიად მოულოდნელად დაიწერა რამდენიმე მელოდია, რამაც მხოლოდ შემდეგ მიიღო დასრულებული-მთლიანი სახე, სიმფონია გასაგები, ადვილად მისაღები მუსიკალური ენითაა დაწერილი.

ტრაგიკულ თემას, რომელსაც გარკვეული სიახლისა და იმედის განცდაც ამჩნევია, მეორე ნაწილის რომანტიკული, მშვიდი მელოდია ენაცვლება, სადაც, ავტორის აზრით, ყველაზე კარგად ჩანს ერთად მდგომი ხალხის ამაღლებული სული. მესამე ნაწილი პირველი ორისგან განსხვავდება. იგი უფრო რიტმულია, სწრაფია და რონდოს ჰგავს. მედეა სოფრომაძე სწორედ ამ ბოლო ნაწილის შემთხვევაში მიანიშნებს ავანგარდული მუსიკის ფორმებზე. რევოლუციისადმი მიძღვნილი ნაწარმოები სულ 25 წუთი გრძელდება და ფიქრობენ, რომ მსმენელს მოდუნებისა და დაღლის საშუალებას არ მისცემს.

სამშაბათს საღამოს საზოგადოება პირველად მოისმენს და პირველად შეაფასებს მედეა სოფრომაძის ნიჭსა და მის ნაწარმოებს. რის შემდეგაც, ახალგაზრდა და ჯერ კიდევ გამოუცდელი მუსიკოსი სამი წლის წინ დაწყებულ და ჯერ არდასრულებულ ბალეტს "მედეა" დაუბრუნდება. ეს ის თემაა, რომელიც მისთვის, როგორც თავად აღვნიშნავს, მეტად ახლობელია და ალბათ ამიტომაცაა, რომ უკვე ოცნებობს ამ ორნაწილიანი ბალეტის დადგმაზე. თუმცა, სანამ ბალეტს ვიხილავდეთ, ვარდების რევოლუციის ერთი წლისთავი უნდა ვიზეიმოთ და ახალი კლასიკური ნაწარმოებიც მოვისმინოთ, რაზეც დიდწილად იქნება დამოკიდებული "მედეას" ხორცშესხმის ამბავიც. ამას გარდა, უნდა ერთიც აღვნიშნოთ, ხოლო 23 ნოემბერს შესასრულებელი სიმფონიის მომავალმა მსმენელებმა გავითვალისწინოთ, რომ რევოლუციისადმი მიძღვნილ ნაწარმოებს კომპოზიტორმა ერთგვარი თერაპიის ფუნქციაც დააკისრა, რათა (როგორც თავად აღნიშნავს), მისმა მუსიკამ ყველას შეგვახსენოს ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გამარჯვების წლისთავზე მოდუნების საშუალება არ მოგვცეს.

# შავი ნაპირი და...

## დოკუმენტური ფილმის თვე დიუმას ცენტრში

სალომე კიკალეიშვილი

*შაბათს ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული ენისა და კულტურის ცენტრში გაიმართა ახალგაზრდა ფრანგი რეჟისორის მატილდ დამუაზელის ფილმის "სოხუმი, შავი ნაპირი" ჩვენება.*

დიუმას ცენტრი კარგად ნაცნობი ადგილია როგორც ფრანგული ენის შემსწავლელთათვის, ისე მათთვის, ვისაც აინტერესებს საფრანგეთის ისტორია, მისი კულტურა თუ თანამედროვე ხელოვნება. ფრანგული ენისა და კულტურის ცენტრმა დაარსებიდან არაერთი საინტერესო საღამო გამართა. მოაწყო ფილმების პრემიერები, წიგნების პრეზენტაციები, მუსიკალური საღამოები თუ, უბრალოდ, საინტერესო დისკუსიები...

საფრანგეთის საელჩომ და დიუმას ცენტრმა ნოემბერი მთლიანად ფილმებს დაუთმეს. "დოკუმენტური ფილმის თვე" - ასე ჰქვია ციკლს, რომელშიც წარმოდგენილია ფრანგი კინოდოკუმენტალისტების მიერ ბოლო დროს შექმნილი მოკლემეტრაჟიანი და სრულმეტრაჟიანი ფილმები, რომელთა უმრავლესობა ქართულ თემატიკასა და სიუჟეტზეა აგებული. ფრანგული ფილმების მასპინძელი, როგორც ყოველთვის, კინოს სახლი იყო. ახლა კი ციკლი გრძელდება დიუმას ცენტრის მირეი მიუსოს სახელობის დარბაზში, კინოთეატრ "ამირანში" და დასრულდება კავკასიის ფოტოგრაფიისა და ახალი მედიის ინსტიტუტში.

შაბათ საღამოს დიუმას ცენტრში ნაჩვენები იყო მატილდ დამუაზელის და ჟურნალისტ რენე ჟენტეს მიერ 2004 წელს გადაღებული ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი "აფხაზეთი, შავი ნაპირი". სათაურიდან გამომდინარე, ცხადი იყო დამუაზელის ფილმის სიუჟეტი და ისიც, რომ მიუსოს სახელობის დარბაზში მისული მაყურებლის უმრავლესობას ფეხზე მოუწევდა ფილმის ყურება. ასეც მოხდა, რადგან ინტერესი უდავოდ დიდი იყო: როგორი იქნებოდა ფრანგი დოკუმენტალისტის მიერ დანახული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ჩვენთვის მოუშუშებელი ჭრილობა: დაკარგული ტერიტორია, დევნილების პრობლემა...



*კადრები ფილმიდან*



დამუაზელს აქცენტი გადატანილი აქვს არა პოლიტიკაზე, რასაც, ალბათ, დაბაზში შეკრებილთა უმრავლესობა მოელოდა, არამედ ომის მთავარ მსხვერპლზე - ადამიანზე. რა შეცვალა ომმა მათ ცხოვრებაში, როგორ ცხოვრობენ ბავშვობიდან ერთად გაზრდილი, შემდეგ უკვე დანათესავებული ადამიანები ცალ-ცალკე, ერთნი - სოხუმში, მეორენი - თბილისში, რა აკავშირებთ იქ დარჩენილ და თბილისში წამოსულ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან... მოგონება და მეტი არაფერი.

**მატილდ დამუაზელი:** "ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს საუბარს ომზე, პოლიტიკაზე. ჩემი ამოცანა იყო, ამ კონფლიქტის შემდეგ მეჩვენებინა ადამიანი, მისი რეალობა, მისი თვალით შემეხედა ამ საშინელებისთვის". თუმცა, ერთი ისტორიული უზუსტობა, რომელიც რეჟისორს გაეპარა, დარბაზში პოლემიკის საბაბი გახდა. ფილმის ჩვენების შემდეგ გამართული დისკუსია ლამის პოლიტიკურ დებატებად იქცა. დამუაზელის ფილმი, რომელიც მთლიანად აფხაზეთში დარჩენილ თუ თბილისში წამოსულ სოხუმელებთან ჩაწერილ ინტერვიუებზე, მოგონებებსა და მათ დღევანდელ ცხოვრებაზეა აგებული, დროდადრო ახლანდელი სოხუმის პანორამულ კადრებს გვთავაზობს: დანგრეულ, ნატყვიარ სახლებს, გალატაკებულ, მარტოდ დარჩენილ მოხუცებს, ზაფხულობით ზღვაზე საჭყუმპალაოდ ჩასულ დამსვენებლებს - რუსებს... ამ ყველაფრის დასაწყისში რეჟისორმა მოკლედ მიმოიხილა აფხაზეთის გეოპოლიტიკური თუ ისტორიული ფაქტები. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი ძველი სოხუმელის უკამყოფილების საბაბი, რომელმაც რეჟისორის ქება-დიდების შემდეგ, გაბედა და მას შენიშვნა მისცა. დამუაზელის მიხედვით, აფხაზეთი არასდროს ყოფილა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, არც არაფერი აკავშირებდა მასთან. მხოლოდ სტალინის შემდეგ ისინი კი არ გაერთიანებულან, არამედ, უბრალოდ, დაკავშირებიან ერთმანეთს. ზოგიერთი მაყურებელი დაეთანხმა სოხუმელ მოქალაქეს, რომლიც ამტკიცებდა, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ საქართველოს ნაწილი იყო. ზოგიერთი კი, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე (რაც საკუთარ თავზე პირადად მეც არაერთხელ გამომიცდია), სწორედ იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ **უცხოელს** (ეს სიტყვაც რაღაც დიდ მოწიწებას იწვევს) რაღაც შეეშალა, თუნდაც, ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, როგორიც თურმე სტალინის მიერ "ბოძებული" აფხაზეთია, და ვიღაცამ გაბედა ამაზე მოკრძალებული, მაგრამ მაინც შენიშვნის მიცემა: "მადლობის მაგიერია, მერე რა, რომ შეეშალა, გავანებოთ თავი!"... ისმოდა რეპლიკები დარბაზში.

აქ პირადად მე აღმაშფოთა არა იმდენად დამუაზელის მიერ ისტორიული ფაქტების არასწორმა კონსტატაციამ, არამედ ჩვენს ცნობიერებაში ფეხმოკიდებულმა ახალმა ცნებამ - **უცხოელი,** რომელიც, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ლექსიკონშიც შევიტანოთ ასეთი განმარტებით: სხვა ადამიანისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული მოწიწება, პატივისცემა, ისეთი ელემენტარულისაც კი, როგორიცაა ზრდილობა. სადმე, მასობრივი თავშეყრის ადგილას თუ მოხვდი, უნდა დაუთმო, იმიტომ, რომ უცხოელია, რაღაცა თუ შეეშალა, თუნდაც შენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, არ უნდა აღნიშნო, იმიტომ, რომ უცხოელია... რიგში დგას, უნდა გაატარო, იმიტომ, რომ უცხოელია...

მაგრამ, მოდი, ცოტა ხნით დავივიწყოთ ისტორიული პერიპეტიები და ერთი-ორი სიტყვა ვთქვათ ფილმზე, როგორც რეჟისორულ ნამუშევარზე. ეს არის დოკუმენტური კინოს კანონების დაცვით შექმნილი ჩვეულებრივი ფილმი, შეიძლება ითქვას, ზედაპირულიც. ყოველ შემთხვევაში, ანალიზის არავითარი პრეტენზია არა აქვს (ამას თავად რეჟისორმაც არაერთხელ გაუსვა ხაზი). თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი იმ დევნილებისთვის, რომლებიც ცრემლიანი თვალებით უყურებდნენ სოხუმის კადრებს, ძველ ქუჩებს, ნაცნობ სახეებს... იმ ემოციას და სევდას, რომელიც თან ახლდა ფილმის პრემიერას.

რაღაც უცნაური სევდა დამეუფლა, როცა პრემიერიდან წამოსულმა მწვანე ბადეში, silk road group-ის წარწერაში შეფუთულ სასტუმრო "ივერიას" ჩავუარე. არ ვიცი, ვერ ავხსნი, რაღაც უცნაური სევდის, თითქოს ნოსტალგიისაც... კი მაგრამ, რომელი ნოსტალგიის? ფანერებითა და ლურჯი ბრეზენტით აჭრელებული მონსტრის? არა. უბრალოდ, პატარაობაში ნანახი სოხუმის, ზღვაში ჩამდგარი უზარმაზარი გემის, ერთ-ერთ მაღაზიაში ნანახი სამაჯურის, რომლის ბრწყინვალებაც დღემდე მახსოვს - ის, რაც ჩემთვის ასოცირდებოდა "ივერიასთან", ლტოლვილთან, სოხუმთან...

# ოაზისი ქართულ სცენაზე

ანა მაყაშვილი

2000 წელს ბრიტ-პოპის მსმენელებისთვის ორი კარგი რამე მოხდა: ერთი - დიდ ბრიტანეთში, მეორე - საქართველოში. იქ "ოაზისმა" Standing On The Shoulders Of The Giants გამოუშვა, აქ "სტრინგი" (ჯგუფის სახელის ოფიციალური ვერსია ასე იწერება: STR!NG) ჩამოყალიბდა. და ეს თამამი ნათქვამი სულაც არ არის, თუ ზემოხსენებული ალბომის წარმატებას (ბრიტანულ ჩარტებში მგონი მე-40 ადგილი ეკავა) და იმ განსხვავებას გავითვალისწინებთ, რომ ამ ალბომმა ქართველ მსმენელამდე მოაღწია, "სტრინგი" კი ქართველ მსმენელსაც ვერ გასცდა; მეტსაც გეტყვით, ქართველ მსმენელსაც მცირე და იშვიათი საშუალება ჰქონდა ჯგუფის შემოქმედების გასაცნობად. ეს საშუალება, ძირითადად, არც თუ ისე ბევრი და არაპერსონალური კონცერტებით შემოიფარგლებოდა.

საქართველოში დღეს ბევრი ჯგუფია, რომელიც მსგავსი "პრივილეგიებით" სარგებლობს - უკრავენ ერთმანეთისთვის და სხვისთვის არავისთვის (საბედნიეროდ), მათი ინგლისურ თუ ქართულენოვანი სახელების დამახსოვრება შეუძლებელია და არც მე მაქვს დიდი სურვილი დავიმახსოვრო. აი, "სტრინგი" კი უკვე 2001 წლიდან მახსოვს (იმისდა მიუხედავად, რომ მაშინ ჯგუფის არც ერთ წევრს არ ვიცნობდი და დღეს თუ ვიცნობ, მათი მუსიკის დამსახურებაა და არა პირიქით), - იმიტომ, რომ ეს ნამდვილად არაა ის ჯგუფი, რომლის სიმღერები მარტო ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და მეგობრების მეგობრებმა უნდა იცოდნენ...

იმის შანსი, რომ ასე არ ყოფილიყო და "სტრინგის" შემოქმედების გაცნობის საშუალება მსმენელს მეტ-ნაკლებად მისცემოდა, თამუნა სულამანიძის ფილმმა, "37 გრადუსი ცელსიუსი" და მისივე გადაღებულმა ვიდეომ დაბადა, რომელთა პრეზენტაცია 19 ნოემბერს კინოთეატრ "რუსთაველში" შედგა. და მეც მომცა საკმარისი საბაბი, "სტრინგზე" დამეწერა რაღაც-რაღაცეები. ფილმი მოკლემეტრაჟიანი და მხატვრულია და ერთ-ერთ როლს "სტრინგის" სოლისტი (დათო ლომიძე) ასრულებს; საუნდტრეკად, რობი კუხიანიძის, "ადრენალინის" და "შუქი მოვიდას" სიმღერებთან ერთად, "სტრინგის" B52-ია გამოყენებული (და ეს ყველაფერი ძალიან წარმატებულად). ვიდეოც ზემოთ აღნიშნული სიმღერისთვისაა (B52) განკუთვნილი და ფილმის კადრების გვერდით, მასში ფილმისგან დამოუკიდებელი კადრებიცაა გამოყენებული (და ეს ყველაფერი იმდენად მომეწონა, რომ ვფიქრობ, არსებული ქართული მუსიკალური ვიდეობიდან B52 ყველაზე კარგი გამოდგება).

როგორც აღვნიშნე, ეს პრეზენტაცია ჩემთვის საკმარისი საბაბი იყო, "სტრინგზე" მომეყოლა. და აი, რა:

ჯგუფში სხვადასხვა მიზეზით მუდმივად იცვლებოდნენ წევრები.

მაგრამ, სანამ აქამდე მოვიდოდნენ და სანამ ამ ცვლილებებს განახორციელებდნენ (სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად იპოვეს სრული ჰარმონია), ჯერ ჯგუფი უნდა შექმნილიყო. ჯგუფის წევრებს შორის სტატისტიკურად ყველაზე ხშირი და უცვლელი ორი სახელია: დათო ლომიძე და გიორგი მარი. სწორედ ამ ორ ერთგულ წევრზეა, ფაქტობრივად, ჯგუფის მთელი პასუხისმგებლობა და ჯგუფის შექმნაც, ალბათ, მათ დამსახურებად უნდა ვაღიაროთ.

დათოს დღესაც უყვარს "ქუინი" და "ოაზისი", ბოლო დროს "ქოლდფლეი" და, რაც არ უნდა მიკვირდეს, რობი უილიამსი მოეწონა ძალიან (ალბათ, მაინც იმიტომ, რომ რობი ბრიტანელია). გიორგის ისევ უყვარს განთქმული როკ-ოპერა და "ოაზისი" მისი უსაყვარლესი ჯგუფია; ამას "ქოლდფლეი" და "ქვინი" დაემატა.

როგორც ხედავთ, გატაცებები საკმაოდ ბრიტანული აქვთ ბიჭებს. გიორგის კიდევ ერთი მიზეზი აქვს ამისთვის: ალბათ, მიხვდებოდით, რომ გიორგის გვარი გოგოს სახელი არ არის - დიახ, ეს შოტლანდიური გვარია, რომლის სრული ვერსია ასე ჟღერს (გამოიყურება): Monttegio Marr და შოტლანდიაში ამ გვარის მატარებლები პერები იყვნენ (ეს დაახლოებით იგივეა, რაც ინგლისში ლორდი იყო). გიორგი გურიაში დასახლებული მოგზაურის, იაკობ მარის შვილის, ივანის შთამომავალია (სხვათა შორის, ნიკო მარიც იაკობის შვილი იყო, უბრალოდ, მას რუსი დედა ჰყავდა, ივანს - ესპანელი).

დათოს და გიორგის ხშირად ლიამ და ნოელ გალაჰერებს ადარებენ და მათ მოსწონთ ეს შედარებები (დათოს და გიორგის ოღონდ). თვითონ იმასაც ამბობენ, რომ მათი დაწერილი ერთ-ერთი სიმღერა საოცრად ჰგავს "ოაზისის" Who Feels Love-ს, მაგრამ ეს სიმღერა მაშინ დაწერეს, როცა მისი ოაზისისეული ანალოგი ჯერ არ იყო დაწერილი. ბიჭებს პატარა სიმბოლიკაც აქვთ აღმოჩენილი: მათი გვარების (ლომიძე-მარი) ინიციალები სახელგანთქმული ბიტლების გვარების (ლენონ-მაკარტნი) ინიციალებს ემთხვევა (ორივე L.-M. გამოდის). და მე იმას დავამატებდი, რომ კლასიკური ბრიტ-პოპული (თუ ბიტლური) ორეულივით, დათო და გიორგიც არტსკოლებში სწავლობენ (დათო თეატრალურ ინსტიტუტში მე-3 კურსზეა - მსახიობობას სწავლობს, გიორგი სამხატვრო აკადემიაში მე-4 კურსზეა - ფერწერას სწავლობს).

აუცილებლად უნდა აღვნიშნო - "სტრინგი" კონცერტზე და განსაკუთრებით დათო ლომიძე, რომელსაც სცენა ძალიან უხდება, არის ძალიან არტისტული, ცოცხალი და სექსუალური და ერთადერთი ქართველი მომღერალია, რომლისგანაც ავტოგრაფის აღების სურვილი გამჩენია.

ჯგუფს უკვე იმდენი სიმღერა აქვს (სიმღერები, ცხადია, ინგლისურ ენაზეა), რომ თავისუფლად შეუძლია სრულყოფილი ალბომი ჩაწეროს და, რა თქმა უნდა, პერსონალური კონცერტი მოაწყოს, თუმცა ეს უკვე მთლად მათზე აღარაა დამოკიდებული. ჯერჯერობით, თქვენს ტელეეკრანებზე B52-ის ვიდეოს გამოჩენას უნდა დაელოდოთ

მოკლედ, ქართულ მუსიკალურ უდაბნოში მე ვიცი ერთი პატარა მწვანე ადგილი, ერთი ოაზისი (და არ მგონია, ეს უდაბნოსთვის დამახასიათებელი მირაჟი იყოს), მაგრამ ამ ოაზისამდე მისვლის გზებზე, სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი გითხარით, ერთს კი ნამდვილად გეტყვით - ამ ოაზისს "სტრინგი" ჰქვია.

**P.S**. და იმას, თუ რამდენად სუბიექტური ვიყავი, იმედი მაქვს, დრო მოვა და თავად განსჯით.

**პოპ-ვარსკვლავი კაილი მინოუგი მორიგი წარმატებისთვის ემზადება.**

## პატარა კაილი დიდ ჰიტზე ზის

მაშინ, როცა მინიატურული ზომის ავსტრალიელი მომღერალი უდიდესი ჰიტების ალბომს გამოსაცემად ამზადებს, შოუბიზნესში მისი მოწინააღმდეგეები ჯიუტად მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ მოახერხა ამ ერთი ბეწო ქალმა სხვა დიდი ზომის ქალი-მომღერლების დაჩრდილვა და საკუთარი თავისგან ერთგვარი კულტის შექმნაც; კულტის, რომელსაც მსოფლიოს გარშემო მრავალი ერთგული მიმდევარი სცემს თაყვანს.

კაილი 1968 წელს მელბურნში დაიბადა. მისი გზა დიდებისკენ იმდენად აინტერესებდა ყველას, რომ უკვე ლეგენდადაა ქცეული. ის ტელესერიალ "მეზობლებში" შენიშნეს. ფილმში კაილი ყოფილ შეყვარებულთან ჯეისონ დონოვანთან ერთად მოტო-მექანიკოსის როლს ასრულებდა. მინოუგით ცნობილი მუსიკალური პროდიუსერები სტოკი, აიტკენი და უოტერმენი დაინტერესდნენ და მასთან კონტრაქტიც გააფორმეს. კაილიმ ლითლ ევას 1962 წლის ჰიტი Locomotion-ის ახალი ვერსია ჩაწერა.

შემდეგ უკვე სინგლები სინგლებზე გამოდიოდა, კაილი წარმატებული ხდებოდა, მაგრამ წინსვლის პროცესს ჟურნალისტებისგან დიდი დაცინვაც გასდევდა ფონად. ერთხელ დოუკი ჯონ ფილმა ინტერვიუ კაილი მინოუგის მეუღლის მოდელთან ჩაწერა და ამტკიცებდა, რომ ამ უსულო ფიგურას უფრო მეტი ჭკუა მოეკითხება, ვიდრე ნამდვილ კაილის.

მაგრამ მინოუგმა ცინიზმს ვაჟკაცურად გაუძლო, შეიქმნა სექსუალური ქერათმიანის წარმატებული იმიჯი და თანდათან იქცა კულტად. ამ პროცესში მას ძალიან ეხმარებოდა სოლიდური მუსიკალური პარტნიორების არჩევაც. მაგალითად, იგივე "შენიქ სთრით ფრიჩერზთან" ერთად გამოსვლა მინოუგს მეტ სანდოობას სძენდა.

საბოლოო ჯამში, ის გაკულტდა. 2002 წლის "ემტივის" მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალზე კი მადონას ეცვა მაისური, რომელსაც წარწერა - "კაილი" ამშვენებდა...

ახალი, ორიგინალი ალბომი Ultimate პირველია, რომელიც აერთიანებს 1987 წლიდან დღემდე გამოსულ მინოუგის ყველა ჰიტ სინგლს, სულ 31 სიმღერას. კრებულში შესულია ორი ახალი სიმღერაც: Giving You Up და I Believe in You.

### საინტერესო ფაქტები

დღეს კაილი ყველა დროის ყველაზე მეტად გაყიდვადი ავსტრალიელი მომღერალია. მისი ალბომების გაყიდვის მაჩვენებელი 65 მილიონ დოლარს აღწევს.

Can't Get You Out Of My Head კაილის ყველაზე წარმატებულია სინგლია. სიმღერა 30 ქვეყანაში ლიდერობდა ჩარტებში და გაყიდულია მისი 4 მილიონი ეგზემპლარი.

I Should Be So Lucky - ამ სცენური მიუზიკლის პრემიერა, რომელიც კაილის 25 ჰიტი სიმღერის მიხედვითაა დადგმული, მელბურნში ჰომოსექსუალების ზაფხულის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა.



ფეხბურთი

www.pfl.ge

# მელქაძე "სპორტინგს" "პოკერით" ხვდება

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-16 ტური გამორჩეულად უხვგოლიანი გამოდგა. გუნდებმა იშვიათი შედეგიანობა გამოავლინეს - 5 მატჩში 21 გოლი გავიდა. ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული თამაში - "ლოკომოტივმა" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა.

ეს მატჩი სხვებთან შედარებით ერთი დღის დაგვიანებით, 21 ნოემბერს გაიმართა. ამიტომ ორივე გუნდისთვის ცნობილი იყო კონკურენტების შედეგები. თამაშამდე 25-ქულიანი "ლოკომოტივი" სატურნირო ცხრილში მე-5 პოზიციას იკავებდა. წარმატების შემთხვევაში მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლებდა და ლიდერთა სამეულს მჭიდროდ მიუახლოვდებოდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ "დინამოსთან" გამარჯვება რკინიგზელთა რიგებში არაჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ განწყობას შექმნიდა - გუნდს საკუთარი ძალის რწმენას შემატებდა. თუმცა, თუ ვინმეს სჭირდებოდა კარგი ფსიქოლოგიური განწყობა და რწმენის დაბრუნება, ეს, პირველ რიგში, სწორედ "დინამო" იყო. მოგეხსენებათ, თბილისის "დინამო" ერთადერთი ქართული გუნდია, რომელმაც უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრის წყალობით საერთაშორისო საფეხბურთო სეზონი გაგვიხანგრძლივა. სწორედ ამ ტურნირის ეგიდით, სამ დღეში "დინამოს" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის თავისი ჯგუფის და უეფას თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან, ლისაბონის "სპორტინგთან". ორ ფრონტზე ბრძოლას კი, როგორც ჩემპიონატის ბოლო შეხვედრებმა და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ჩატარებულმა ორმა თამაშმა ცხადყო, "დინამო" თავს ვერ ართმევს. ამიტომ გუნდის მთავარ მწვრთნელს "ლოკომოტივთან" მატჩის წინ სერიოზული პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი: ან მთელი ძალები სვანაძის გუნდთან მატჩისთვის უნდა შეელია და "სპორტინგთან" თამაში მეორეხარისხოვნად მიეჩნია, ან ძალები დაეზოგა და 25 ნოემბერს კიდევ ერთი სასწაულის მოხდენა ეცადა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ "დინამოს" ძალა არ დაუზოგავს, თუმცა, ისეთი ლამაზი, ლაღი და, რაც მთავარია, შედეგიანი თამაში აჩვენა, რომ დღესვე შეიძლება ითქვას - გუნდი თავს აღწევს დაძაბული გრაფიკის გამო გადაღლით გამოწვეულ კრიზისს და "სპორტინგის" წინააღმდეგ ისევ იმ "ძველ", "სლავიას" და "ვისლას" მძლეველ "დინამოს" ვიხილავთ.

გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობიდან კანკავა და კაკალაძე დაასვენა, თუმცა, დასვენება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თბილისურმა "კლასიკომ" ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაიარა.*

მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ფეხბურთელები არ შეიყვანა სასტარტო შემადგენლობაში. მატჩის მეორე ნახევარში კანკავა და კაკალაძე შეცვლაზე შევიდნენ და საკმაო წარმატებითაც.

"ლოკომოტივის" რიგებში სასტარტო შემადგენლობაში არ იყვნენ გვარამაძე, სოსელია და სირბილაძე, თუმცა, სირბილაძე მოგვიანებით ჩაერთო მატჩში და გოლიც გაიტანა.

თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. "ლოკომოტივს" დამატებითი გამღიზიანებელიც ჰქონდა, თუმცა, ეს მხოლოდ ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელზე ითქმის. კერძოდ, გოგობერიშვილზე, ბურდულსა და ბობოხიძეზე, რომლებიც ცოტა ხნის წინ დინამოელები იყვნენ, მაგრამ ახალი მწვრთნელის კონცეფციას ვერ შეეწყვნენ და გუნდი დატოვეს. პრინციპში, ამ ფეხბურთელებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ, მაგრამ მათ მონდომებას ცივი წყალი გადაასხა ორმა ყოფილმა თანაკლუბელმა - კვირკველიამ და მელქაძემ. კვირკველიამ ამ მატჩში სამი საგოლე პასი მიითვალა, ხოლო მელქაძე საერთოდ შეუჩერებელი იყო - მან ოთხი გოლი გაიტანა.

თუმცა, მატჩის პირველი წუთები ასეთი სცენარის არავითარ საფუძველს არ იძლეოდა. პირველ 45 წუთში ვერც მასპინძლებმა და ვერც სტუმრებმა ვერ შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ამ დროში გატანილი ერთადერთი გოლიც მხოლოდ სტანდარტული სიტუაციის გათამაშების შედეგად გავიდა. თუმცა, ის სტანდარტი, მართლაც, სანაქებო გამოდგა: მარცხენა ფლანგიდან კვირკველიას ჩაწოდებულს მაღალი ნახტომით შეწვდა სილაგაძე და ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს 35-ე წუთზე მოხდა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდმა უარი თქვა დაცვაში თამაშზე და დაიწყო გოლების ფოიერვერკი. 55-ე წუთზე ახლად შემოსული კანკავას პასით მელქაძემ სათავე დაუდო თავის "პოკერს" და "დინამო ორი ბურთით დააწინაურა. რამდენიმე წუთში ექსდინამოელმა გოგობერიშვილმა ლამაზი დარტყმით ერთბურთიანი "სტატუსკვო" აღადგინა". 73-ე და 74-ე წუთებზე გუნდებმა კიდევ გაცვალეს გოლები: დინამოელთაგან ისევ მელქაძემ, ხოლო მასპინძელთაგან - სირბილაძემ გამოიჩინეს თავი. ამის შემდეგ გოლები მხოლოდ "დინამოს", უფრო სწორად, მელქაძეს გაჰქონდა. მან მატჩის მიწურულს, 87-ე და 90-ე წუთებზე კიდევ ორი გოლი გაიტანა და "დინამოს" უპირატესობას სოლიდური სახე მისცა - 5:2 სტუმართა სასარგებლოდ.

ჩემპიონატის მეორე, უფრო სწორად, პირველმა ლიდერმაც ხუთი გოლი გაიტანა მეტოქის კარში, თანაც, ისე, რომ საკუთარი კარი მშრალად შეინახა. თუმცა, თავად ქუთაისელები დამეთანხმებიან, რომ ეს გაცილებით იოლია საკუთარ მოედანზე, თან, აუტსაიდერ "სიონთან". თუმცა, სამი ქულა მაინც სამი ქულაა, მით უმეტეს, როდესაც ეს ქულები მოპოვებულია ასე დამაჯერებლად და შედეგიანი თამაშის წყალობით. ამ მატჩში "ჰეთ თრიკით" გამოირჩა "ტორპედოს" მთავარი მეგოლე გიორგი მეგრელაძე. გამარჯვების შედეგად "ტორპედომ" მეორე პოზიციაზე მყოფ "დინამოსთან" 2-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა.

მე-16 ტური

| | |
|---|---|
| **კოლხეთი - დილა** | **4:0** |
| **ზესტაფონი - დინამო (ბთ)** | **2:1** |
| **ტორპედო - სიონი** | **5:0** |
| **თბილისი - ვიტ ჯორჯია** | **0:2** |
| **ლოკომოტივი - დინამო (თბ)** | **2:5** |

მდგომარეობა
16 ტურის შემდეგ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 16 | 10 | 5 | 1 | 27-8 | 35 |
| 2. დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 35-18 | 33 |
| 3. თბილისი | 16 | 9 | 3 | 4 | 33-19 | 30 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 4 | 4 | 28-19 | 28 |
| 5. ლოკომოტივი | 16 | 6 | 7 | 2 | 22-13 | 25 |
| 6. დინამო (ბთ) | 16 | 6 | 4 | 6 | 22-15 | 22 |
| 7. ზესტაფონი | 16 | 5 | 1 | 10 | 12-33 | 16 |
| 8. კოლხეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 14-24 | 15 |
| 9. სიონი | 16 | 3 | 2 | 11 | 13-37 | 11 |
| 10. დილა | 16 | 2 | 2 | 12 | 11-31 | 8 |

# კოლოსკოვი: "პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ"

*ფეტისოვისა და კოლოსკოვის დაპირისპირება გრძელდება. თუმცა, დაპირისპირებულთა პოზიციები მკვეთრად შეიცვალა: ფეტისოვი დროებით გაჩუმდა, კოლოსკოვი კი ახალ-ახალ ინტერვიუებს არიგებს და გამუდმებით იმეორებს, რომ პენსიაზე გასვლას არ ჩაქრობს.*

**- ბოლოს და ბოლოს, მიდიხართ დაკავებული თანამდებობიდან თუ არა?**

- არასადაც არ ვაპირებ წასვლას. მე თუ წავალ, შესაძლოა, მთელი რუსეთი აიძულონ, საერთაშორისო ფეხბურთიდან წავიდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ანუ რუსეთის საფეხბურთო კავშირის საქმეებში სახელმწიფოს უხეში ჩარევის გამო.

**- იმის შესახებ, რომ სამხრეთ ამერიკაში და აფრიკაში მწვრთნელებს პრეზიდენტები და გენერლები კარნახობენ შემადგენლობას, უამრავი ანეკდოტი დადის. მაგრამ, რაღაც არ მსმენია, რომ უკანასკნელ წლებში ვინმე ფიფა-დან გაერიცხოთ.**

- არ არის მართალი. რამდენიმე წლის წინათ მე, როგორც ფიფა-ს საერთაშორისო კომისიის წევრი, ვიძიებდი ეთიოპიაში არსებულ სიტუაციას, სადაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა ფედერაციის საქმეებში. მანამ, სანამ ეთიოპიის ფეხბურთის ფედერაციის წესდება საერთაშორისო ნორმებთან სრულ შესაბამისობაში არ მოვიდა, ფიფა-ში ამ ქვეყნის წევრობა შეჩერებული იყო.

**- და თქვენ გჯერათ, რომ ახალმა წესდებამ რაიმე თვალსაზრისით შეცვალა ეთიოპია?**

- თუ ჩვენ საკუთარ თავს დემოკრატიულ ქვეყანად ვთვლით, მაშინ არ შეიძლება სახელმწიფო ანარქიის დაშვება! ფეტისოვს სურს, რომ მთელი სპორტი დაიმორჩილოს, ფედერაციების დამოუკიდებლობა გააუქმოს.

**- ფეტისოვის ხელმძღვანელი, ვლადიმირ პუტინიც ხომ იგივეს აკეთებს?**

- პუტინი კონსტიტუციითა და კანონებით ხელმძღვანელობს, ფეტისოვი კი კანონებს უხეშად არღვევს.

**- თვლით, რომ ფეტისოვი საკუთარი ინიციატივით გესხმით თავს?**

- პრეზიდენტი აქ არაფერ შუაშია. მას ფეხბურთზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც აქვს.



**- ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი საქმეები წესრიგში იქნებოდა, პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ იარცევი რომ გადაგეყენებინათ?**

- მე ხომ კაციჭამია არ ვარ. მატჩის შემდეგ მის გადადგომაზე რომ დამეწყო საუბარი, იარცევს მოვკლავდი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ის ძალიან განიცდიდა ამ მარცხს. მე ვთხოვე, არ აჩქარებულიყო და ამ თემაზე მაშინ გვესაუბრა, როდესაც გონს მოვიდოდა. ერთი კვირის შემდეგ იარცევმა მითხრა, რომ მზად იყო, ნაკრებში მოღვაწეობა გაეგრძელებინა.

**- ახლა მაინც გვითხარით: რა როლი შეასრულა იარცევის დანიშვნაში პოლიტიკურმა კონიუნქტურამ - არჩევნებმა, "ერთიან რუსეთში" მისმა წევრობამ და მმართველი პარტიის საბჭოში მისმა კავშირებმა.**

- როგორც კი გაზაევმა თანამდებობა დატოვა, ბორის გრიზლოვმა დამირეკა და მითხრა, რომ "ერთიანი რუსეთის" სახელით ნაკრების მწვრთნელის პოსტზე იარცევის კანდიდატურას მთავაზობდა. ცხადია, ეს არ იყო არავითარი ბრძანება. იმ დროს ჩემს სიაში უკვე იყო სამი გვარი: სიომინი, იარცევი და ბოროდიუკი. პირველად სიომინს დავურეკე. ნაკრებში მუშაობაზე ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა, თუ პარალელურად "ლოკომოტივშიც" იმუშავებდა.

**- გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ აბრამოვიჩი ნაკრებში უცხოელი სპეციალისტის მოწვევის ინიციატივით გამოდის და საამისო ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს? ამბობენ, რომ მან ბობი რობსონთან მოლაპარაკება წამოიწყო.**

- პირველად მესმის.

**- როგორ მოგწონთ აბრამოვიჩის ინიციატივა?**

- რა საჭიროა ჭორების კომენტირება?

**- წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ მაინც გაიძულეს წასვლა, თუმცა, ამავდროულად, მემკვიდრის დასახელების უფლება მოგცეს. ვის დაასახელებდით?**

- რატომ უნდა ვითამაშოთ ეს თამაშები? მე ხომ ფარაონი არ ვარ! საფეხბურთო კავშირი დინასტიური ორგანიზაცია არ არის. გაიმართება კონფერენცია, რომელზეც ფეტისოვსაც შეუძლია მოვიდეს და თავისი აზრი გამოთქვას კოლოსკოვის შესახებ. თუ მისი არგუმენტები კონფერენციის წევრებზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს, მათ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის უფლება აქვთ. მაგრამ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ არჩევნებში მხოლოდ საფეხბურთო კავშირის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

**- და მაინც, რა საქმეს მოკიდებთ ხელს იმ შემთხვევაში, თუ ფეტისოვი კავშირის წევრებს რაღაც ისეთს მოუყვება, რაც მათ თქვენზე წარმოდგენას დააკარგვინებს?**

- უამრავი საქმე მაქვს. კიდევ ოთხი წელი ფიფა-ს და უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტების წევრი ვიქნები. გარდა ამისა, უკვე მეორე წელია, საფეხბურთო ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიას ვუდგავარ სათავეში. საქმე გამოჩნდება. პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ.

**- ღამით კარგად გძინავთ?**

- იცით, უკანასკნელ ხანს არც ისე კარგად. პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ ორი კვირა გონს ვერ მოვედი. არც ფეტისოვის განცხადება მომიხდა მაინცდამაინც - კოშმარები მესიზმრება.

**- დამამშვიდებლებს თუ სვამთ?**

- ვალოკორდინით გავდივარ ფონს.

# რამდენი უნდა გაიტანოს?!

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ანდრეი შევჩენკო წინა წლებში მატჩში შესანიშნავ მონაკვეთებს ატარებდა და ამით იყო ცნობილი საფეხბურთო სამყაროსთვის, მაგრამ გასული კვირა ფენომენალური სტანდარტებითაც კი უცნაური გამოდგა. ეს სტანდარტები ფეხბურთელმა ჯერ კიდევ კიევის "დინამოს" შემადგენლობაში თამაშისას გამოიმუშავა.

გასულ უქმეებზე იტალიური სპორტული არხები გამუდმებით აჩვენებდნენ შევჩენკოს გოლებს, რომლებიც მან იტალიის ჩემპიონატის მატჩში "სიენას" გაუტანა. არც გაემტყუნებათ. ეს ხომ შევჩენკოს მეასე მატჩი იყო სერია A-ში, სადაც უკრაინელი ფორვარდი 1999-2000 წლების სეზონში გადავიდა. საიუბილეო მატჩში უკრაინელმა დუბლი შეასრულა. "შევამ" დუბლი ოთხშაბათსაც გაახერხა. ამჯერად მისი გარჯა უკრაინის ნაკრებს მოხმარდა და უკრაინელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტამბულში დაამარცხეს თურქეთის გუნდი - 3:0.

"სიენას" კარში გატანილი გოლებით შევჩენკომ "მილანის" შემადგენლობაში 134 გოლი გაიტანა. ახლა უკრაინელი ფორვარდი მეხუთე ადგილზეა "მილანის" ისტორიაში საუკეთესო მეგოლეებს შორის. კიდევ სამი გოლი და შევჩენკო გადაუსწრებს "მილანის" 30-40-იანი წლების ლეგენდას - ალდო ბოფის. კიდევ 31 გოლის გატანის შემთხვევაში კი ის ლეგენდარულ ჟოზე ალტაფინისა და დიდ ჯანი რივერასაც ჩამოიტოვებს.

"მისი შეჩერება შეუძლებელია", - აღფრთოვანებით საუბრობდა "სიენას" მწვრთნელი ლუიჯი სიმონი. ახლა სიმონის გუნდი სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა. ამის მიუხედავად, "მილანთან" - 1:2 დამარცხების შემდეგ მან განაცხადა: "შევჩენკო რომ ჩვენს გუნდში თამაშობდეს, სერია A-ში უმაღლესი ადგილებისთვის ვიბრძოლებდით".

მიმდინარე სეზონში ანდრეი შევჩენკომ გუნდის მიერ გატანილი 27 გოლიდან 15 საკუთარ ანგარიშზე მიითვალა, რაც ყველა განმარტებაზე უკეთ მიანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია 28 წლის უკრაინელი ფეხბურთელი "მილანისთვის". ამას არც კლუბის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი უარყოფს: "მართლაც, ჩვენ შევჩენკოს გოლებზე ვართ დამოკიდებული. ის ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალაა და ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია".

შევჩენკო "ოქროს ბურთის" მიღების უმთავრესი კანდიდატია. პრიზის, რომელიც, როგორც წესი, წლის საუკეთესო ევროპელ ფეხბურთელს გადაეცემა. თუმცა, შევჩენკო არ აპირებს, თავისი მიღწევა გადააფასოს. "მე ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, - ამბობს ანდრეი შევჩენკო, - ისეთი აღიარება, როგორიც "ოქროს ბურთია", რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ჩემთვის პირველ პლანზე იყო და ყოველთვის იქნება გუნდის გამარჯვება".

"მილანის" შედეგები შევჩენკოს უკრაინელი ქომაგებისთვისაც მნიშვნელოვანია. 2002-2003 წლების სეზონში შევჩენკო პირველი უკრაინელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მან თასი მშობლიურ კიევში ჩაიტანა და



თავისი მოხუცი მწვრთნელის (კიევის "დინამოსა" და ეროვნულ ნაკრებში) ვალერი ლობანოვსკის საფლავზე დადო.

თუმცა, შევჩენკო არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას, რაც ოთხშაბათს თურქებთან მატჩშიც დაადასტურა. თავისი უმთავრესი მეტოქის დამარცხებამ უკრაინის ნაკრებს საშუალება მისცა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობს, უახლოესი მდევრისთვის ხუთი ქულით გადაესწრო. ამჟამად, გუნდს შესანიშნავი შანსი აქვს იმისთვის, რომ პირველად თავისი არსებობის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს.

ტრავმის მიუხედავად, ანდრეი შევჩენკომ სტამბულში 90 წუთი ითამაშა და ამით გუნდს თავისი ერთგულება დაუმტკიცა. აი, რას ამბობს ამის შესახებ უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი: "შევჩენკო ფეხის სერიოზული ტკივილით თამაშობდა. მე შემეძლო, ის მინდორზე არც გამომეყვანა, მაგრამ მას თვითონ უნდოდა, მონაწილეობა მიეღო გუნდისთვის ესოდენ მნიშვნელოვან მატჩში".

შევჩენკოს ტრავმამაც ვერ შეუშალა ხელი, თამაშით სიამოვნება მიეღო. მან მატჩის ბოლო წუთებზე პატარა სასწაული მოახდინა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ფორვარდმა, ფეხის ტრავმის მიუხედავად, კინაღამ მოახერხა ლეგენდარული პელესა და მარადონას გვერდით დამკვიდრება, როცა შეეცადა, მოედნის ცენტრიდან მეკარე რუშტუსთვის თავზე გადაეგდო ბურთი.

"იმედი მაქვს, თურქეთის ნაკრების კარში შესრულებული დუბლი ჩემს მეგობარს "ოქროს ბურთის" მოპოვებაში დაეხმარება, რასაც ის ნამდვილად იმსახურებს", - განაცხადა უკრაინის ნაკრებში შევჩენკოს პარტნიორმა ანატოლი ტიმოშჩუკმა. მართლაც, თუ შევჩენკო წლეულს "ოქროს ბურთს" მოიგებს, ეს არავის გააოცებს. ბოლოს, თუ ის ასევე გააგრძელებს თამაშს, მაშინ "მილანსაც" და უკრაინის ნაკრებსაც სრული უფლება ექნებათ, საფეხბურთო სამყაროში უფრო მეტი პრეტენზია განაცხადონ.

რაგბი

# მუდმივი შამათი

## ანუ როცა თამაშს ფორით იწყებ

პაატა თოთაძე

ევროპის ერთა თასი
პირველი ტური

**რუსეთი - საქართველო 15:27**

**რუსეთი:** *შუკაილოვი, რომაკი, ტრავკინი, საგდეევი (ა. რეჩნევი), ფედჩენკო, გრაჩოვი, უამბაევი, პანასენკო, მოტორინი (იანუშკინი), კაზანცევი, ნოვიკოვი (ლოსკუტოვი), აკულოვი, სიმონოვი, ი. რეჩნევი, კლუჩნიკოვი*
**2 ლელო** - *რეჩნევი, კაზანცევი*
**1 გარდასახვა და 1 საჯარიმო** - *კაზანცევი*

**საქართველო:** *მაგრაქველიძე (გასვიანი), შველიძე, ზირაქაშვილი, ზედგინიძე, მჭედლიშვილი, ურუშაძე, მაისურაძე (გორგოძე), უდესიანი (ბოლღაშვილი), აბუსერიძე, კიკნაძე, მაჩახანელი, ი. გიორგაძე, ზიბზიბაძე (გუგავა), ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი (ბარკალაია)*
**4 ლელო** - *ხამაშურიძე, ზიბზიბაძე, მაჩხანელი, შველიძე*
**2 გარდასახვა** - *ურჯუკაშვილი, კიკნაძე*
**1 არეკნი** - *ბარკალაია*



ალბათ, გაგიგონიათ ამა თუ იმ გუნდზე ნათქვამი სიტყვები: დაწყებამდე აგებენ თამაშს, მეტოქის ეშინიათ და იმიტომო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი იშვიათად ახერხებს მატჩის გადარჩენას. სამწუხაროდ, ასეთ ყოფაში უმეტესად ქართველები იყვნენ ხოლმე - რატომღაც არ მახსენდება გუნდი, რომელსაც ჩვენი ეშინოდა. ახლა კი, მგონი, ეგეთიც მოიძებნა - რუსეთის მორაგბეთა ნაკრები.

"დღეს ჩვენს გუნდს ფიზიკური მომზადება არ ეყო. ვერ ვახერხებდით ბურთის ხაზში შენარჩუნებას, მეტოქის შერკინებაც უკეთ გამოიყურებოდა - მოძრაობაში გვჯობნიდნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველებმა 12 ქულა მოიპოვეს, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი", - ასეთია რუსეთის ნაკრების ლიდერის ვიაჩესლავ გრაჩოვის კომენტარი გუშინწინდელ მატჩზე.

"ჩვენებს მეტოქის შეეშინდათ. ესაა და მეტი არაფერი. როცა გუნდი ყოველთვის გიგებს, როგორი მომზადებულიც არ უნდა იყო, მასთან მორიგი თამაში ყოველთვის ძნელდება", - ეს აზრი კი რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში მუსირებს. გარკვეულწილად, მართალიცაა, რადგან რუსეთის ნაკრებს ქართველებთან თამაშისას აშკარად ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. სამაგიეროდ, ამგვარი პრობლემები ნაკლებად აწუხებთ ქართველებს. ყოველ შემთხვევაში, რუსებთან თამაშისას. მართალია, არავინ გაჰყვიროდა, რუსებს უეჭველად დავამარცხებთო, მაგრამ განწყობა ნამდვილად ასეთი იყო. ძნელად თუ ვინმეს წარმოედგინა, რომ კრასნოდარში შეიძლება დავმარცხებულიყავით. სწორედ ესაა გასამარჯვებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი. დანარჩენი უკვე მერე კეთდება, მოედანზე.

გაუგებარია, რას გულისხმობდა რუსთა ახალი მწვრთნელი იგორ მირონოვი, როცა ამბობდა, რუსეთის ნაკრები მზადაა ქართველთა დასამარცხებლადო. შაბათს რუსებს ასეთი გუნდისა არაფერი ეტყობოდათ. ფაქტია, რომ ისეთ მოკლე დროში, როგორშიც მირონოვს მოუხდა მუშაობა, ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მოახერხებდა გუნდის შეცვლას უკეთესობისკენ. ვერც მირონოვმა მოახერხა ეს. "მოთამაშეებმა ჩემი დავალება არ შეასრულეს. ასეთ დროს წარმატება, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელად მისაღწევი ხდება", - ასე ახსნა მწვრთნელმა დამარცხება.

თუ არ ჩავთვლით ორ ეპიზოდს, რომელთა საერთო ხანგრძლივობა 20 წუთს არ გადააჭარბებს, დარჩენილ დროში ქართველები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ - თამაშს აკონტროლებდნენ. სათამაშო ტაქტიკა იყო სწორად შერჩეული და იმიტომ. ესეც მეორე ნაბიჯი წარმატებისკენ. მესამე ის იყო, რომ შემსრულებლები გვყავს რუსებზე უკეთესი და მოედანზე გააკეთეს ის, რაც მწვრთნელებმა დაავალეს. ჩვენი მორკინალები უკეთ მოძრაობდნენ და აშკარად ჯაბნიდნენ მეტოქეს, უკანახაზელებიც არ ბურთაობდნენ ურიგოდ. საერთოდ, ჩვენი გუნდის ხელით თამაში აშკარად სასიამოვნო სიურპრიზი იყო. დერეფანშიც დავჯაბნეთ მეტოქე - ჩვენი არც ერთი არ წავაგეთ, მეტოქისა კი ორი მოვიგეთ.

მატჩი ქართველების შეტევით დაიწყო. მათ უკვე მეორე წუთზე მიეცათ ლელოს გატანის შესაძლებლობა, თუმცა, მეტოქის ჩათვლის მოედანში შესულმა ბორჯღალოსნებმა ბურთის დამიწება ვერ მოახერხეს.

მირონოვი ხელით ბურთაობის დიდი ტრფიალი ყოფილა და შეგირდების ამგვარად ათამაშების სურვილიც ჰქონია, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ერთი-ორ შეტევაში რუსებმა კარგად გაშალეს თამაში, მაგრამ სხვა დროს ისინი ავანტიურულ რაგბის თამაშობდნენ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. საკუთარი 22-დან იწყებდნენ ხელით თამაშს და ასე აპირებდნენ ჩვენი ჩათვლის მოედანთან მისვლას. ამის გაკეთება რუსებს კი არა, სხვა, გაცილებით მაღალი დონის გუნდებს უჭირთ და, რა გასაკვირია, რომ ამ საქმიდან რუსებს ბევრი არაფერი გამოუვიდათ. პირველი ლელოც მათ შეცდომას მოყვა - დავარდნილი ბურთი ხამაშურიძემ აიღო და ლელოს გატანაშიც ხელი ვერავინ შეუშალა. აღნიშვნის ღირსია ჩვენი მეორე ლელო - საკუთარი 22-დან წამოიღეს ბურთი, მოლი დააყენეს და ამგვარად წაიწიეს წინ კარგა გვარიანად. მერე პატარ-პატარა დარტყმებით წაიწიეს წინ, ანუ მრავალფაზიანი შეტევა გამოვიდა და როცა იმათი ლელოს სიახლოვეს აღმოჩნდნენ, აბუსერიძემ ხაზზე გამოიტანა ბურთი - კიკნაძე, ხამაშურიძე და... თედო ზიბზიბაძემ ლელოთი დააგვირგვინა შეტევა. ამათ შორის რუსებმაც მოასწრეს ლელოს გატანა - ლელოში ჩაკიდებული ბურთი მიწაზე დავარდნის შემდეგ ჩვენი მცველისთვის უხერხულად ახტა და საბოლოოდ პირველმა მას პირველმა რეჩნევმა მიუსწრო.

შესვენების შემდეგ, განახლდა თუ არა მატჩი, მაჩხანელმა ჩინებული გარღვევით გაზარდა ანგარიშში სხვაობა. ათ წუთში კი იმათი ლელოს სიახლოვეს ქართველებმა აუტი მოიგეს და შედეგის მისაღებად ნაცადი იარაღი გამოიყენეს - მოლი დააყენეს. ასე შეაღწიეს იმათი ჩათვლის მოედანში. იქ კი გოდერძი შველიძემ ივაჟკაცა. ამასობაში ტრავმა მიიღო ბესიკ უდესიანმა, რომელიც ბოლღაშვილმა შეცვალა, თუმცა, რვა ნომრად მაისურაძე დადგა, ბოლღაშვილი კი მაისურაძეს ჩაენაცვლა. ცოტა ხანში მაისურაძეც დაშავდა და ახლა შერკინების შეკვრა ილო ზედგინიძეს დაევალა. მისი ადგილი მეორე ხაზში მამუკა გორგოძემ დაიკავა.

ჩვენი სუსტი წერტილი მიწაზე თამაში იყო. ამის გამო ფრანგმა არბიტრმა არაერთხელ დაგვაჯარიმა, ბოლოს კი ათი წუთით თედო ზიბზიბაძეს დაატოვებინა მოედანი. ამას მოყვა რუსთა მოყვა მეორე ლელო: დერეფანში მოიგეს ბურთი, სწრაფად გაშალეს თამაში და კაზანცევმა ჩვენს დაცვაში თავისუფალ ადგილს მიაგნო. მატჩი ამის შემდეგაც ქართველთა უპირატესობით გაგრძელდა და, დასანანი შეცდომები რომ არა, კიდევ შეგვეძლო ლელოს გატანა.

გაზეთის წინა ნომერში სტატისტიკაზე გავამახვილეთ ყურადღება, ვარაუდი გამოვთქვით, რომ შაბათს უაღრესად დაძაბული ბრძოლა იქნებოდა და მატჩის ბედსაც დამრტყმელთა სიზუსტე გადაწყვეტდა. სხვაგვარად კი მოხდა და ეს ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამოა.

შაბათსვე ერთა თასის მეორე მატჩში უკრაინამ პორტუგალიას უმასპინძლა და 16:36 დამარცხდა. სტუმართაგან ლელოები გაიტანეს ანტონიო კუნიამ (2), სებასტიანო კუნიამ, ვასკო უვამ და ფრედერიკო სოუზამ. მომავალ შაბათს მესამე მატჩიც გაიმართება - პრაღაში ჩეხეთის ნაკრები რუმინეთს უმასპინძლებს. მეორე მატჩს ქართველები 5 თებერვალს სტუმრად გამართავენ პორტუგალიის ნაკრებთან.

ფეხბურთი

# ბლატერი: "ჯერ კიდევ შოკში ვარ"



ნინო ტიკარაძე

*ინგლისისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების მატჩზე ესპანელი გულშემატკივრების მიერ ჩადენილმა საქციელმა ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ ამ ინციდენტზე საუბარი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ყველა მოუთმენლად ელის ფიფას საბოლოო განაჩენს, თუმცა, ესპანეთის ეროვნული ნაკრები რომ სასჯელს ვერ გადაურჩება, ეს უდავოა.*

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა "ბიბისისთან" საუბარში განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრებს უფლება ჰქონდა, მატჩი შეეწყვიტა და მოედნიდან წასულიყო. ის კი, თავის მხრივ, ნაკრების ასეთ გადაწყვეტილებას არათუ მოიწონებდა, არამედ მხარსაც დაუჭერდა. "ჩვენ არა მარტო მოედანზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც უნდა დავიცვათ დისციპლინა და პატივი ვცეთ ერთმანეთს. ვფიქრობ, რომ თუ ფეხბურთს მომავალშიც შეეყრება ის სენი, რასაც რასიზმი ჰქვია, მაშინ ფეხბურთელების მოედნიდან წასვლა უებარი წამალი იქნება მისთვის. დღემდე შოკში ვარ. სამწუხაროა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ კვლავ გავხდით რასიზმის გამოვლინების მომსწრენი. არაფრით შემიძლია ამ საქციელის გამართლება. ფიფას სახელით შეურაცხყოფილ ფეხბურთელებს დიდ ბოდიშს ვუხდი." ჟურნალისტების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ბლატერმა სასჯელის ზომები მაინც არ დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ ესპანეთის ეროვნული ნაკრების შესაძლო სანქციებში ერთ-ერთი დისკვალიფიკაცია იქნება: "ჯერ სათანადო გამოძიება უნდა ჩავატაროთ, რომლის დასრულების შემდეგაც გაიგებთ საბოლოო გადაწყვეტილებას."

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ადრიან ბევინგტონმა უარი განაცხადა, კონკრეტული პასუხი გაეცა ჟურნალისტების შეკითხვაზე, დატოვებს თუ არა მოედანს ინგლისის გუნდი, თუ მგავსი შემთხვევა მომავალშიც გამეორდება: "დიდი იმედი გვაქვს, რომ ასეთი რამ მომავალში აღარ მოხდება. რაც შეეხება ამ შემთხვევას, დარწმუნებული ვარ, ფიფა და უეფა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ."

ამასობაში კი ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციამ წერილი გაუგზავნა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას (FA) და ბოდიში მოუხადა არა მარტო ეროვნული გუნდების, არამედ ახალგაზრული ნაკრებების დროს მომხდარი ანალოგიური ინციდენტის გამო.

"ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კმაყოფილია ამ ნაბიჯით, ახლა კი ფიფას საბოლოო განაჩენს ელოდება," - წერია FA-ის განცხადებაში.

ინგლისელების მიერ ფიფას მისამართით გაგზავნილ დოკუმენტებში საუბარი იყო არა მხოლოდ მატჩებზე, არამედ ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლუის არაგონელის საქციელზეც. მოგეხსენებათ, დაახლოებით ერთი თვის წინათ მან რასისტული ფრაზები გამოიყენა ტიერი ანრის შესახებ საუბრისას.

ბუნებრივია, რომ აქტიურობენ "მოდი, ერთად გავაძევოთ რასიზმი ფეხბურთიდან" კამპანიის წარმომადგენლებიც, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ესპანეთის ფეხბურთის "თამაშგარე მდგომარეობაში "ყოფნას მანამ, სანამ ასოციაცია ამ პრობლემას სერიოზულად არ მოეკიდება და შესაბამის ზომებსაც არ მიიღებს.

ფეხბურთის სამყარო კი ფიფას განაჩენს ელოდება. საინტერესოა. რამდენად მკაცრად დაისჯებიან დამნაშავეები.

ფორმულა 1

# ასწლეულის სპორტსმენს ძმის იმედი არა აქვს

ბიგა ბურასაშვილი

სახელოვანი მიხაელ შუმახერის ძმა რალფი, რომელიც დღემდე "BMW-უილიამსის" საჭეს უჯდა, გაისად იაპონური სუპერკონცერნის პირმშოს "ტოიოტასთვის" გაირჯება. 2005 წლის გაზაფხულამდე, მანამ, სანამ დიდი პრიზის გათამაშება დაიწყება, რალფი ტესტებზე "ტოიოტას" გამოცდის, მაგრამ უმცროსი შუმახერი ვერ ითმენს და უნდა, რომ ახლავე შეუდგეს საქმეს. ასე რომ, "ტოიოტას" სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანით რალფი უკმაყოფილო არ უნდა იყოს. აკი ამბობს კიდეც: ჩემთვის ადვილი არ იყო "BMW-უილიამსის" დატოვება, მაგრამ ვიდრე ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ბევრი ვიფიქრე და "ტოიოტას" სასარგებლოდ გავაკეთე არჩევანი, ამასთან, ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ მივიღეო... "ტოიოტა" ინტენსიურად ვითარდება. მართალია, თავიდან ცოტა რთული იქნება, მაგრამ სამომავლო შანსები მიმზიდველად გამოიყურება, - იმედიანადაა რალფი. - არ გეგონოთ, ჩემი არჩევანი ფულმა განაპირობა. გადაწყვეტილება სამომავლო პერსპექტივამ მიმალებინა. დარწმუნებული ვარ, მალე "ტოიოტა" წარმატებული გუნდი იქნება".

ეს - რაც შეეხება თავად რალფს, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობს უმცროსი ძმის შანსებზე თავად მიხაელი. როგორც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი აცხადებს, რალფს 2005 წლის სეზონში ბევრის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ყველაზე უკეთესი, რასაც შეიძლება ხელი გამოჰკრას, ერთი-ორჯერ კვარცხლბეკზე ასვლა თუ იქნებაო.

საგულისხმოა შუმახერების მენეჯერის ვილი ვებერის მიერ მიხაელსა და რალფს შორის გავლებული ერთგვარი პარალელიც.




*მიხაელს (მარჯვნივ) რალფის წარმატების არ სჯერა.*

პარალელი მიხაელის "ფერარიში" და, შესაბამისად, რალფის "ტოიოტაში" გადასვლასთან დაკავშირებით. ვებერს იმედი აქვს, რომ უმცროსი შუმახერი უფროსის შედეგს გაიმეორებს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, თავად მიხაელს, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, ძმის შანსების ნაკლებად სჯერა: "რალფს დიდი სამუშაო ექნება გასაწევი. სწორედ ამიტომ არ უნდა ველოდოთ, რომ გაისად ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაებმება".

ახლა მარჩიელობას შევეშვათ და იმაზეც ვთქვათ, თუ რა მოხდა პარასკევს "ZDF"-ის შოუზე. საქმე ისაა, რომ გერმანულმა ტელეკომპანიამ გერმანიის "ასწლეულის სპორტსმენი" დაასახელა. "ასწლეულის სპორტსმენის" ტიტული კი მიხაელ შუმახერს მიეკუთვნა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გერმანელებს სამეულში არც ერთი ფეხბურთელისთვის არ გაუმეტებიათ ადგილი. თუმცა, ისინი, ვისაც ასეთი პატივი არგუნეს, მართლაც, საარაკო შედეგებით გამოირჩევიან. ამ ნუსხაში მეორე ადგილზე გაამწესეს ნიჩბოსანი (კანოე) ბირგიტ ფიშერი (ვისთვისაც უცნობია ბირგიტ ფიშერის სახელი, მათთვის დავძენ, რომ სახელოვანი გერმანელი ნიჩბოსანი ერთადერთი ქალია, რომელსაც 20 წლის განმავლობაში უმედლოდ არ დაუტოვებია ოლიმპიური თამაშები. მთლიანობაში კი 12 მედალი აქვს მოპოვებული, აქედან ექვსი - უმაღლესი ხარისხის. ოლიმპიური მედლების საერთო რაოდენობით ის მხოლოდ უკრაინელ ტანმოვარჯიშეს ლარისა ლატინინას ჩამორჩება, რომელსაც 18 ოლიმპიური მედალი აქვს, აქედან ცხრა - ოქროსი.-რედ.). მესამე ადგილზეა ჩოგბურთელი შტეფი გრაფი, რომელსაც, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება. თუმცა, გერმანული ფეხბურთის გულშემატკივრებს გული მაინც ნუ დასწყდებათ - მეოთხეზეა ფრანც ბეკენბაუერი. მეხუთეზეც ჩოგბურთელია - ბორის ბეკერი. ფიგურული სრიალის ვარსკვლავი კატარინა ვიტი კი მე-19 აღმოჩნდა. რალფ შუმახერი 44-ე ადგილზეა.

რაკი თემას ძალიან გადავუხვიეთ, ბარემ სრულად ვთქვათ "ასწლეულის სპორსტმენის" გამოკითხვაზე. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 ათასი ადამიანი. მათ 29 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე უნდა დაესახელებინათ საკუთარი რჩეულები. მთლიანობაში რესპონდენტებს 200 სპორტსმენისგან შემდგარი სია დაურიგდათ, თუმცა, მოგვიანებით ნუსხა 548-მდე გაზრდილა.

TV-სპორტი

**ორშაბათი. 22 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 NBA TV - NBA შიგნიდან
08:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰამბურგი" - "ვოლფსბურგი"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" - "ატლეტიკი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" - "ატლეტიკო პარანენსე"
18:00 რუსეთის ჩემპიონატი. 1/16 ფინალი. ცსკა - "სოკოლი". საპასუხო მატჩი
19:45 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე
20:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ასტონ ვილა" - "ტოტენჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:55 00:55-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "MEMPHIS GRIZZLIES" - "SAN ANTONIO SPURS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:30 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "HOUSTON TEXANS" - "GREEN BAY PACKERS"
13:30 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. 4X5კმ.
15:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ვაჟები. 4X10კმ.
16:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:15 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (18:45) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "ჰოკეი-პლუს"
21:25 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. უინკი რაიტი - შეინ მოსლი
23:25 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
23:55 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "HOUSTON TEXANS" - "GREEN BAY PACKERS". შესვენებისას (00:30) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
11:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი
13:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
15:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი
21:00 სუმო. ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი - ევროგოლები
02:45 მოტოსპორტი - ფერარი. ტელეჟურნალი
03:15 ახალი ამბები

# ყოჩაღი კაჭკაჭი მალხაზა



ფრინველის ინსტინქტმა უცებ შეაკრთო. ძალზე ახლოს სხივილით ჩაუქროლა სისხამ დილით სანადიროდ გამოსულმა მთის მეწამულმა არწივმა, რომელიც ცაში აიჭრა და მერე იქიდან ზვერავდა ნაკრძალს.

## (ლაგოდეხი-გურჯაანი-საგარეჯო-თბილისი)

წიფლის ტოტზე დასკუპული, ახლად გამოღვიძებული მალხაზა თვალს ვერ წყვეტდა შემოდგომის ფერებით ალვსებულ ლაგოდეხის ნაკრძალს. მზემაც ამოჰყო აღმოსავლეთიდან თავისი მოწითალო შუბლი.

- მდაა, - გაიზმორა უცნაური ფორმის კაჭკაჭი, - რა კარგად უთქვამს ბატონ თუნოს, საქართველოში მზე ლაგოდეხიდან ამოდისო... ეხ, ეს ახლა, თორემ რეგვენი სერგო ორჯონიკიძის სულელურ გადაწყვეტილებამდე მზე საქართველოში აი, იქიდან ამოდიოდა, - და ბელექან-ზაქათალას გასწვრივ კახისაკენ გაიშვირა ფრთა ჩვენი ქვეყნის პატრიოტმა მალხაზამ. ფრინველის ინსტინქტმა უცებ შეაკრთო. ძალზე ახლოს სხივილით ჩაუქროლა სისხამ დილით სანადიროდ გამოსულმა მთის მეწამულმა არწივმა, რომელიც ცაში აიჭრა და მერე იქიდან ზვერავდა ნაკრძალს. მალხაზას თითქოს შერცხვა კიდეც წელანდელი შეკრთომისა. ცაში მოტრიალე ფრთაგაშლილ არწივს ახედა და რიხიანად ასძახა: - "იფრინე, ძმაო, შენი საქმისა შენ იცი... ისე რო, იცოდე, შენი კი არა, რუსის ტანკების არ მეშინია და ჩეჩენკაზაკების კატილოკებშიც მაგრად მისკლინტებია"... დიახ, უშიშარი კი იყო მალხაზა, მაგრამ იმერელი აზნაურივით ტრაბახიც კარგად იცოდა. ამ დროს წიფლის ძირში ეგერს ელოდებოდა მეტყევე ჟორა ნავაძე. სრულ სიწყნარეში წარმოთქმულმა მალხაზას უცხო აქცენტით ნათქვამმა ფრაზამ გააოგნა კაცი. - ჰეი, ვინა ხარ, გამოდი, დამენახვეო, - შემკრთალი იძახდა. მერე მარჯვენა ხელით მარცხენა მაჯაზე პულსი გაისინჯა. - არა, ვერ ვიმუშავებ, ნამდვილად ცუდად ვარ, ის ყანწი არ უნდა დამელიაო, - გულში თქვა, ტყე მიატოვა და ქვემოთ, ლაგოდეხისკენ დაეშვა. მალხაზა კი უკვე რაიონის ცენტრს ათვალიერებდა.

სასტუმროს წინა მოედანზე უკვე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ახალ ვარიანტებს გეგმავდნენ სხვადასხვა თაობის ჰერეთელები.

ქარხნის წინ, ჭადრის ფოთლებში მიმალული მალხაზა დიდხანს უსმენდა იქვე შეკრებილი გლეხების წყევლა-კრულვის ხმას.

დასახელებული პიროვნებები იმ ქალაქში მოღვაწეობდნენ, საითაც ჩვენს კაჭკაჭს კურსი ჰქონდა აღებული. როგორც გაარკვია, გლეხები კიდევ ერთხელ, ძველებური წესით მოუტყუებიათ. მერე ერთმა გლეხმა თქვა: აქ ყურყუტით, აბა, რა უნდა გავაკეთოთ, წამოდით, ჭაბუკიანის ფეხბურთის სტადიონზე დილის 11 საათზე შემოდგომის ჩემპიონატია ძაღლების და მამლების ჩხუბშიო.

მალხაზამაც ხამუშ-ხამუშ წასაუზმებით ჭაბუკიანისკენ გასწია.

ფეხბურთის მოედანი იქვე იყო, სოფლის ბარობაზე, მართლაც, კარგი სტადიონი, სადაც ათასამდე კაცს მოეყარა თავი. იყო გამალებული ნიძლავების დადება და საშინელი ღრიანცელი. ამაოდ ცდილობდნენ ორგანიზატორები წესრიგის დაცვას. როგორც გაირკვა, ჭაბუკიანის სტადიონზე კახეთის რამდენიმე რეგიონიდან გულშემატკივრებს ქართული ნაგაზები და ნისკარტმოკაუჭებული, თვალებბრიალა მამლები მოეყვანათ. ჩამოგითვლით რამდენიმეს: ყვარლიდან - ძაღლი "ნურსალა" და მამალი "დიოგენე", ველისციხიდან - "ბერყენა" და "რასპუტინი", თელავიდან - "ბასარა" და "კინკილა", ლელიანიდან - "ბოთე" და "ბრიალა", აფენიდან - "ალმასა" და "ანდუყაფარი"... სულ 12 წყვილი. ორგანიზატორები გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატსაც ელოდნენ, მაგრამ შეიტყვეს, რომ წინა საღამოს კონფლიქტი მოსვლია პოლიციის პატრულთან და ღამე "კუკუსკაში" გაუტარებია.

შეჯიბრი დაიწყო. მალხაზას, ტრადიციულად, მაღალ ხეზე სტრატეგიული პოზიცია ეკავა და კარგად აკონტროლებდა ყველაფერს. მალე ცაში აიჭრა ძაღლების ბეწვები და მამლების ფერადოვანი ბუმბული. სამწუხაროდ, ადგილობრივთა ძაღლებიც და მამლებიც იოლად დაამარცხეს სტუმრებმა. ძაღლებში ჩემპიონი გახდა სიღნაღიდან ჩამოყვანილი "ბასარა". და როდესაც თელაველთა სიამაყე, მამალი "კინკილა" საფინალო ბრძოლისთვის გაამზადეს, არაფრით აღარ ისურვა მასთან პაექრობა აფენელთა შეშინებულმა "ანდუყაფარმა". ორგანიზატორებს ის იყო, სეზონის ჩემპიონად "კინკილა" უნდა გამოეცხადებინათ და პატრონისთვის სამახსოვრო ვიმპელი (ვარია, პირში ვარდის კუნწულით) გადაეცათ, რომ სტრატეგიული სამალავიდან უცებ მოწყდა მალხაზა, წრეში ბაში-აჩუკივით შეიჭრა და ხალხის წინ, ამაყად აფხორილმა გაიარ-გამოიარა. მერე გაკვირვებული "კინკილას" წინ შეჩერდა და თვალი თვალში უკმეხად გაუყარა.

- აბა, განი, შეჯიბრი გრძელდება, - დაიყვირა ვიღაცამ.

- წესი არ არის, განაცხადში არაა შეტანილი. ვინ ოხერია, გინახავთ ამნაირი მამალი?

- ბიჭო, ეს მამალია თუ ყვავკაკადუს ნაჯვარი?

- მე თანახმა ვარ, ნიძლავსაც ჩამოვდივარ, - იყვირა "კინკილას" მეპატრონემ.

ერთი სიტყვით, დიდი გაუგებრობა შეიქმნა. ბრძოლა კი მაინც შედგა. მალხაზა მეტოქეზე სამჯერ მსუბუქი იყო. ამიტომ მამლების სფეროს ცნობილი სპეციალისტები, ბატონები: ოტია, მიშა, ტოშია, ფუთურიჩა გასაწირად ვერ იმეტებდნენ უცნაურ ფრინველს და თავის გადაქნევით ამბობდნენ - ნწუ-ნწუო.

- დაბრდღვნის ამ საცოდავს.

- მოვიდა აღსასრული ამ შტერის.

ისმოდა აქეთ-იქიდან, რაც ასე აცეცხლებდა ქართულის მცოდნე კაჭკაჭ მალხაზას.

პირველი ხუთი წუთი ამაოდ დასდევდა "კინკილა" თავზეხელაღებულ, უცნაური გარეგნობის ფრთოსანს. ბევრჯერ ამაოდ მოუცდა მოღერებული ალესილი ნისკარტი და რკინის კაუჭებით შემკული ჭანგები. მალხაზა ხედავდა, რომ მეტოქეს არაქათი ეცლებოდა და თვითონ გადავიდა შეტევაზე. ზურგზე მოახტა თელაველთა მამალს და ნისკარტი კოკორახში ჩაცხო. გაოგნებული "კინკილა" წრეში დარბოდა და მასზე მხედარივით შემომჯდარ მალხაზას დაარბენინებდა. დიდფსონჩამოსული აზარტული მოქალაქენი: ალექსანდროვიჩი, ორკოდაძე, სუფსელი, რაული და საშა გაბუნია ცდილობდნენ, შეძახილებით გაემხნევებინათ დაქანცული და დაბნეული "კინკილა".

- მიდი, "კინკილ", მიდი, საყვარელო, მიდი შენებურად, შეუტიე, შენ რო იცი...

- ვინ ყოფილა ეს მახინჯი, ვინ ყოფილა ეს ჩემისა, - გაცეცხლებული ყვიროდა ვიღაც ძალზე გამხდარი, არაყნასვამი მაყურებელი. მალხაზამ მოახერხა ამ აგრესიული ტიპის დაფიქსირება. ერთი წუთიც და "კინკილა" მიწაზე ეგდო. მალხაზას მის მკერდზე რომაელი გლადიატორივით დაედგა ფეხი. საშინელი ღრიანცელი იყო. დაუჯერებელი ამბავი მოხდა.

- განაცხადში არ იყო შეტანილი ეს მახინჯი. საერთოდ, პატრონი ჰყავს?

წრე ნელ-ნელა პატარავდებოდა. საცაა, მალხაზას ხელს წაავლებდნენ, მაგრამ მალხაზა უცებ ვერტიკალური მიმართულებით აიჭრა ცაში. თან წაიყოლა იმ ტიპის ბერეტი, წელან "ეს ჩემისა" ვინაც უწოდა... მალე ქუდი ისევ მიწაზე დაეცა - ცხადია, საშუალო ზომის სკლინტით.

ორი წუთიც და მალხაზა ალაზანზე იყო. დაღლილი, მაგრამ მაინც ღიღინებდა: "გაფრინდი შავო კაჭკაჭო, გაიყე ალაზნის პირსაო"... და იქვე მდინარეზე გადაწოლილ წაქცეულ ვერხვის ფუღუროში მოკალათდა. ალბათ, ორი საათი თუ ეძინა. დიდმა ყიჟინამ გამოაფხიზლა. ფუღუროდან ცალი თვალით გაიხედა. ნაპირზე, მოშორებით ერთი ჯიპი და ერთიც საბჭოური "ვოლგა" იდგა. ხუთი ყმაწვილი და ორიც მშვენიერი ჭიპით დიდ ამბავში იყვნენ, სულ ხუთ მეტრში, გადაქცეულ ვერხვთან. მანქანებიდან მოჩანდა ბოცა, შოთები და იქვე, ცხადია, ხორაგიც იქნებოდა.

- ჰმ! ქეიფს აპირებენ. ალაზნის წვერაც უნდათ დააგემოვნონ... მაინც რამ შეაყვარა ამ ქართველებს ეს ქეიფი... თანაც ყოველდღე... ბრძოლის დროსაც კი... - და უცებ დააფიქსირა, რომ ერთი კბილებდაკრეჭილი ბიჭი კაი მოზრდილ დინამიტს აკეთებდა. - ფუ, შეგირცხვათ თავი, - ბრაზიანად წარმოთქვა და ისეთი პოზიცია მიიღო, ოჩამჩირეში ჩეჩენ-კაზაკების შემოტევის დროს რომ იცოდა.

- აჰა, რამდენი ამონალი გაუკეთა. დატენა. ახლა გვარჯილა. კაპსულიც სწორად ჩადო. ცოტა ფითილია დიდი... - მალხაზა სუნთქვაშეკრული უყურებდა ამფეთქებლის მოძრაობას.

- ნუ, რაღაც ზღაპარში ვართ... როგორ ასწორებს დინამიტი, - ერთმანეთს არ აცლიდნენ გიტარის ფორმიანი ვარიკას ასაკის ჭიპოსნები. "ახლა ყველა დაწექითო" - ამ ბრძანებაზე მართლა ლამაზად დაწვნენ და ლამაზ სასმენ ნიჟარებში თითები იტაცეს. ყველა დაწვა. ბიჭმა ერთ გოგოს უთხრა, აბა ათამდე დაითვალეო, მერე სიგარეტით მოუკიდა ფითილს და მალხაზას ფუღუროიანი ვერხვისკენ მოისროლა. სწორედ იქ აკეთებდა მდინარე პატარა მორევს. ფუღუროდან გამოვარდნილმა ყოჩაღმა კაჭკაჭმა მალხაზამ დინამიტი ჰაერში დაიჭირა, შურდულივით გააქანა მანქანებისკენ და ჯიპის ღია ფანჯარაში შეაგდო. თვითონ კი შორიახლო ხის ტოტზე დაჯდა.

- ბიჭებო, ვიღუპებით. მანქანაში შეაგდო ამ შობელძაღლმა, - იყვირა ერთმა.

- ექვსი, შვიდი, რვა, - ამბობდა გოგონა და საშინელი აფეთქების ხმაც გაისმა. ფინთიხმა უცხოური ჯიპი აისროლა ცაში და შუა გაპობილი, გადაბრუნებული "ვოლგის" გვერდით დაეცა, მერე იქვე მიუწვა და შავი ბოლი გამოუშვა.

საქეიფოდ წასულმა კარდენახელებმა წამოსწიეს თავები თუ არა, ციდან ახლაღა ჩამოაღწია წარაფის წვიმის წვეთებმა. ორი წამის ინტერვალით აქა-იქ ეცემოდა შოთი პურები და მოხარშული დედლები.

- დედა, რა იყო ეს? - აზრდაკარგული იმეორებდა ჯიპის პატრონი.

- ცხრა, ათი, - იქვე უაზროდ ითვლიდა ჭიპის პატრონი.

მალხაზამ კი გურჯაანის გავლით საგარეჯოსკენ აიღო გეზი. მანამდე ალაზნის წყალს მკერდით და ნისკარტით შეეხო, მერე ისევ ცაში აიჭრა და კახეთის დედა მდინარეს გადმოხედა.

- ტოჟე მნე განგი... - დამცინავად აიბზუა ნისკარტი.

ზემოდან განსაკუთრებით ლამაზად ჩანდა დალოცვილი ალაზნის ველი.

ნანის ვენახები, ანანიაშვილის ვენახები, ნიორაძის ვენახები... მაგრამ ეგე, რამდენი მიდგომია თავის ვენახს და ვაზს ჩეხავს. კითხვაც არ უნდა. გაისისთვის ნესვს და საზამთროს, ანდა ხახვს და ბოლოკს მოიყვანს. ძალიან აინტერესებდა კახეთის ღვინის ქარხნების წინ შეკრებილ გლეხთა დრტვინვის საგანი, მაგრამ წინ შორი გზა იყო. 16 საათი ხდებოდა და რატომღაც უკვე ბნელდებოდა... თუმცა, კაჭკაჭმა ეს დროებით მოვლენად ჩათვალა. თანაც გადაწყვეტილი ჰქონდა, საგარეჯოში ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის სამუშაო კაბინეტშიც შეეფრინა და გაეგო, როგორი წარმატებით მიდიოდა მემუარების წერა.



ორგანიზატორებს, ის იყო, სეზონის ჩემპიონად "კინკილა" უნდა გამოეცხადებინათ და პატრონისთვის სამახსოვრო ვიმპელი (ვარია, პირში ვარდის კუნწულით) გადაეცათ...

მალხაზამ ის სამარშრუტო რაფი ამოარჩია, რომელსაც ზემოდან ჰქონდა დაკრული ბარგი. სადაც მშვენივრად მოიკალათა და მალე ჩაყვინთა კიდეც. რაფი საუცხოო ტრასაზე უხმაუროდ მისისინებდა. ამიტომ ვერ გაიგო მალხაზამ, ისე ჩავიდნენ თბილისში. მალხაზა თვალებს არ უჯერებდა. 6-ის ნახევარი იყო და თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა, და ახლა პირველად ინატრა, ნეტავი კაჭკაჭის და ჭოტის ნაჯვარი მაინც ვყოფილიყავიო...





ზურგზე მოახტა თელაველთა მამალს და ნისკარტი კოკორახში ჩაცხო. გაოგნებული "კინკილა" წრეში დარბოდა და მასზე მხედარივით შემომჯდარ მალხაზას დაარბენინებდა.

ძლივს მიაღწია სასტუმრო "კოპალას" ღია ვერანდამდე. უსაფრთხო ადგილი მონახა და თბილისს გადახედა.

- ასე მალე რამ დაგალამა, ეს ვერ გავიგე, მაგრამ შენთან მაინც ვერ მოვა სილამაზით ვერც დელი, ვერც ბომბეი, ვერც ბაქო... - და უცებ ლექსად მოაწვა სათქმელი:

**აჰა, აქა ვარ, თბილისო,**<br>
**გეტრფი კაცურად, ცალსახად,**<br>
**მე შენი ძველი რაქში ვარ,**<br>
**შენი ახალი მალხაზა.**<br>
**რევოლუციის ზეიმზე მეცა**<br>
**მაქვს რაღაც სათქმელი,**<br>
**თბილისო, ისევ შენთან ვარ,**<br>
**გამიღე გულის სარკმელი.**

*მოამზადა*<br>
***დავით ანანაურმა***




ძლივს მიაღწია სასტუმრო "კოპალას" ღია ვერანდამდე. უსაფრთხო ადგილი მონახა და თბილისს გადახედა.

# ოლივერ სტოუნი - ბერძნების რისხვის ობიექტი



ოლივერ სტოუნის "ალექსანდრეს" საერთაშორისო პრემიერამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, მაგრამ სკანდალის აგორებაში ბერძნებს ეს ხელს არ უშლის. როგორც ირკვევა, ფილმში მაკედონელი აშკარად ბისექსუალია, რაც ბერძნების საშინელ მრისხანებას იწვევს, ჰოლივუდელ პროდიუსერებს კი საგონებელში აგდებს - მათ უკვე აღარ იციან, 160 მილიონ დოლარიანი სურათი მოუტანს თუ არა ნავარაუდევ დიდ მოგებას კინოთეატრების სალაროებს; ამერიკელი მაყურებელი ხომ მიჩვეულია "ტკბილ" ეპიკურ ფილმებს, რომლებშიც მთავარი გმირი სწორხაზოვნად დადებითი, კეთილშობილი და მამაცია (როგორიც, ვთქვათ, შარშანდელი ზაფხულის ბლოკბასტერი "ტროა" იყო).

სტოუნის ალექსანრე მაკედონელი კი არასწორხაზოვანია - ის მსოფლიო ლიდერი კია, მაგრამ თან თმები ყვითლად აქვს შეღებილი, სხეულზე თმა - ცვილით აცლილი და თან გატაცებით და ვნებიანად ეხვევა თავის საუკეთესო მეგობარს ჰეფაესტიონს. ერთ-ერთი ფრაზა ფილმიდან კი ასეთია: "ალექსანდრე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა - ეს ჰეფაესტიონის ბარძაყებში მოხდა".

ცხადია, ეს ფაქტი ძალიან ახარებს "გეებისა და ლესბოსელების ალიანსს დიფამაციის წინააღმდეგ". ალიანსის განცხადებაში ნათქვამია, რომ სტოუნის ფილმი დიდბიუჯეტიან, ეპიკურ პროექტებში ნოვატორულ მაგალითს იძლევა იმით, რომ ალექსანდრეს ნამდვილ საყვარლად თავის მეგობარს სახავს.

თუმცა, რეჟისორიც და ალექსანდრეს როლის შემსრულებელი კოლინ ფარელიც დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ფილმი ისტორიულად ზუსტია და ასახავს იმ წარმართულ ტრადიციებს, რომლებიც ჩვ.წ.აღ.-მდე 330 წელს იყო გავრცელებული. სტოუნი დასძენს, რომ ფილმის გადაღებებს ესწრებოდა მაკედონელის ეპოქის კარგი ისტორიკოსი და რომ "ეჭვგარეშეა, მაკედონელს პოლიმორფული მგრძნობელობა ჰქონდა".

ასეა თუ ისე, ბერძნები ბრაზობენ. ბერძენ ადვოკატთა ერთი ჯგუფი იმასაც ამტკიცებს, რომ ისტორიული ფაქტების დამახინჯებისთვის სტოუნი და ფილმის დისტრიბუტორი "უორნერ ბროსი" სასამართლოში ჩივილის ღირსები არიან.

## ფოტოგალერეა



ლევან ხერხეულიძის ფოტო "ერთად"

## სკანვორდი



## TV პროგრამა

22 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.50** ქართ. ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ხმლების პრინცესა" (18) (იუმიკო შაკი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.05(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **09.05** პოლიციელები ოკუპაციის დროს. I ნაწილი. დოკ. ფილმი. **13.05** გადაცემა: კიოსკი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ზანგური მუსიკის ისტორია. დოკ. ფილმი. **22.05** გადაცემა: ულტრა. **23.00** პოლიციელები ოკუპაციის დროს. II ნაწილი. დოკ. ფილმი. **24.30** ვენგო. მუსიკალური ფილმი. რეჟისორი ტონი გატლივი. 2000.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ჭირვეული მეზობლები" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.00** კონცერტი -ირმა სოხაძე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.25** დოკ. ფილმი "ექიმი დელფინი" **15.20** დოკ. ფილმი "ცრუ" მე-3ნ. **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ნაზი კანი" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "გათენდება ხვალინდელი დღე თუ არა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ვ. მჟავანაძე **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ტუჩები ქირით" (15) (რობერტ დაუნი უმც.)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი - ირმა სოხაძე **22.45** მხ. ფილმი "ინდოჩინეთის თოვლი" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი და ურჩხული" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ორფეოსი" (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.10** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ქამელეონი" (გ) (დ. ოტეი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.10, 02.40** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-8 ს. **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.05** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** სათავგადასავლო ფილმი "ვულკანი" **10.40** ისტორიული ფილმი "მეფური წყალობა" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **12.55** კომედია "ბანზაი" **14.45** მელოდრამა "ვარდების სარეცელი" **16.05** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** მხ. ფილმი "ავია ტერორისტები" **20.15** მუსიკა **21.00** ფანტასტიკა "ზვიგენები-2" **22.30** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ღმერთების შური"

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

06.00 **"Доброе утро"**. 09.00, 12.00, 15.00, 18.00 **Новости**. 09.20 **Джош Хартнетт в боевике** "ПАДЕНИЕ "ЧЕРНОГО ЯСТРЕБА". 12.10 **Сериал** "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10 **Людмила Зайцева в комедии** "ЗДРАВСТВУЙ И ПРОЩАЙ". 15.20 **"Угадай мелодию"** 15.50 **"Последний герой". Суперигра**. 17.00 **"Пять вечеров". Понедельник**. 18.20 **"Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.00 **Сериал** "КЛОН". 20.00 **Жди меня**. 21.00 **Время**. 21.30 **Чулпан Хаматова в фильме** "ДЕТИ АРБАТА". 22.30 **Док. фильм "Падение "Черного ястреба". Подлинная история"**. 00.00 **"Формула власти". Премьер-министр Канады**. 00.30 **Сотворение мира. "Вселенная"** 01.00 **Мишель Пфайффер в фильме** "НА САМОМ ДНЕ ОКЕАНА" 02.50 **Сериал** "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 04.40 **Док. сериал "История живописи сестры Венди"**. 05.05 **Максим Никулин в программе "Форганг".**

### НТВ

06.00 **"Сегодня"** 09.05 **Сериал** "МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00 **"Сегодня"** 10.20 **Криминальная Россия**. 10.55 **Евгения Крюкова в фильме** "УПАСТЬ ВВЕРХ" 13.35 **Сериал** "ТАКСИСТКА". 15.35 **Чрезвычайное происшествие**. 16.20 **Ток-шоу "Принцип домино"**. 17.25 **Сергей Шнуров в сериале** "РОКИРОВКА". 1**-я с.** 18.35 **Чрезвычайное происшествие**. 19.40 **Премьера. Ирина Гринева в сериале** "ТОЛЬКО ТЫ...". 1**-я с.** 20.50 **"По ту сторону войны". Фильм Алексея Поборцева**. 1**-я с.** 22.00 **"Страна и мир"** 22.40 **"Школа злословия". Ток-шоу** 23.50 **Чрезвычайное происшествие**. 00.15, 01.45 **Сериал** "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15 **Особо опасен!** 02.30 **Совершенно секретно. Информация к размышлению**. 03.15 **Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: волк! Испанский изгнанник"**. 04.10 **Сериал** "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55 **Сериал** "МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40 **Чрезвычайное происшествие.**

# ტროიანი აგზავნის სპამს მობილურ ტელეფონებზე

ავთვისებიანი პროგრამა განთავსდება პერსონალურ კომპიუტერში და რუსეთის SMS-სერვისიდან აგზავნის სპამს.

როგორც გვაცნობა კომპანია Sophos-მა, ტროიანი Troj/Delf-HA ხელთ იგდებს ნებისმიერი კომპიუტერის მართვას, რომლის მომხმარებელმაც ჩატვირთა ავთვისებიანი პროგრამა და მას შემდეგ იყენებს რუსეთის ტექსტური შეტყობინების გადაცემის სერვისს SMS-ის გასაგზავნად, მობილური ტელეფონების შემთხვევით ნომრებზე.



*მობილური ტელეფონების მფლობელებო - უფრთხილდით ტექსტურ შეტყობინებას უცნობებისგან.*

"სპამი მობილურ ტელეფონებზე ძალიან აღიზიანებს და ემუქრება მომხმარებელს სოლიდური გადასახადებით მომსახურებაზე" - ნათქვამია Sophos-ის უფროსი ანალიტიკოსის გრეგ მასტორასას განცხადებაში. "SMS-სპამერები, შეტყობინების გასაგზავნად იყენებენ დაუცველ კომპიუტერებს."

ადრინდელი სპამერული პროგრამებისგან განსხვავებით, როგორიცაა: Cabir, ტროიანი თვითონ არ აინფიცირებს მობილურ ტელეფონებს, ის მხოლოდ განთავსდება პერსონალურ კომპიუტერში და იქიდან აგზავნის თავის შეტყობინებებს.

ოთხი წლის წინ ვირუსმა სახელწოდებით Timfonica-მ, პირველად გამოიყენა პერსონალური კომპიუტერი, SMS-ების მასიური გზავნილებისათვის ესპანეთში. ადრინდელი სპამერული SMS-კომპანიების ინიციატორები, ცდილობდნენ, ეიძულებინათ მომხმარებელი მობილური ტელეფონით დაერეკა ფასიან ნომრებზე, ან გამოეწერა ძვირადღირებული სერვისები - აღნიშნავს მასტორასი.

ზოგი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სპამი მობილურ ტელეფონებზე შეიძლება ძალიან მალე გადაიზარდოს დიდ პრობლემად, მსგავსად ინტერნეტ სპამისა.

აგვისტოში კავშირგაბმულობის ფედერალურმა კომისიამ ხმა მისცა მობილურ ტელეფონებზე გაუტარებელი შეტყობინებების შეზღუდვას მათი მომხმარებლის თანხმობის გარეშე. თუმცა, ტექსტურ შეტყობინებებზე გაგზავნილები ისეთი მექანიზმებით, როგორიც SMS-ია ეს დადგენილება არ ვრცელდება.

ტროიანი Delf ტვირთავს შეტყობინებას გზავნილებისთვის რუსეთის ვებ-საიტიდან.

ვირუსებისგან განსხვავებით, ეს პროგრამა არ ცდილობს, გავრცელდეს სხვა კომპიუტერებზე. ბოროტმოქმედი, თვითონ უგზავნის ავთვისებიან პროგრამულ უზრუნველყოფას პოტენციალურ მსხვერპლს.

თქვენი სისტემის დაცვა ტროიანებისგან, შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზით: გახსნათ მიმაგრებული ფაილები მხოლოდ იმ წერილებში, რომლებსაც თქვენ ენდობით.




ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

| | | |
|---|---|---|
| 1 სახელი, გვარი და მამის სახელი | 4 დაბადების თარიღი | 7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი |
| 2 მისამართი | 5 სკოლა | 8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა |
| 3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები | 6 კლასი | 9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

აფრინდით
ბრიტანეთის ავიახაზებთან
ერთად

$399
-დან
ლონდონი ჰითროუ
ორი გზა

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა ინფორმაციისთვის ეწვიეთ ინტერნეტ-გვერდს ba.com, დაგვიკავშირდით: 94 07 19/20 ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო ვადრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.